ბაზიური გამცემის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№167 (226) 23-30 აპრილი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

2012 წლის სააღდგომო ეპისტოლეში გადასახადებზე, პატიმრებსა და „ბუდა-ბარზეც“ გაკეთდა აქცენტი

„აუცილებელია ამოქმედდეს კანონი სასჯელის გადავადების შესახებ“, – ბრძანებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე 2012 წლის საადგომო ეპისტოლეში და განმარტავს, რომ ეს კანონი ნიშნავს, სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე, მძიმე ან უკურნებელი სენით დაავადებულ პატიმრებს უფლება მიეცეთ, დატოვონ სასჯელაღსრულების დაწესებულება და გამოჯანმრთელებამდე დარჩნენ და იმკურნალონ ოჯახურ გარემოში, ახლობლების მზრუნველობის ქვეშ.

„პატიმრებსა და სნეულებზე ზრუნვა ღვთის მცნების აღსრულება და ერთ-ერთი მთავარი სათნოებაა“, – ბრძანებს პატრიარქი.

კათოლიკოს-პატრიარქმა ხელისუფლებას გადასახადების შემცირებისკენაც მოუწოდა. პატრიარქი ბრძანებს, რომ მიუხედავად ქვეყნის გარკვეული წინსვლისა, მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალურად კვლავაც დაუცველ ფენას წარმოადგენს; დაბალია ეროვნული წარმოებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მაჩვენებელი; ბაზარზე დომინირებს იმპორტული საქონელი; არარეალურადაა გაზრდილი გადასახადები, მათ შორის კომუნალური, შემოსავლის წყარო კი, დაბალანაზღაურებადია.

„საჭიროა ისეთი კანონების მიღება, რომელიც შეამცირებს გადასახადებს, განსაკუთრებით კი, სოფლის მეურნეობის სფეროში, რათა იგი გახდეს დაინტერესების საგანი. ფრიად სასურველია, დახმარება გაეწიოს გლეხურ მეურნეობას, რომ მათ შეძლონ მიწის დამუშავება, თესლის, სასუქისა და სხვა შესაწამლი საშუალებების შეძენა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანა და გადამუშავება. სარეალიზაციო ბაზრის მოპოვება კი, ვფიქრობთ, სახელმწიფოს არ გაუჭირდება, მასზე მსოფლიოში მოთხოვნა დიდია. თუ ეს განხორციელდა, მოკლე დროში შესამჩნევი იქნება წინსვლა და ხალხს დაუბრუნდება შრომის სურვილი“, – ნათქვამია ეპისტოლეში.

ეპისტოლეში თავისუფლების არსზე საუბრის დროს პატრიარქი ამბობს, რომ ამა თუ იმ პიროვნებამ თავისი სურვილით, გაცნობიერებულად, სიყვარულით უნდა დაუმორჩილოს თავისი ნება ღვთის ნებას.

„რათა მოხდეს ძალდაუტანებელი შეერთება და სრული დაქვემდებარება მისდამი, რისი შედეგიც არის შემოქმედთან მსგავსების მიღწევა, ანუ მადლისმიერი განღმრთობა. რომელი მიწიერი კეთილდღეობა შეიძლება შეედაროს იმას, რასაც უფალი თავის მორწმუნეთ უმზადებს?! „საერთოდ, ყველა ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია“ – წერს II-III-საუკუნეების ცნობილი მწერალი ტერტულიანე.

ასე რომ, თითოეულ ჩვენგანს შეუძლია გახდეს მორწმუნე და ჭეშმარიტი ღვთის მადიდებელი, თუკი, რა თქმა უნდა, ადამიანი არ გაიუკუღმართებს ბუნებას და თავისი პიროვნული არჩევანით არ დაექვემდებარება ცოდვას“.

პატრიარქი ხაზს უსვამს, რომ დღეს საყოველთაო ჭეშმარიტება ადარ არსებობს და არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური **„ჭეშმარიტებები“. ”მათ შორის კი წარმატებულია ის მიმართულება, რომელიც მხარდაჭერილია ინფორმაციული მანქანისაგან და კარგად არის რეკლამირებული. თეოლოგთა შეხედულებით, ფეხს იკიდებს ვულგარული აზროვნება, რომელიც ადამიანში მხოლოდ ცხოველური ინსტიქტების წინ წამოწევას ემსახურება. ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლების სრული ანტიპოდი. ეს არის ცოდვის და ეშმაკის ისეთი ბატონობა, რომლის მსგავსიც არ ახსოვს კაცთა მოდგმას! ამგვარი აზროვნების წესსა და დამოკიდებულებას პროპაგანდას უწევენ ყველგან და მათ შორის საქართველოშიც“,** – ბრძანებს პატრიარქი.

სწორედ **„ახალი იდეოლოგიის“** გამოვლინებად მიაჩნია პატრიარქს **„ბუდა-ბარის“** მშენებლობა თბილისში:

„როგორც ჩანს, „ახალი იდეოლოგიის“ გამოვლინება და გამოხატულებაა 100 000 ქართველის წამების უწმიდეს ადგილზე ბუდა-ბარის აშენება. ასევე ქალაქის ცენტრში ცოდვის სახლების, – კაზინოსა (თანაც საპატრიარქოს გვერდით) და ტოტალიზატორის... გახსნა, სოდომ-გომორის ცოდვის ჩამდენთა და მათი მსგავსი სხვა „გმირების“ პოპულარიზაცია“, – ნათქვამია ეპისტოლეში.

პატრიარქმა პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების მუდმივმოქმედ კომისიებს უფრო მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა. ეპისტოლეში პატრიარქმა აღნიშნა, რომ საქართველოს პენიტენციალურ დაწესებულებებში ძალიან ბევრი პატიმარია, მათ შორის დიდია არასრულწლოვანთა და ქალთა რაოდენობა.

„ვფიქრობ, მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთან არსებული ვადაზე ადრე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისიების უფრო აქტიური საქმიანობა. ამასთან, იქნებ ვიზრუნოთ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, მიმაგრების და სხვა ალტერნატიული სასჯელების ამოქმედებაზე იმ პატიმართა მიმართ, რომელნიც საშიშ დამნაშავეებს არ წარმოადგენენ. კარგი იქნება, ციხეებში შეიქმნას სამუშაო ადგილები, სადაც ისინი შეძლებენ თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოყენებას. რეალიზებული ადამიანი კი საზოგადოებისათვის ნაკლებ საშიშია“, – ბრძანებს პატრიარქი. პატიმართა მდგომარეობაზე საუბრის დროს კი აღნიშნავს:

„დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობასაც, რადგან ციხეებში არსებობს მრავალი ხელშემწყობი ფაქტორი ისეთი სოციალურად საშიში დაავადებების მძიმე ფორმების გავრცელებისათვის, როგორიცაა თუნდაც ტუბერკულოზი. აუცილებელია სპეციალური სამსახურების მობილიზება და მათი ინტეგრირებული საქმიანობა, რომ სწორად გატარებული პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებებით თავიდან ავიცილოთ ციხეებში როგორც ამ დაავადების, ისე C ჰეპატიტის, შიდსის და სხვათა გავრცელება, ხოლო უკვე დაავადებულებში – დროული მკურნალობა“,

პატრიარქმა სხვა საკითხებზეც გააამახვილა ყურადღება. მათ შორის, ხელისუფლებას ექიმების პრესტიჟის დაცვისკენ მოუწოდა:

„ექიმობა ღვთივკურთხეული და კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური საქმიანობაა. დღესაც მსოფლიოში იგი ყველაზე საპატიო და მაღალანაზღაურებადი პროფესიაა. ხოლო იქ, სადაც ექიმს არ უჭირავს სათანადო ადგილი და არა აქვს დაფასება, პაციენტს ეკარგება მისდამი ნდობა, რის შედეგადაც პირველ რიგში, ზარალდება არა ექიმი, არამედ ავადმყოფი და საბოლოოდ მთელი საზოგადოება; ამიტომ, ვფიქრობთ, ჯანდაცვის პრიორიტეტად უნდა დარჩეს ექიმის კვალიფიკაციის ამაღლება, მათი პრესტიჟის დაცვა და ახალგაზრდა მაღალპროფესიული კადრის აღზრდა“, – ბრძანებს პატრიარქი საადგომო ეპისტოლეში, ჯანდაცვის სფეროზე საუბრის დროს კი აღნიშნავს, რომ ქვეყანაში შემოტანილ თუ ადგილობრივი წარმოების პრეპარატის ხარისხის შემოწმება აუცილებელია. მისი თქმით, ავადმყოფის მკურნალობა ასევეა დამოკიდებული ეფექტური და უსაფრთხო მედიკამენტების გამოყენებაზე და **„უვარგისი და ფალსიფიცირებული წამალი შეიძლება საწამლავად ექცეს მას. ამიტომ საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყანაში შემოტანილი თუ ადგილობრივი წარმოების პრეპარატის ხარისხს“.**

„მაშ, მოვკვდეთ ცოდვისთვის, რათა ჩვენშიც გაცოცხლდეს ქრისტე!“,– ამ მოწოდებით ასრულებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე 2012 წლის საადგომო ეპისტოლეს.

პატრიარქი ეპისტოლეში ბრძანებს, რომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების უმთავრესი მიზანი სასუფევლის მოპოვებაა, დანარჩენი ყველაფერი,– სამშობლო, ოჯახი, შვილები, ახლობლები, მეგობრები და ყოველივე ამქვეყნიური მოდვაწეობა ამ მიზნით უნდა იყოს წარმართული.

„უფალი ბრძანებს – მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და დასასრული. ჩემო სულიერო შვილებო, აფხაზნო, ოსნო, უკრაინელნო, ქართველნო, ბერძენნო, ასირიელნო, აზერბაიჯანელნო, რუსნო, სომეხნო და ქურთნო, უდინნო, იეზიდნო და სხვანო, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო ჩვენო საყვარელო თანამემამულენო, ჩვენ გვწამს, რომ ქრისტემ მიიღო სიკვდილი იმისათვის, რომ ჩვენში მომკვდარიყო ცოდვა. მაშ, მოვკვდეთ ცოდვისთვის, რათა ჩვენშიც გაცოცხლდეს ქრისტე!“

ყველაზე ბედნიერი ქვეყნების რეიტინგში საქართველო 146-ე ადგილზეა

ამერიკის შეერთებულ შტატებში მდებარე კოლუმბიის უნივერსიტეტის დედამიწის ინსტიტუტის ექსპერტებმა ყველაზე ბედნიერი ქვეყნების რეიტინგი შეადგინეს. 155 ქვეყანას შორის საქართველომ 146-ე ადგილი დაიკავა, რაც თავისთავად მიანიშნებს, თუ როგორი **„ბედნიერი საქართველო“** აგვიშენეს ნაციონალებმა და მათმა ნეტარდიმილიანმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.. ამ შედეგით იგი ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს შორის ყველაზე უბედური აღმოჩნდა.

ანგარიში სახელწოდებით, **„მსოფლიო ბედნიერების ანგარიში“** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბედნიერებისადმი სპეციალურად მიძღვნილ კონფერენციაზე გამოამზეურეს.

ანგარიშის ავტორებმა, მსოფლიოში ცნობილმა ექსპერტებმა **ჯონ ჰელიუელმა, რიჩარდ ლეიარდმა** და **ჯეფრი საკსმა** 150-ზე მეტ ქვეყანაში შეაფასეს პოლიტიკური თავისუფლებები, სოციალური გარანტიები, ღია თუ ფარული კორუფციის დონე – ფაქტორები, რომლებიც მეცნიერების აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მოსახლეობის ნომინალური შემოსავალი, მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობა, მკურნალობისადმი ხელმისაწვდომობა, მოსახლეობისათვის თავსმოხვეული მონოპოლიური სისტემები, სტაბილურობის მყარი გარანტიები, ბედნიერი ქორწინება და სხვა ფაქტორები.

საკმაოდ ვრცელი ანგარიშის ავტორები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველაზე ბედნიერი ქვეყნები ჩრდილოეთ ევროპაშია განთავსებული. ანალიზის შედეგად ბედნიერ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი დანიამ დაიკავა, მას მოჰყვება ნორვეგია, ფინეთი, ნიდერლანდები და შვეიცარია, დადგენილი ათბალიანი სისტემის ფარგლებში მათი **„ბედნიერების კოეფიციენტი“** 7,6 ქულას შეადგენს.

ამერიკის შეერთებული შტატები მე-11 ადგილზე გავიდა, ხოლო დიდი ბრიტანეთი – მეთვრამეტეზე.

რუსეთმა აღნიშნულ რეიტინგში 76-ე ადგილი დაიკავა, მას მნიშვნელოვნად გაუსწრეს ყაზახეთმა, რომელმაც 59-ე ადგილი დაიკავა, ლიტვა – 60; ბელარუსი – 62; ესტონეთი – 72; მოლდოვა – 75; უზბეკეთი – 79; უკრაინა – 91; ყირგიზეთი – 102; ლატვია – 106; ტაჯიკეთი – 115; აზერბაიჯანი – 116; სომხეთი – 122.

ყველაზე უბედურ და განუვითარებელ ქვეყნებად ამერიკელმა ექსპერტებმა აფრიკაში მდებარე, ყველასაგან უიმედოდ მივიწყებული სამხრეთ საჰარის რეგიონის ქვეყნები: ტონგო, ბენინი, აფრიკის ცენტრალური რესპუბლიკა და სიერა-ლეონე დაასახელეს. მათი საშუალო შეფასება 3,4 ქულას ვერ ასცდა, რაც კატასტროფულად შეიძლება მივიჩნიოთ.

გარდა ამისა, მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში მსოფლიო ბედნიერი გახდა: საშუალოდ, ბედნიერების დონემ 0,14 პუნქტით აიწია.

”ანგარიში ახალი მსოფლიოს მოთხოვნას ასახავს, უფრო მეტი ყურადღება ადამიანის ბედნიერებას მიექცეს“, – აღნიშნავენ კვლევის ავტორები. საქმე ის არის, რომ ბოლო წლებში ეკონომისტებმა და სოციოლოგებმა დაასკვნეს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური წარმატებისთვის საკმარისი არ არის და ახალი კრიტერიუმების ძებნას შეუდგნენ. მაგალითად, აშშ-ში 1960-იანი წლებიდან მოყოლებული ეკონომიური ზრდა შეინიშნება, მაგრამ ბედნიერების მაჩვენებელი ქვეყანაში ამ პერიოდის განმავლობაში არ შეცვლილა.

უბედურო საქართველოვ, საით მიდიხარ!!!

დაშნაკური ოინები და ამხანაგი არნოლდ სტეპანიანი

„თქვენო აღმატებულებავ! არავითარ შემთხვევაში არ მისცეთ სომხებს ცენტრალური რუსეთის მიწებზე დასახლების უფლება. ეს ის ერია, რომელიც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მას მიითვისებს და მთელ მსოფლიოს განუცხადებს, რომ ეს მათი უძველესი მიწაა.“

ალექსანდრე გრიბოედოვი
(ნიკოლოზ პირველისადმი მიწერილი წერილიდან).

ამ ფონზე, იმავე წერილში წინა პლანზეა წამოწეული ჯავახეთში სომხების მიერ ქართული ეკლესია-მონასტრების მიტაცება-დასაკუთრების ფაქტები. ნიმუშისათვის დასახელებულია სომხების მიერ ქუმურდოს ქართული ტაძრის მიტაცება და მისი გრიგორიანულ სალოცავად გადაკეთება. აქვე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ტაძრის ერთი კედლიდან ქართულწარწერიანი ძველი ქვა იყო ამოღებული და მის ნაცვლად სომხურწარწერიანი ახალი ქვა იყო ჩადებული. „ეს გარემოება – წერს ე.შილდელი – იმას გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება დანარჩენი წარწერიანი ქვებიც სომხებმა ამგვარადვე ჩაატანონ სადმე კედელში, ან სულაც მოსპონ ზედ ქართული წარწერები და ამგვარად დაგვიკარგონ ისტორიული მასალა... კიდევ კარგი ქუმურდოს ტაძარს კიდევ შემორჩენია ქართული წარწერები, თორემ სომხები პირდაპირ გვეტყოდნენ, ეს ეკლესია ძველთაგანვე ჩვენი ყოფილაო.“ აქვე ყურადღებაა გამახვილებული ჯავახეთში მოღნისის და ბურნაშეთის ქართული ტაძრების სომხების მხრიდან მიტაცების ფაქტებზე. ეკლესია-მონასტრებზე ქართული კვალის ამოშანთვის მიზნით, სომხებმა ბარბაროსობის ყველაზე უკიდურეს ფორმას მიმართეს. მხედველობაში მაქვს ეკლესია-მონასტრებზე ქართული წარწერების წერაქვით მიზანმიმართულად განადგურება. „სოფ. ხორენიაში (ესეც ჯავახეთია) – ვკითხულობთ წერილში – ძველს მართლმარიდებლურს ეკლესიაზედ სომხებმა ქართული წარწერა წაშალეს და სომხურად დააწერეს. აი სადამდის მიდის მათი თავაშვებული მოქმედება და თავისუფალი ნავარდი ამ მხარეში.“ (გაზ. „ივერია“ 1894. №103) ან კიდევ; „სომხები, ვინც ღვიძლ ძმად მიგვაჩნია, ვინც საქართველოს კალთის ქვეშ იპოვა რქა ცხოვრების ხსნისა, დღეს ისინი გამხდარან მოსისხლე მტრად ამ დიდებულთა წარწერებით აღსავსე ქვათა და უმსგავსოებათა სავსე ხელით ცდილობენ შემუსრონ და ამოამტვრიონ წერაქვით ქართული წარწერები... არაბები ბატონობდნენ 200 წელიწადი და ისინი არ სჩადიოდნენ ამ ამბებს, რასაც დღეს ვხედავთ და გვესმის. მისდგომიან და ანგრევენ ტაძრებს რკინის კეტებით და წერაქვით, ანადგურებენ ნახატებს, თვალებს ჩიჩქნიან წმინდანებს და სხვა. სამარცხვინოა, რომ მამა-პაპათ სისხლით შერეული კირით აღშენებულნი ტაძარნი დაისაკუთრონ გუშინდელ მოსულთა და მკვიდრნი კი განდევნილ იყვნენ თავისსავე მამულიდან, მით უფრო სათაკილოა ამგვარი მოვლენა, იქნებ ხარაჯაც დაადონ ჩვენს მლოცველებს ამ მამა-პაპათა სალოცავებში.“

ჩემს მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტები, სომხების მხრიდან მიზანმიმართულ ქმედებას წარმოადგენდა და იგი ქართველი ერისადმი, მისი უძველესი კულტურისადმი სიძულვილზე იყო და არის დაფუძნებული. სომეხთა ეს ღვარძლიანი ქმედება არა თუ შეწყდა, არამედ ჩვენი წაყრუებისა და უმოქმედობის გამო კიდევ უფრო გაღრმავდა. მან განსაკუთრებული გამოკვეთილი სახე საქართელოს ტერიტორიის იმ ნაწილზე მიიღო, სადაც ჩვენი სიბრიყვიდან, ბედოვლათობიდან და სიყრუიდან გამომდინარე, ქართული სახელმწიფოს კანონიერება მიზანმიმართულად თითქმის ნულამდე იყო დაყვანილი. **მესხეთ-ჯავახეთთან ერთად სომხური მავნებლური ხელი თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებსაც გადაწვდა. ქართველ მეცნიერთა გაოცება გამოიწვია იმ ამაზრზენმა ფაქტმა, როცა შატბერდის ტაძრის კედლის ძველი ქვა გამოღებული დახვდათ და მის ნაცვლად სომხურწარწერიანი ახალი ქვა იყო ჩადებული (ჩაშენებული). დაშნაკცაკანელ ამხ. არნ.სტეპანიანს და მის მფარველებს ვეკითხები: რა კვალიფიკაციით უნდა შეფასდეს სომეხთა ზემოაღნიშნული ქმედებები? სომხეთის ტერიტორიაზე, ან თურქეთში სომხური ტაძრის მიმართ ქართველებს ანალოგიური – სომხების მაგვარი უმსგავსოება რომ ჩაედინა, საინტერესოა შეფასების რა კრიტერიუმებით იმოქმედებდით და რა სახის ეპითეტებს გაიმეტებდით ქართველებთან მიმართებაში?**

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რასაც მოყვრული ნიღბით მოსული სომხები კადრულობდნენ და დღესაც კადრულობენ ქართველი ერისა და მისი ისტორიული მემკვიდრეობის შებილწვის მიზნით, თითქმის არცერთ გადამთიელ დამპყრობელ ბარბაროსს არ უკადრებია. თქვენ წარმოიდგინეთ, 200 წლიანი ბატონობის პერიოდში არაბებსაც კი არ მოსვლიათ აზრად ისეთი სიბინძურის კეთება, რასაც ქართველებთან მიმართებაში სომხები აკეთებენ. საღად მოაზროვნე ქართველისათვის სომეხთა მიზანი დღესავით ნათელია. პირდაპირ შეიძლება ითქვას: **სომეხდაშნაკცაკანელთა ისტორიული მისია იმაში მდგომარეობს, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი მიწაწყალი ქართველებს ხელიდან გამოგლიჯოს და მათი კულტურის ძეგლთა მიტაცება-მისაკუთრება მოახდინოს. ამის შესახებ, სპარსეთიდან და ოსმალეთიდან მესხეთ-ჯავახეთში XIX საუკუნეში ჩამოსახლებული სომხები დღეს ხმამაღლა აცხადებენ, ხოლო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ამ ფაქტთან მიმართებაში გამკითხავი და პასუხისგამცემი არავინაა. მაგალითისათვის წალკის საშუალო სკოლის დირექტორის ესმა გულიკიანის ოფიციალური განცხადება გამოდგება. იგი ქართული ენის სახელმწიფოებრიობის მიუღებლობის „მტკიცების“ ფონზე, ქართველებს მუქარანარევი ტონით მიმართავს: „წალკა, ეს სომეხთა ისტორიული სამშობლოა და დაე, ნურავინ შეეცდება აქ ცხვირის შემოყოფას!“ ეს არის ქვეყნის მოქმედი კონსტიტუციის ფეხქვეშ გათელვა და დაშნაკური სეპარატიზმის ოფიციალური გამოვლინება, რაც არსებული კანონმდებლობით დასჯადია. თუკი ე. გულიკიანის მხრიდან ოფიციალურად გამოთქმული პოზიციის ფონზე განვიხილავთ იმ სკოლაში მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებას და პედაგოგთა საქმიანობას, ადვილი წარმოსადგენია, ქართველთა მიმართ რა სიძულვილით იზრდება იქაური სომეხი ახალგაზრდობა. უბედურება იმაშია, რომ ამ მიმართულებით გაწეული სამუშაოსათვის, საქართველოს განათლების გაუნათლებელთა სამინისტრო, ესმა გულიკიანსა და მისი სკოლის პედ. პერსონალს, სომეხი ახალგაზრდობის ანტიქართული პოზიციით (ქართველთა სიძულვილით) და საქართველოს ტერიტორიის სომხეთის კუთვნილებად გამოცხადების რწმენით აღზრდისათვის ხელფასს უხდის, შესაძლებელია პრემიითაც ასაჩუქრებს.** ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: სკოლების **„დირექტორიატის დეპარტამენტის“** მმართველის თუობერის და შაშკინის სამინისტრო ამ საკითხთან მიმართებაში დუმილს ამჯობინებს. აღნიშნული ფაქტი, სომეხი დაშნაკელებისადმი სამინისტროს მუშაკთა მხრიდან მხარდაჭერაზე და გვერდით დგომაზე მიგვანიშნებს.

ამხ. არნ. სტეპანიანო! ზემოთ მოტანილ შემზარავ ფაქტებთან მიმართებაში **გავჩუმდეთ** და ხმა არ ამოვიღოთ? საქართველოში ერთდროს ტაბარუკად ჩამოთესლებული უცხო გადამთიელის ნაშიერს, ვინ მოგცა იმის უფლება (ბაიბურთმა?), რომ ქართველ ერს უკარნახო თუ როდის ამოიღოს ხმა და როგორ? ქართველ ერს ეროვნული ხელისუფლება მართლაც რომ ყავდეს, ზარებს დაარისხებდა, გოდერძის საუღელტეხილო გზის მშენებლობას დაუყოვნელივ შეაჩერებდა, ე. გულიკიანსა და შენნაირ ადამიანებს მოქალაქეობას ჩამოართმევდა და რაც მთავარია, როგორც ქვეყნის მტრებს საქართველოდან გაგაძევებდათ. თუ ეს ასე არ კეთდება, ისევ და ისევ ხელისუფლების სომხური სისხლის გამოძახილით არის განპირობებული.

სომეხთა მაღალი იერარქიის მოხელეებში ქართველებთან მიმართებაში ფარული თუ აშკარა მტრობა და დასმენა, სისხლხორცეულად რომ არის გამჯდარი, ამის უტყუარ დადასტურებას **აშშ-ის პრეზიდენტისადმი 2009 წელს სომეხთა კათალიკოსის – გარეგინ მეორის მიერ გაგზავნილი წერილი წარმოადგენს.** ეს უადრესად საყურადღები დოკუმენტი **„ვიკილიქსმა“** გამოაქვეყნა, რითაც სომხეთის სასულიერო პირთა ჩვენდამი ღვარძლიან დამოკიდებულებას ფარდა აეხადა. **„საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ – წერს მართლაც ღვარძლმორეული გარეგინ მეორე – საქართველოში რელიგიისადმი დამოკიდებულება არ შეცვლილა. პირიქით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, საქართველოში რელიგიური ცხოვრება მეტად შეიზღუდა. რელიგიური და ეროვნული უმცირესობები ზეწოლას განიცდიან და მათ მიმართ შემწყნარებლობა არ არსებობს. ამ კუთხით, საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობის დასამყარებლად, ჩვენი მრავალგზის მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ამან გადაგვაწყვეტინა, რათა ამ საკითხთან დაკავშირებით თქვენთვის მოგვმართა. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული საკითხის ჩვენდა სასარგებლოდ გადაწყვეტის მიზნით, შეერთებული შტატების მთავრობა შესაბამის ძალისხმევას მიმართავს.“**

თუკი ამ ამონაწერს საღი გონებით შევაფასებთ, სომეხთის კათალიკოსმა, სიცრუეზე დაფუძნებულ თაღლითობის მეთოდს მიმართა, საქართველოს მთავრობა და საპატრიარქო აშშ პრეზიდენტის წინაშე დააბეზღა. ერთიც და მეორეც, ეთნიკური უმცირესობების მიზანმიმართულად შემავიწროებელის ფორმატში წარმოაჩინა. ამ წერილის გაცნობისას ბუნებრივად იბადება კითხვა: **საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები შევიწროებას თუკი განიცდის, ამ ფონზე რა მდგომარეობაა სომხეთში და კერძოდ ერევანში. რამდენი ქართველი ცხოვრობს იქ და რა უფლებებით სარგებლობენ ქართველი მართლმადიდებლები? ამ საკითხთან მიმართებაში საინტერესოა რა პასუხი გააჩნია სომეხთა კათალიკოსს გარეგინ მეორეს და ამხ. არნ.სტეპანიანს.**

რაც შეეხება აღნიშნულ წერილს, ასეთი სახის ჩაშვების ეპისტოლარული დოკუმენტები საბჭოთა იმპერიის პერიოდში (განსაკუთრებით 1930– 1940 წწ.) იწერებოდა. გარეგინ მეორეს ამ წლებში რომ ემოღვაწა, მისთვის არასასურველ ქართველ მღვდელმთავართა და პოლიტიკურ მოღვაწეთა დიდ ნაწილს გულაგის საკონცენტრაციო ბანაკისკენ გაუყენებდა. აფერუმ, დროის ცვალებადობავ! მიუხედავად ამისა, თავის საწადელს მაინც მიაღწია. როგორც ჩანს, კალიფორნიელი სომხებისა და სომეხ კონგრესმენთა (17 კაცი) ძალისხმევით, საქართველოს პარლამენტსა და ხელისუფლებას, ოკეანის გაღმელი **„უფროსი ძმისა და პატრონისაგან“** –ვაშინგტონიდან, **„სომეხთა საკითხის მოსაგვარებლად“** საგანგებო მითითება მიეცა. ამას სომეხთა კათალიკოსის საქართველოში ჩამობრძანება, მის **„ყოფილ თანამემამულე“** პრეზიდენტთან შეხვედრა და სომეხთა სასარგებლოდ საქმის **„მოკვარახჭინება“** გვაფიქრებინებს. მხედველობაში მაქვს საპატრიარქოს გვერდის ავლით საქართველოს პარლამენტში შეტანილი ანტიმართლმადიდებლური კანონი. იგი საქართველოს პარლამენტის 20011 წლის 1 ივლისს სხდომაზე პირველივე მოსმენით მიიღეს, ხოლო იმავე წლის 5 ივლისს, დაჩქარებული ტემპითა და 70 პარლამენტარის მხარდაჭერით მეორე მოსმენით დამტკიცეს. ეს იყო ერისა და ქვეყნის სამომავლო ბედის წინაშე ჩადენილი ღალატის ტოლფასოვანი ქმედება. ამ ფონზე თუკი განვიხილავთ ფერიცვალების მამათა მონასტრის წინამძღვარის მამა ბართლომეს მკაცრ პოზიციას 70 **„ნაციონალთან“** მიმართებაში, იგი სავსებით გამართლებულად გვესახება. მხედველობაში მაქვს ზემოაღნიშნული კანონის მისაღებად ხმის მიმცემი პარლამენტარების დაწყევლის ფაქტი. **„დიახ, მე დავწყევლე პარლამენტარები – განაცხადა მამა ბართლომემ – მირჩევნია ადამიანები წყევლამ შეაჩეროს, ვიდრე საბოლოოდ უფსკრულში გადაიჩეხონ.“** ამ ადამიანებმა უფსკრულში საქართველოს მომავალი გადაჩეხეს და არნ. სტეპანიანის მსგავს შოვინისტ-სეპარატისტებს, ქართველთა მოდგმის საწინააღმდეგოდ მოქმედებისათვის მწვანე შუქი აუნთეს. ამ სამაცხვინო ქმედებიდან გამომდინარე, 70 **„ქართველ-ნაციონალ“** პარლამენტართა სიმბოლური საფლავები, ან მათი გვარსახელებით ამოტვიფრული დაფა, სირცხვილის პანთეონში უნდა დაიდგას. ქვეყნის წინაშე ჩადენილი ღალატი, თითოეული მათგანის შთამომავლობას მუდამჟამს შავ ლაქად უნდა აჩნდეს.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ზემოაღნიშნული ანტიმართლმადიდებლური და ანტისახელმწიფოებრივი კანონით შექმნილი ურთულესი სიტუაციიდან გამოსავალს, საქართველოს ეკლესიის მესაჭეთა ავტორიტეტული სიტყვა და წმინდა სინოდის წევრების მხრიდან სწორი გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენდა. სამწუხაროდ, სინოდის 2011 წლის 7 ივლისის სხდომის უმრავლესობამ, საქართველოს ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე დაკისრებულ უდიდეს პასუხისმგებლობასა და უმძიმესი ტვირთის ტარებას თავი აარიდა. მხედველობაში მაქვს პატრიარქის, მეუფე იობის და მისი მხარდამჭერი რამდენიმე მეუფის – უმცირესობაში დატოვება და ხელისუფლებისათვის დისკომფორტის არშემქმნელი დადგენილების მიღება. არადა, აუცილებლობიდან გამომდინარე, იმავე დოკუმენტის პირველი მუხლი დაახლოებით შემდეგი ფორმულირებით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი **„საქართველოს პარლამენტს ეთხოვოს, რათა ქვეყნის სამომავლო ინტერესებიდან გამომდინარე, 5 ივლისის დადგენილებასთან მიმართებაში დაუყოვნებლივ მიიღოს დამატებითი მუხლი– საქართველოში მოქმედი რელიგიური მიმდინარეობებისა და სხვა სექტური ორგანიზაციების რეგისტრაცია განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს რეკომენდაციით.“**

საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებთან შესატყვისობის თვალსაზრისით, წმინდა სინოდის 7 ივლისისა და საქართველოს პარლამენტის 5 ივლისის სხდომის უმრავლესობა (ზემოაღნიშნული კანონების **„შემოქმედნი“**), თავიანთი აზროვნებით ერთ სიბრტყეზე აღმოჩნდნენ. საკანონმდებლო თვალსაზრისით, ერთმაც და მეორემაც არნოლდ სტეპანიანის მსგავსად მოაზროვნე ადამიანების გასახარელი საქმე გააკეთეს, რითაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი ჩაწერეს.

გიხაროდეს არნოლდ სტეპანიანებო და მათი რჯულისანნო!!!...

ფრთხილად იყავით, კალიფორნიელი სომხების ფულით მოსყიდულო პარლამენტარებო!!!

გიორგი სუფსისპირელი
(სტატიის დასასრული)

მრგვალი მაგიდა საქართველოს და რეგიონის უსაფრთხოების თემაზე

"ევრაზიის ინსტიტუტის" სახელწოდებით მოღვაწე ქართულმა საექსპერტო-ანალიტიკურმა ცენტრმა თბილისის სასტუმრო **"ვერე პალასში"** საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს – 9 აპრილს, მრგვალი მაგიდა გამართა, რომელზეც განხილულ იქნა უსაფრთხოების თემასთან დაკავშირებული ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. მრგვალი მაგიდის მონაწილეებს შორის იყვნენ ცნობილი სპეციალისტები: სოციოლოგები ლევან მეტრეველი და ვალერიან გორგილაძე, გადამდგარი დიპლომატი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ჰამლეტ ჭიპაშვილი, თურქოლოგები, ყოფილი დიპლომატები – ზაურ მჭედლიშვილი და ვიქტორ ჭიკაიძე, პოლიტოლოგები და პუბლიცისტები – ნანა დევდარიანი, ხათუნა ლაგაზიძე, მამუკა არეშიძე, კოტე ჩიკვილაძე, გულბაათ რცხილაძე, დავით მხეიძე, ბადრი ნაჭყებია, ვალერი კვარაცხელია, პოლიტიკოსები – კახა კუკავა, ალეკო შალამბერიძე და სხვები.

მრგვალი მაგიდის მონაწილეთა მსჯელობა აგებული იყო საკუთრივ **"უსაფრთხოების"** ცნების სწორ ინტერპრეტაციაზე, რომელიც ასევე სწორად გასაგები **"სახელმწიფო (ეროვნული) ინტერესების"** ცნებიდან გამომდინარეობს. ყოველივე ეს არ უნდა ავრიოთ ამჟამინდელი ხელისუფლების უსაფრთხოებასა და ინტერესებში. ქვეყნის უსაფრთხოება არ არის მარტო სამხედრო თავდაცვა ან კონტრდაზვერვა, უსაფრთხოება ფართო გეოპოლიტიკურ კონტექსტშია განსახილველი და პოლიტიკურ, სამხედრო, მაგრამ ასევე ეკონომიკურ და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რელიგიურ-კულტურულ ფაქტორებს უკავშირდება. როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს დამოუკიდებლობაზე, იგი ფეტიშად არ უნდა ვაქციოთ და სიმბოლოების – საკუთარი დროშის, ჰიმნის, პრეზიდენტის, მთავრობის და პარლამენტის ინსტიტუტების არსებობის დონეზე არ უნდა აღვიქვათ, დამოუკიდებლობას სჭირდება რეალური შინაარსით შევსება, იგი არ შეიძლება, იყოს თვითმიზანი. თუკი ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობას და ერის რელიგიურ-კულტურული იდენტობის შენარჩუნებას წაადგება, საჭიროა თვით **"ოკუპანტად"** აღქმულ მეზობელთან ურთიერთობების დალაგება და მასთან მწვავე საკითხების შემდგომ ეტაპზე განხილვა. გამომდინარე აქედან, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება აუცილებელია ტერიტორიული საკითხის მოგვარებამდე, ვინაიდან ეს ეკონომიკურ განვითარებას სჭირდება, ასევე რუსეთთან ურთიერთობით არ ზარალდება მართლმადიდებლური ცნობიერება ხალხში, რომელსაც დღეს გარკვეული წრეები გააფთრებით ებრძვიან.

უშუალოდ სამხედრო საფრთხე რუსეთისგან, რასაკვირველია, მოსალოდნელია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს ხელისუფლება განაგრძობს მკვეთრად ანტირუსულ, პროვოკაციულ პოლიტიკას, განსაკუთრებით **ნატო**-ში ინტეგრირების ფორსირების მცდელობით. რუსეთი ამ შემთხვევაში საკუთარი თავდაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პრევენციულ ზომებს მიიღებს. სხვა შემთხვევაში, რუსეთი არ არის დაინტერესებული, აგრესიული ღონისძიებები განახორციელოს საქართველოს მიმართ, რუსეთი ახლა სტატუს-ქვოს შენარჩუნებაზეა ორიენტირებული. თუმცა რა თქმა უნდა, საქართველო არ უნდა შეეგუოს არსებულ სტატუს-ქვოს და დიალოგის რეჟიმში უნდა ეცადოს პრობლემის მოგვარებას, რადგან რუსეთთან კონფრონტაციის გაგრძელებას პერსპექტივა არ აქვს. რუსული მხარეც წამოვა დიალოგზე, რადგან არც მას სურს კონფრონტაციის უსაზღვროდ გაგრძელება. დიალოგი ორივე მხარის ინტერესშია.

თუმცა განსხვავებული აზრიც გამოითქვა (მ. არეშიძე), რომელიც ეფუძნება მიმდინარე წლის რეალობასა და 2008 წლის რეალობას შორის პარალელების გავლებას, ახლაც და მაშინაც ადგილი აქვს ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებს რუსეთში, ხოლო დიპლომატიური ფონი არანაკლებ მძიმეა.

მრგვალ მაგიდაზე აღინიშნა რუსეთში ქართული ლობის მოღვაწეობის აუცილებლობა, რაც დიდი ხნით ადრე უნდა დაწყებულიყო, საამისო სასტარტო შესაძლებლობები ქართველებს ძალიან უხვად ჰქონდათ. მაგრამ ფორმალურად დამოუკიდებელი საქართველოს არც ერთმა უმაღლესმა ხელისუფალმა ამ მიმართულებით ნაბიჯები არ გადადგა, პირიქით, უფრო ამწვავებდა რუსეთთან ურთიერთობას.

განსაკუთრებული ყურადღება შეკრებილმა პოლიტოლოგებმა თურქეთის გააქტიურებას მიაპყრეს. აღინიშნა, რომ ე. წ. აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა თურქეთის პოლიტიკაში საქართველოს მიმართ მხოლოდ აისბერგის მწვერვალია, ხოლო თურქეთის ინტერესები გაცილებით ფართოა. თურქეთის რესპუბლიკა ცდილობს, რელიგიური ფაქტორი გამოიყენოს თავის საგარეო პოლიტიკაში, რაც მიუღებელია. ასევე მიუღებელია ჩარევა ე. წ. **"თურქ მესხებთან"** დაკავშირებით, არადა თურქეთი, პრემიერ-მინისტრ ერდოღანის სახით, საკმაოდ კატეგორიულად ითხოვს **"ახისკელების"** (თურქულად მესხეთს **"ახისკა"** ეწოდება) ჩასახლებას საზღვრისპირა ზონაში.

ამ ფონზე **აშშ**-ის **"მეგობრული"** პოლიტიკა საქართველოს ბევრს არაფერს შველის. პირიქით, აშშ გეგმები სირიისა და ირანის მიმართ პოტენციურად დიდ საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოს, ისე მთელი კავკასიის რეგიონს. გამომდინარე აქედან, კავკასიურმა სახელმწიფოებმა არ უნდა მისცენ საშუალება დასავლეთს, ჩათრეულნი აღმოჩნდნენ ანტისირიულ და ანტიირანულ ავანტიურაში.

ნობელის პრემიის ლაურეატი სამეგრელოში ცხოვრობდა.

1866 წელს სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა, ოჯახთან ერთად საფრანგეთის კურორტ ჰანბურგში ისვენებდა. ეკატერინე საზღვარგარეთ ემიგრანტის სტატუსით იმყოფებოდა, რადგან იმჟამად სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური სტატუსი დაკარგული ჰქონდა, თუმცა დედოფლობას მაინც ინარჩუნებდა, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მე-2-ის წყალობით.

ჰანბურგში ყოფნისას მათ ოჯახს დაუმეგობრდა ავსტრიელი ახალგაზრდა ქალბატონი ბერტა კინსკი (ზუტნერი) შემდგომ ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში. იგი გენერლის ქალიშვილი გახლდათ. როგორც ამბობენ ბერტას დაბადებამდე, მამამისი 75 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ბერტა აღფრთოვანებული იყო ეკატერინეს განსწავლულობითა და პირადი თვისებებით. ცდილობდა დროის დიდი ნაწილი მასთან გაეტარებინა. ბერტას ქართველი თავადიც კი შეყვარებია, რომელიც ცოლიანი ყოფილა. თავადისთვის ეკატერინეს უსაყვედურია, წესიერად მოიქეცი. თავადს უთქვამს. **„რა ვქნა ქალბატონო, არ მეშვებაო".**

ეკატერინე ძალიან ბევრს უყვებოდა ბერტას საქართველოსა და განსაკუთრებით სამეგრელოზე, რამაც გადააწყვეტინა ბერტას სამეგრელოს დედოფლის ოჯახთან დამეგობრება. ეს სიახლოვე და ურთიერთობა იმაში გამოვლინდა, რომ, როცა 1868 წელს სალომე დადიანი და ფრანგი პრინცი ლუსიენ მიურატი დაქორწინდნენ, განსხვავებული მრწამსის გამო ჩატარდა სამი განსხვავებული ცერემონიალი. სამოქალაქო რეგისტრაცია, კათოლიკური ქორწინება ტიუილრიში, რომელსაც საფრანგეთის იმპერატორი და დედოფალი დაესწრნენ და მართლმადიდებლური ქორწინების ცერემონიალი ეკლესიაში. სალომე დადიანის მეჯვარე ბერტა კინსკი იყო. შემდეგ ბალ-მასკარადი გაიმართა, რომელსაც, რასაკვირველია, ბერტა დაესწრო.

ეკატერინეს სამეგრელოში დაბრუნების შემდეგ ბერტასთან წერილობითი მიმოწერა ჰქონდა, რამაც ბერტას გადააწყვეტინა, რომ სამეგრელოში ჩამოსულიყო.

მანამდე ბერტას ცხოვრებაში მოხდა ბევრი რამ. იგი გუვერნანტკად მუშაობდა ზუტნერების კარზე, სადაც თავისი აღსაზრდელი, მასზე 10 წლით უმცროსი ბარონ ფონ ზუტნერი შეუყვარდა, რომელსაც მოგვიანებით ცოლად გაჰყვა და მისი გვარი მიიღო.

ამიერიდან იგი ბერტა ზუტნერით წარუდგა საზოგადოებას.

1876 წელს, ერთ გაზეთში გამოჩნდა განცხადება, სადაც ეწერა, რომ, პარიზში მცხოვრები ასაკოვან მამაკაცს სურდა დაექირავებინა სრულწლოვანი ქალბატონი, რომელიც **"იქნებოდა მისი მდივანი და მარჯვენა ხელი"**. ბერტამ გამოიყენა ეს შესაძლებობა. მიატოვა ვენაში საქმიანობა და პარიზში ჩავიდა. განცხადების ავტორი გახლდათ ალფრედ ნობელი. ბერტამ მას თავი მოაწონა და მოხუცი უიმედოდ შეტრფიალდა თავისუფალი ნების ქალბატონზე.

ბერტამ მხოლოდ სამი თვე იმუშავა ნობელთან, თუმცა სამუდამოდ დაამახსოვრა თავი იმით, რომ არა ერთი საინტერესო პროექტი შესთავაზა, განსაკუთრებით მშვიდობის დამყარებასთან დაკავშირებით. ბერტამ იქონია გარკვეული გავლენა ნობელის პრემიის დაარსებაზეც.

1876 წელს ბერტამ მეუღლესთან ერთად გადაწყვიტა სამეგრელოში ჩამოსულიყო. რადგან სურდა საქართველოს ისტორიას, კულტურას, ბუნებასა და ხალხის სტუმართმოყვარეობას გასცნობოდა.

„ჩვენი მიზანი იყო ქვეყანაში მოხვედრა – წერს ბერტა ზუტნერი თავის წიგნში – **სადაც იაზონმა ოქროს საწმისი გაიტაცა... ჩვენს წინაშე მოულოდნელობით აღსავსე ახალი სამყარო გადაიშალა."**

ბერტა და მისი მეუღლე, მწერალი არტურ გუნდაკარ ფონ-ზუტნერი ცხოვრობდნენ სამეგრელოს დედოფლის ეკატერინეს სასტუმროში. ისინი აქ ახლოს გაეცნენ ადგილობრივ ყოფას და ისე გაითავისეს აქაურობა, რომ ქართული და მეგრული ენების შესწავლაც კი სცადეს. იცხოვრეს ზუგდიდში, გორდში, სენაკში, ფოთში. იწერდნენ და იმახსოვრებდნენ ყველაფერს, რაც ღირებულად მიაჩნდათ. უქმად არ კარგავდნენ დროს, ეწეოდნენ ლიტერატურულ და შემოქმედებით საქმიანობას, სისტემატიური მიმოწერა ჰქონდათ ევროპასთან, განსაკუთრებით ალფრედ ნობელთან.

რაც მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ფრანგ ჟურნალისტ ჟიულ მურიესთან ერთად აქტიურად ეხმარებოდნენ მწერალსა და საზოგადო მოღვაწე, იონა მეუნარგიას **„ვეფხისტყაოსნის"** ფრანგულად თარგმნაში. ისინი აღფრთოვანებულები იყვნენ **„ვეფხისტყაოსნის"** მხატვრული ღირებულებითა და სიღრმისეულობით.

სამწუხაროდ ეს ნაშრომი დაიკარგა. (საქ. საბჭ. ენციკლოპედიის ცნობა).

არტურ ზუტნერი წერს: **„რუსთაველი უდიდესი სიყვარულით ეკიდებოდა თავის მთავარ საქმეს. პოემას თავიდან ბოლომდე გასდევს ერთი მთავარი აზრი: ამაღლებული, წმინდა და მტკიცე სიყვარული. რომანის ეპიზოდები დახატულია უაღრესად ნათლად. მკითხველი იოლად აღიქვამს გმირების გონიერებასა და მშვენიერებას. გმირთა გამოკვეთის საშუალებები მოგვაგონებს ოთხი საუკუნით დაშორებულ ტასოს ხერხებს... „ვეფხისტყაოსანი" იყო და იქნება ქართული ნაწარმოები. ის მაღლა დგას „როლანდზე" და საერთოდ ვერაფერს ამნაირს იოლად ვერ იპოვით დასავლეთ ლიტერატურაში".**

ბერტა ზუტნერსა და მის მეუღლეს ისე მოეწონათ სამეგრელო, აქედან წასვლასაც არ აპირებდნე, რომ არა სამწუხარო შემთხვევა. 1882 წელს გარდაიცვალა ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა, რის შემდეგ ცოლქმარი თბილისში გადასახლდნენ და იქ იცხოვრეს გარკვეული ჟამი. ბერტა ფრანგულ, გერმანულ ენებსა და მუსიკას ასწავლიდა მსურველებს, მისი მეუღლე, ავეჯის ფაბრიკაში მხატვარ-გამფორმებლად მუშაობდა.

საქართველოდან გამგზავრების შემდგომ ბერტამ გამოსცა წიგნი **„ქართველებთან და საქართველოში".** იგი აღწერს არაერთ საინტერესო ეპიზოდს, მათ შორის შემთხვევას ჰანბურგში, **„ერთხელ ეკატერინე და მე ვისხედით ტერასაზე, როცა რუსეთის ხელმწიფის ალექსანდრე მე-2-ის შეტყობინება მიიღო ეკატერინემ. რომ ხელმწიფე შესახვედრად მოიჩქაროდა. სულ მალე ალექსანდრე ამალით გამოჩნდა, ტერასაზე ეკატერინე რომ დაინახა, კიბეები ამოირბინა, ეკატერინე ფეხზე წამოდგა. ხელმწიფე ხელზე ეამბორა. მე შორიდან შევყურებდი, თუმცა მაინც გავიგონე მათი საუბარი, ალექსანდრემ ფრანგულად უთხრა ეკატერინეს: „სათამაშო ოთახში წასვლას ხომ არ ინებებთ? მან დედოფალს მკლავი შესთავაზა და ჩვენც უკან გავყევით".**

ბერტა იხსენებს, რომ **„თამაშის დროს ალექსანდრემ, ეკატერინესაგან რამოდენიმე ოქროს მონეტა ისესხა, შეიძლება იმიტომ, რომ თან ფულს არ ატარებდა ან იფიქრა, რომ ნასესხები ფული მისთვის უფრო იღბლიანი აღმოჩნდებოდა. ის რაუნდი მოიგო, მაგრამ საბოლოოდ ულმობელმა კრუპიემ იგი მთლად გააკოტრა".**

ბერტა ასევე წერს **„პრინცმა ნიკო დადიანმა კარგა გვარიანი შიში გვაჭამა, იგი დუელში გაიწვიეს. ერთ კოხტა პარიზელ ქალბატონს მეტისმეტად ვნებიანად გაარშიყებოდა, ამის გამო რაყიფი განრისხებულიყო; ჯერ სიტყვიერად შეუტევიათ ერთმანეთისთვის და შეურაცხყოფილი კავალერი მეორე დღეს სეკუნდანტის გამოგზავნით დამუქრებია. თავადის ქალმა შეიტყო ეს ამბავი, მტირალი მიყვებოდა ამ შემთხვევას და მეც ავტირდი და ავცახცახდი მასთან ერთად. მოსალოდნელ უბედურებას ვერაფრით ავირიდებდით თავიდან, მაშინ დუელები ქვეყნის წესრიგის გარდუვალი წესი და კანონი იყო. მიუღებელი იყო ეს წესი, მაგრამ ჯერჯერობით არავის მოსდიოდა თავში ჩვენს წრეში ამ უკუღმართობის წინააღმდეგ გალაშქრება. მამაკაცებიც განწირულნი იყვნენ სიკვდილისთვის, ხოლო ქალებს ასეთ შემთხვევაში არაფერი დარჩენოდათ, გარდა შორიდან ცქერისა და ტირილისა. დუელი არ შედგა. მოწინააღმდეგეს უცებ მოუხდა იქიდან გამგზავრება. მახსოვს ავისმომასწავებელმა ღრუბელმა გადაიარა და ჩვენ ყველანი ძალიან ბედნიერები ვიყავით, ჩემმა გულწრფელმა თანაალმობამ კიდევ უფრო დამაახლოვა მათ ოჯახთან".**

ბერტა და არტური საქართველოში ჩამოყალიბდნენ მნიშვნელოვან მწერლებად და პუბლიცისტებად. ბერტა მშვიდობისთვის თავდადებული მებრძოლი იყო, ომის მოწინააღმდეგე პაციფისტი. საქართველოდან გამგზავრების შემდეგ დაწერა წიგნი – **"ძირს იარაღო!"**. რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. ითარგმნა 16 ენაზე და უამრავჯერ გამოიცა. ქართულად ამ რომანის ნაწყვეტი დაიბეჭდა ჟურნალ **„მოამბის"** 1895 წლის მე-11 ნომერში, სათაურით **„ომის მსხვერპლი"** კრიტიკოსები წერენ, რომ ვიდრე რემარკის **„დასავლეთის ფრონტი უცვლელია"** გამოჩნდებოდა (1929 წ). **„ძირს იარაღი!"** ომის თემაზე დაწერილი ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად ითვლებოდა.

ბერტა ზუტნერისთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 1892 წელი. შვეიცარიის ქალაქ ბერნში გაიმართა პაციფისტების საერთაშორისო კონგრესი, რომლის ინიციატორი იყო ამერიკის პრეზიდენტი ბენჯამინ ჰარისონი. მან მოუწოდა ევროპის მთავრობებს გაერთიანებულიყვნენ და შეექმნათ საარბიტრაჟო სასამართლო. ამ კონგრესს დაესწრო ალფრედ ნობელი.

კონგრესის დამთავრების შემდეგ ა. ნობელი ციურიხში იყო. მარტოდ რომ არ დარჩენილიყო თავის იახტაზე (ციურიხის ტბაზე) მიიწვია ბერტა ფონ ზუტნერი და მისი მეუღლე. სწორედ აქ ბევრი ისაუბრეს მშვიდობასა და განარაღების საკითხებზე, რამაც გადააწყვეტინა ნობელს საკუთარი წვილი შეეტანა მშვიდობის დამკვიდრების საქმეში, რაც განახორციელა კიდეც.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ბერტა ზუტნერი ყველაზე ცნობილი ქალბატონი გახდა მსოფლიოში, რომელთანაც შეხვედრას, საუბარსა და ნაცნობობას დიდ პატივად მიიჩნევდნენ სახელმწიფოს მეთაურები. 1904 წელს იგი ამერიკის შერთებულ შტატებში, თეთრ სასახლეში შეხვდა იმჟამინდელ პრეზიდენტს თეოდორ რუზველტს და ესაუბრა მას.

იღბლიანი გამოდგა ბერტასთვის 1905 წელი. იგი ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა მშვიდობის დარგში.

ბერტა ზუტნერის ბიოგრაფიას ამშვენებს მის მიერ საქართველოში გატარებული ცხრა ლამაზი და შინაარსიანი წელი.

ბორის დავითაია,
მწერალი, აკ. წერეთლის პრემიის ლაურეატი



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

ბევრი იყბედა ბერიას **"მავნებლურ საქმიანობაზე"**, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაში, მიქოიანმაც, თუმცა მისი უსაშველოდ გრძელი გამოსვლიდან მაინც ვერ გაიგებდი ადამიანი, თუ რა შუაში იყო აქ ბერია. თუ მას ჰქონდა განსხვავებული აზრი ხორცისა და ხორბლის შესასყიდი ფასების თაობაზე, იგი ხომ ერთპიროვნულად არ წყვეტდა ამ საკითხებს? მიქოიანმა კი, ბერიას ქაშაყის რეწვის თაობაზეც კი დააბრალა რაღაცეები.. ძვირფასო მკითხველო, მე არ ვხუმრობ! აი, სტენოგრამიდან ამოღებული ნაწყვეტი მისი გამოსვლიდან:

"მიქოიანი. ...ავიღოთ თუნდაც ისეთი საკითხი, როგორიცაა ქაშაყის ჭერა. დაჭერით ბევრად მეტს ვიჭერთ, ვიდრე მეფის რუსეთის დროს, ქაშაყი კი გაყიდვაში ამ პერიოდთან შედარებით ორჯერ ნაკლებია. მეფის დროს 280 ათასი ოქროს მანეთის ქაშაყს ვაგზავნიდით იმპორტზე. ახლა კი დავალებებს ვაძლევთ, მაგრამ "რიბპრომი" მეტს ვერ ქაჩავს".

აქ კი თავი თვით ხრუშჩოვმაც ვერ შეიკავა:

"ხრუშჩოვი. ...შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ჩვენ მართლაც ვისხედით და ვცახცახებდით მის წინაშე. იყო შემთხვევა, როცა კბილებშიც მაგრად მიგვიცხია. თორემ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვისხედით და მონუსხულები შევცქეროდით მას...".

ისმის შეკითხვა: ვინ უშლიდათ, რომ კიდევ ერთხელ მიეცხოთ ცხვირში **"მოსულელო"** ბერიასათვის, ზავენიაგინისგან ესოდენ შექებულ **"ჭკვიან"** პრეზიდიუმის წევრებს?

სამწუხაროდ, ვკითხულობ რა პლენუმის სტენოგრამას, მახსენდება კრილოვის ცნობილი სიტყვები: **"შენ დამნაშავე ხარ თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ ძალაუფლება გვსურს..."**

მაგრამ საქმე სრულიადაც არ იყო მხოლოდ ძალაუფლების მიტაცებასა და პრივილეგიების დაუფლებაში! ბერიას წინააღმდეგ იმ პლენუმზე ამხედრდა მომწყვლადი ამბიციებიცა და უნიჭობაც. რომ არა სისხლი და მსხვერპლი, მართლაც კომიკურად გამოიყურებოდა უფერული **"ძველი ბოლშევიკის"** ანდრეევის სიტყვა.

განაცხადა რა თავშივე, რომ **"ბერია არაჩვეულებრივი ტიპის მტერია, ძველი პროვოკატორი და ძველი ავანტურისტი"**, ანდრეევმა საერთოდ გაუტია:

"ჩვენ ყველამ, ძველმა ცეკისტებმა, და ახლებმაც, კარგად ვიცით, თუ რა ფასი ედო ამხანაგ სტალინის მეგობრობას ამხანაგ მოლოტოვთან... მაგრამ, აი, გამოჩნდა მოსკოვში ბერია და ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვალა... ამხანაგი მოლოტოვი დაუმსახურებლად იღებდა საყვედურებს ამხანაგ სტალინისაგან...

(...)

ყველამ კარგად იცით, ვინცაა ამხანაგი ვოროშილოვი, რა ხვედრითი წონა აქვს მას პარტიაში და ყველას კარგად მოეხსენება ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ ვოროშილოვის მეგობრობის თაობაზე. ბერიას გამოჩენისთანავე მდგომარეობა კატეგორიულად შეიცვალა, ამხანაგი ვოროშილოვი თამაშგარე მდგომარეობაში, ფაქტიურად უსაქმოდ დარჩა. ეს ყველაფერი ბერიას ოინები გახლდათ..."

ბერია მოსკოვში **"გამოჩნდა"** 1938 წლის აგვისტოში. ვიაჩესლავ მოლოტოვი 1931 წლიდან 1941 წლამდე იყო სსრკ სახკომსაბჭოს და სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე. მხოლოდ 1941 წლის მაისში, გადამწყვეტი ეპოქის წინ აიღო თავის თავზე სტალინმა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეობა, მაგრამ ამ უწყებაში მოლოტოვი მაინც №2 ფიგურად დარჩა. 1939 წელს მოლოტოვი ინიშნება საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მნიშვნელოვან პოსტზე. 1940 წლის ნოემბერში სტალინი მას ანდობს ბერლინში მოლაპარაკებების წარმოებას ჰიტლერთან და რიბენტროპთან. ომის დაწყებისთანავე მოლოტოვი ინიშნება სტალინის მოადგილედ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში.

ამას ჰქვია **"თამაშგარე მდგომარეობა"**?

ვოროშილოვი... 1940 წლის მაისამდე სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარი იყო. მოხსნეს არა ბერიას ინტრიგების, არამედ 1939-1940 წლების ფინეთის ომის ჩაფლავების გამო, თუმცა, ამის შემდეგ დაინიშნა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების მთავარსარდალია, შემდეგ კი მესამე-მეოთხე პლანზე გადაინაცვლა არა ბერიას ინტრიგების გამო, არამედ **"სამსახურეობრივი შეუსაბამობის"** მიზეზით. მაგრამ ახლა **"ჭეშმარიტების"** ძიება ნამდვილად არ სურდა ცეკას პოლიტბიუროს ყოფილ წევრს ანდრეევს, რომელიც იმიტომ ემლიქვნელებოდა პოლიტბიუროს ახლანდელ წევრებს, რომ რაიმე პირადი სიკეთე დაეტყუებინა მათთვის.

ასევე გადაახტა საკუთარ თავს ანდრეევი **"ბელადების პორტრეტების"** საკითხთან დაკავშირებით:

"ანდრეევი. მე მიმაჩნია, რომ ბერიას ეს ინიციატივა იყო მტრული განაზრახი. ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ არიან მათი ბელადები, იცოდეს მათი პორტრეტებით, საჯარო გამოსვლებით. ეს გახლდათ სავსებით არამართებული გადაწყვეტილება.

ხმა პრეზიდიუმიდან. ვოროშილოვი: გეთანხმებით, ეს დანაშაულიც კი იყო!

ანდრეევი. ეს დათმობა იყო მტრისადმი.

ხმა პრეზიდიუმიდან. კაგანოვიჩი. ანდრეი ანდრეის ძევ, ჩვენ ეს გადაწყვეტილება შევცვალეთ (მქუხარე ოვაციები)..."

ხალხი უნდა იცნობდეს თავის ბელადებს არა პორტრეტებით, არამედ საქმით! ეს უდავო ჭეშმარიტება გახლავთ. ვფიქრობ, აქ კომენტარი ზედმეტია!

ანდრეევს ასევე ეკუთვნის სხვა სახალისო (რომ არა – სისხლი) გამონათქვამები: **"დროდადრო იგი დიდ სამუშაოებსაც ასრულებდა..."**

ამ დროს მეხსიერებაში ამოტივტივდება ხოლმე ბრეჟნევისდროინდელი მოარული ფრაზა: **"თუ ვინმეს, ჩვენთან, ხანდახან არ უნდა წესიერად იცხოვროს..."**

თუ დაწვრილებით გავაანალიზებთ და დოკუმენტურად უკუვაგდებთ ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ გამოყენებულ აშკარა ინსინუაციებს მხოლოდ იმ პლენუმის მასალებით, ერთი მოზრდილი წიგნი გამოგვივა. ამიტომ, მე შემოვიფარგლები სტენოგრამის კიდევ ერთი ფრაგმენტით, რომლის გარეშე სრულყოფილ სურათს ნამდვილად ვერ მივიღებთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი შატალინი ბერიას დაპატიმრების შემდეგ შეთავსებით იქნა დანიშნული სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ. სწორედ შატალინს დაეკისრა ბერიას სამუშაო კაბინეტის გაჩხრეკვა სსრკ მინისტრთა საბჭოში, რისი შედეგების თაობაზეც მან პლენუმს მოახსენა. აი, რა არის აღნიშნული სტენოგრამაში:

"შატალინი. ვასრულებდი რა ამ დავალებას და ვამოწმებდი რა სეიფებში მოთავსებულ დოკუმენტაციას... ჩვენ წავაწყდით სამუშაო კაბინეტისათვის მეტად უჩვეულო ნივთებს. დოკუმენტებთან ერთად ჩვენ აღმოვაჩინეთ უამრავი ნივთი, რომელიც ეკუთვნოდა ქალთა ტუალეტის ატრიბუტებს. აი, მათი მოკლე ჩამონათვალი, რომელიც, შეგახსენებთ, რომ სამუშაო კაბინეტში იქნა აღმოჩენილი: ქალების სპორტული კოსტუმები, ქალის ზედატანები, უცხოური წარმოების ქალის წინდები – 11 წყვილი, ქალის აბრეშუმის კომბინაცია – 7 წყვილი, ქალების აბრეშუმის რეიტუზები – 7 ცალი, ქალის საკაბეები – 5 ნაჭერი, ქალის აბრეშუმის თავსაფრები, უცხოური წარმოების ახალი ცხვირსახოცები, ბავშვების აბრეშუმის კომბინაციები, სხვა საბავშვო ნივთები და ა.შ. ვფიქრობ, რომ ამის ჩამოთვლაც საკმარისია. ჩვენს მიერ ამოღებულია ქალებისაგან გამოგზავნილი ინტიმური შინაარსის უამრავი წერილი. ასევე აღმოჩენილია გარკვნილი მამაკაცისთვის გამოსადეგი უამრავი ნივთი. ეს ნივთები თავისთავად მიანიშნებენ ყველაფერზე და მას კომენტირება არ სჭირდება..."

ალბათ წარმოიდგენთ, როგორი ყურადღებით უსმენდა ამ **"მამხილებელ"** გამოსვლას მთელი პლენუმი. უკვდავი ნაწარმოების შემქნელი იაროსლავ ჰაშეკი წერდა **"საზოგადოებრივი მორალის"** დარღვევაში ეჭვმიტანილებზე, რომ ისინი ტუალეტში დადიოდნენ მხოლოდ მის კედლებზე წარწერილი უხამსობების წასაკითხად. აქ კი, ცეკას პლენუმზე, უამრავი საცვალი იქნა გამოფენილი, თანაც – არა ბინძური, არამედ – ქათქათა აბრეშუმისა.

შატალინი კი **"იდეოლოგიური ფრონტის მედგარი მებრძოლის"** აღტკინებით უმატებდა ფაქტს ფაქტზე:

"მით უმეტეს, მეტი დამაჯერებლობისათვის მე წაგიკითხავთ ვიღაც სარქისოვის ჩვენებას, რომელიც 18 წელი მუშაობდა ბერიას დაცვაში...

აი, რას აღიარებს, თავად, ეს ვიღაც სარძისოვი: ჩემთვის ცნობილია ლავრენტი ბერიას სასიყვარულო კავშირების შესახებ შემთხვევით ქალებთან... ჩემთვის ასევე ცნობილია, რომ ვიღაც ქალბატონ "ს"-ას (უფლებას ვიტოვებ, რომ ეს გვარი მკითხველს არ გავუმხილო – ს.კ.) **მეშვეობით ლავრენტი ბერია დაუახლოვდა მის ერთ-ერთ მეგობარ ქალს...**

(...)

გარდა ამისა, ჩემთვის ცნობილია, რომ ბერია ინტიმურ კავშირში იმყოფებოდა უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტ მაიასთან... იგი ასევე ამყარებდა ინტიმურ კავშირს 18-20 წლის გოგონა ლიალიასთან. ბერიასგან მას ბავშვი ეყოლა, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობდა აგარაკზე (ოფიციალურ ანგარიშში დამატებულია: **"ობრუჩნიკოვზე მდებარე ყოფილ აგარაკზე"**. – ს.კ.).

თბილისში ყოფნისას ბერია ინტიმურ კავშირში იმყოფებოდა მოქალაქე "მ"-თან, რომელთანაც მას შვილი ეყოლა...

ჩემთვის ასევე ცნობილი, რომ ბერია თანაცხოვრობდა ვიღაც სოფიოსთან...

ბერიას დავალებით მე შევადგინე მისი საყვარელი ქალების სია. (სიცილი დარბაზში). **შემდეგ მე ეს სიები გავანადგურე, მაგრამ მაინც დარჩა ერთი სია, რომელშიც მითითებულია გვარები და 25-27 ქალის ტელეფონის ნომერი. ეს სია ჩემს ბინაში ინახება, კიტელის ჯიბეში...** (ოფიციალურ ანგარიშში დამატებულია: **"სია, რომლის თაობაზეც საუბრობდა სარქისოვი, ნაპოვნია და მასში მითითებული მონაცემები 39 ქალზე" – ს.კ.)"**

მაგრამ, არც ეს არის ყველაფერი! სარქისოვის ციტირებით შატალინი პლენუმის მონაწილეებზე ეფექტს კიდევ უფრო აძლიერებს:

"ერთი წლისა თუ წელიწადნახევრის წინ (სარქისოვი – ს.კ.) მე ზუსტად დავადგინე ბერიას კავშირების თაობაზე მეძავ ქალებთან... იგი სიფილისით იყო ავად, და მას შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიკლინიკის რომელიღაც ექიმი მკურნალობდა. ხელმოწერილია – სარქისოვი".

ამას მოჰყვა რეზიუმე:

"აი, ამხანაგებო, იმ ადამიანის ნამდვილი სახე, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა, რომ გამხდარიყო საბჭოთა ხალხის ბელადი. და ეს ბინძური არსება ბედავდა, რომ მეტოქეობა გაეწია ჩვენი პარტიისათვის, მისი ცენტრალური კომიტეტისათვის. ეს უბინძურესი ადამიანი ცდილობდა, რომ განხეთქილება შეეტანა ჩვენს პრეზიდიუმში" და ა.შ.

შატალინის ფსიქოლოგიური მოხსენება პლენუმის **"მუშაობის"** პიკად იქცა. შემთხვევითი არ იყო მისი გამოსვლა პლენუმის მუშაობის შუა პერიოდში, რის შემდეგაც ხრუშჩოვმა 15-წუთიანი შესვენება გამოაცხადა. პლენუმის მონაწილეებს უნდა **"გადაეხარშათ"** ყოველივე მოსმენილი და ეფიქრათ, თუ **"გარკვნილი მამაკაცის რა ატრიბუტიკა შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ლავრენტის სეიფში?"**

სარქისოვის დაკითხვის ოქმი, რომელიც შედგა 1953 წლის 1 ივლისს, ა. სუხომლინოვს სრულად აქვს გამოქვეყნებული. სარქისოვი პირადად დაკითხა სსრკ გენერალურმა პროკურორმა რუდენკომ (ასე წერია ოქმში, თორემ კონსტიტუციურად ეს პოსტი რუდენკომ სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიის ჩატარებიდან ერთი თვის შემდეგ დაიკავა) და მთავარი სამხედრო პროკურორის თანაშემწემ ბაზენკომ. და ოქმიდან აშკარა ხდება, რომ სარქისოვის ციტირება შატალინის მიერ, რბილად რომ ვთქვათ, მცდარია. მაგალითად, ფრაგმენტი ბერიას ვენერიული დაავადების თაობაზე, გამოიყურება ასე: **"ერთი წლის წინ ბერიას მეუღლემ ჩემთან საუბარში განაცხადა, რომ ლავრენტი, მეძავებთან თავისი სასიყვარულო კავშირების გამო ავად იყო სიფილისით და მას მკურნალობდა შსს-ს პოლიკლინიკის ექიმი – იური ბორისის ძე, მისი გვარი არ მახსოვს".**

პროფესიონალი იურისტი ა. სუხომლინოვი ამ აქტის თაობაზე ამბობს:

"ჩემთვის რომ გამომძიებელს ერთ-ერთი მოწმის დაკითხვის ასეთი ოქმი მოეტანა, მე მას წიხლისკვრით გავაგდებდი კაბინეტიდან (ყურადღება მიაქციეთ მართლმსაჯულების მსახურის ასეთ ენერგიულ ლექსიკონს – ს.კ.), **შეიტანა ოქმში ყურით მოთრეული ამბები, არაფერი დაუზუსტებია, საკონტროლო შეკითხვები არ დაუსვამს..."**

მაგრამ სარქისოვის დაკითხვა ხომ არ ყოფილა საგამოძიებო ქმედება! უკვე მისი **"დაკითხვის"** პირველი **"ოქმიდან"** ნათელი ხდება, თუ რატომ დააპატიმრეს ბერიას ეს მცველი. ნაკლებგანათლებული სარქისოვი ფრიად გამოსადეგი გახლდათ იმისათვის, რომ ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ სახელდახელოდ შეეთითხნათ პირველი **"კომპრომატი"**. მოგვიანებით მე კიდევ მოვიყვან რამდენიმე **"გულახდილ აღიარებას"**, ახლა კი კვლავ ა. სუხომლინოვს დავეყრდნობი:

"ასეთივე მდგომარეობაა ბერიას სიფილისით დაავადების მხრივაც. დოკუმენტურად ეს არ დასტურდება. არავითარი ავადმყოფობის ისტორია და დაკითხვის ოქმი, ამ ფაქტზე, არ არსებობს..."

მაგრამ, რაში სჭირდებოდა შატალინს ჭეშმარიტება, როცა ხრუშჩოვისაგან მიიღო ბერიას სახელის ლაფში ამოთხვრის განკარგულება, რათა კიდევ უფრო მეტი ზეგავლენა მოეხდინა პლენუმის წევრებზე? მოგვიანებით, როცა საბჭოთა კავშირის პარტიული ორგანიზაციები განიხილავდნენ დახურულ წერილს პლენუმის მასალებზე, კომუნისტების მეხსიერებას დიდი ხანი შემორჩა სწორედ **"საბჭოთა ხალხის დაუძინებელი მტრის"** ბერიას **"სასიყვარულო თავგადასავლები"**.

სხვათა შორის, დღესაც, ხალხის მეხსიერებას ბერია უფრო მეტად შემორჩა როგორც **"სექსუალური მოძალადე"** და არა როგორც **"ჯალათი და სისხლისმსმელი"**.

პროკურორმა სუხომლინოვმა ამ თემას თავის წიგნში მთელი თავი მიუძღვნა სათაურით: **"ბერიას სექსუალური დანაშაულობანი"**. წიგნის ავტორს ამ თავის მეორე სიტყვა – **სეძსუალური** – ბრჭყალებში უნდა მოეთავსებინა, რადგან მის მიერვე დოკუმენტური მტკიცებულებების ბაზაზე შექმნილი უფლებრივი ანალიზით დასტურდება, რომ არავითარ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ჩემი კოლხეთი

“მზეო მომეცი იმედიანი სინათლე, ეშხი და სიტკბოება, აჰა, იწყება კოლხიდიანი გმირობისა და ბრძოლის პოემა”

ლადო ასათიანი

კოლხიდა, კოლხეთი ულამაზესი ბუნებით, გეოგრაფიული მდებარეობით, ზომიერი კლიმატით, წიაღისეული სიმდიდრით, სამკურნალო წყლებით, იშვიათი ფაუნით (კოლხური ბზა, უძვირფასესი სახეობის ხეები, მაგ. ჭყონი), ანდამატივით იზიდავდა და ანცვიფრებდა ზღვისგაღმელ ავანტურისტებს.

კოლხეთის ძლიერებაზე, მის უმამაცეს ხალხზე აღფრთოვანებული წერდნენ სხვათა შეფასებებში სიტყვაძუნწი ისტორიკოსები თუ სქოლასტიკოსები.

კოლხურ კულტურას, მეგრული სიმღერების სითბოსა და სინაზეს, მასში ჩადებულ დიდ ემოციურ აზრობრივ დატვირთვას, სინატიფეს, კეთილხმოვანებას აღტაცებაში მოჰყავს მსმენელი.

ჩვენი დიდი წინაპარი, დიდებული მამულიშვილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე წერდა: **“ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის ყოფილის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისგან მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაც”.**

ადამიანი თავისი წარმოშობით, წარმომავლობით უხილავი ძაფებითაა მიჯაჭვული წარსულთან. ის თავისთავში ატარებს ეროვნულობის კოდს, რომლის წაშლა არავითარ ძალას არ შეუძლია. სწორედ ეროვნულობის ეს ნიშატი, დვრიტა საფუძვლად უდევს მის მსოფლმხედველობას და განაპირობებს ამ პიროვნების ადგილსა და მომავალს თანამედროვე ცხოვრებაში.

მოვიყვან მაგალითს სხვადასხვა ეპოქიდან. აიეტი – ძლიერების, მამაცობის, სიბრძნისა და სწორუპოვრობის სიმბოლო, ქუჯი – ეგრისის ერისთავი – (პიროვნულზე მაღლა დგომა, ერთგულება საერთო ეროვნული საქმისადმი)... დიახაც, რომ იცოდა ფარნავაზმა ვისთვისაც უნდა მიემართა დახმარებისათვის.

სწორედ ეგრისში ეგულებოდა მცხეთელ დიდგვაროვანს ერთგული და უღალატო მოკავშირე. ქუჯის უნდა უმადლოდეს ქართველი ერი ერთიანი ძლიერი სუვერენული სახელმწიფოს შექმნას.

ცოტნე დადიანი, რომლის გმირობამ, ვაჟკაცობამ თვით **“სახედაღრეჯილი მონღოლი ვინმეც რომ განაცვიფრა”**, მეგრული **“ნანნი”** გაზრდილი პროფესორ ჟორდანიას გმირობა. უბადლო მაგალითი სრულიად უცნობი ადამიანისთვის თავგანწირვისა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია – ნიმუში ადამიანური სრულყოფილებისა, ეროვნული მოძრაობის მეჩირაღდნენი და სამშობლოს ზვარაკად შეწირულნი

მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია.

თავისთავად საპასუხისმგებლოა იმის გაცნობიერება, რომ შენ უხსოვარ დროიდან მოაბიჯებ ისტორიის ასპარეზზე, რომ უდიდესი და უძველესი ცივილიზაციიდან მოდიხარ და **“საუკუნე მოგაქვს მხრებით”.**

ფიცხი, ზვიადი, ოქრომრავალი კოლხას მეფის – ჰელიოს მზის შვილის მემკვიდრეობა სულაც არ არის ადვილი.

ძლევამოსილი აიეტის სამეფოში დავანებული სიბრძნის, ცოდნის, განათლების, კულტურის შუქი უხვად განეფინებოდა მახლობელსა თუ შორეულ ქვეყნებს, აღმოსავლეთ-დასავლეთს.

ეზოტერიზმი – ნათელმხილველობა, მომავლის განჭვრეტა, კოსმიურ სამყაროსთან და მის წამმართველ ძალებთან სულიერი კავშირი სწორედ ზეადამიანური ღვთაებრივი განცდითა და შთაგონებით მიიღწეოდა.

მედეა ფლობდა ბალახთა საიდუმლოს არა ჯადოქრობით, არამედ დახვეწილი, განსპეტაკებული ნათელი ჭვრეტითა და აზროვნებით.

კოლხმა კირკემ (იტალიის დამაარსებელმა) ბერძნები ღორებად აქცია და არა პირიქით. ეს მეტყველებს კოლხური კულტურის უპირატესობას ბერძნულზე.

მრავლისმნახველი, **“ყოვლისმცოდნე”** ბერძნები წერდნენ: **“კოლხებს ჰქონდათო მამა-პაპათაგან დატოვებული წიგნები – კვირბები”**. და ვინ იცის, რამდენი საიდუმლოს ამოხსნა შეეძლოთ იდუმალებით მოსილ ნაწერებს,

ჟამთასვლაში უმოწყალოდ დაკარგულთ.

განა პირმშვენიერი, **“კოჭებმშვენიერი”** მედეას სახელით არ დამკვიდრდა სიტყვა **“მედიცინა”** მსოფლიოში.

ფაზისის ფილოსოფიური სკოლაც გავიხსენოთ, რომლის შესახებ უდიდესი ფილოსოფიური ტრადიციების მატარებელი ბერძნები მოკრძალებით რომ ლაპარაკობდნენ და ურჩევდნენ მშობლებს თავიანთი შვილების სიბრძნის საზიარებლად იქ მიყვანას.

კოლხეთი სამყაროს ჭიპია, სამყაროს იდუმალებათა გასაღები. საითაც უნდა წავიდეთ, საითკენაც უნდა გავემართოთ, ყველა გზა მაინც კოლხეთში მიდის.

ნიკო მარის და ზოგიერთი სომეხი მეცნიერის ობიექტური წარმომადგენლების საინტერესო გამოკვლევებითაც ირკვევა, რომ მცირე აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიეკუთვნებოდა კოლხური მოდგმის ხალხებს (მოსხები, კაპადოკიელები, კოლხები). წმინდა ნინო და წმინდა გიორგი კაპადოკიელი წმინდანებია წარმოშობით, მაშასადამე კოლხები არიან. **“კაპადოკია”** – **“სოფელი მეგრელთა”** – ასე მოიხსენიება კაცობრიობის ისტორიაში.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ არგონავტების ხომალდს **“არგო”** ჰქვია. არგო ხომ ძირით კოლხეთიდან მომდინარეობს. არგო-არგვეთი, ეგრისი (**“გრ”** – ფუძე).

ორფეოსიც წარმოშობით პელაზგია. მამამისის სახელი ეაგრ – ემთხვევა კოლხეთის სახელს – ეგრისი – ეგრი. მისი მიზანია აღორძინება იმ პელაზგური კულტურისა, რომელიც ელინურ პერიოდში დაკნინდა.

არგონავტები კოლხეთში ლაშქრობენ მისტიური სიბრძნის – ოქროს საწმისის მოსაპოვებლად (პარალელი გრაალთან), რომელიც წარმოშობით კოლხურია.

ჰერაკლე ჰესპერიდების ბაღნარში მიდის, პირინეის იბერიაში, ვაშლების მოსაპოვებლად, მინოსს ცოლად ჰყავს აიეტის და – პასიფაე.

ტროა გაცილებით ძველი კულტურული სამყაროა, ვიდრე ელინური. ტროელები და კოლხები ერთი და იგივე მოდგმის ხალხია.

ტროას ომის გმირი აქილევსი წარმოშობით პელაზგია, კოლხი. ტროელები ელენეს მოტაცების ფაქტს ხსნიან, როგორც ბერძნებზე შურისძიებას, ადრე მათ მიერ მედეას მოტაცებისათვის. ძირითადად კი ძველბერძნული პანთეონის ღმერთები პელაზგური წარმოშობისაა. მაგალითად ზევსი, რომლის კულტი მუხასთან არის დაკავშირებული, ჰერაც პელაზგური ქალღმერთია, აგრეთვე – დემეტრა. როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა **“დე”** ფუძე უცხოა ბერძნულისათვის. **“დე”** არის იბერიული წარმოშობის ფუძე დედა. ძველბერძნული

პანთეონი დაფუძნებულია ძველკოლხურ პანთეონზე.

კანონზომიერებაა ალბათ ისიც, რომ დრო, ჟამი, ფაქტი, მოვლენა, თავის ანაბეჭდს ყველგან ტოვებს, ვიდაცას აწყობს თუ არ აწყობს.

ისტორიას დროთა მანძილზე სამზეოზე გამოაქვს საიდუმლოებებით მოცული არაერთი უტყუარი საბუთი და მოვლენა – ჭეშმარიტების დასამტკიცებლად.

უახლოესი დროის აღმოჩენები ფარდას ხდიან გარდასულ საუკუნეთა მიღმა შთენილ ბატალიებს.

იქ, სადაც უხსოვარ დროში თვალუწვდენელი ოკეანე ლივლივებდა და დინოზავრები ზანტად მიჰყვებოდნენ ნაპირს, ამჟამად მარტვილის, სენაკის, აბაშის რაიონის უმშვენიერესი სოფლებია გაშენებული.

მეხსიერებამ, რაღაც უხილავმა ძალამ შემოინახა და თაობიდან თაობას გადასცა ლეგენდა აწ უკვე ამოხსნილი ამ ადგილებში მდებარე ნავებისა და გემების მისადგომების შესახებ. ბაბუაჩემი მიყვებოდა უზარმაზარ რკინის პალოზე მიბმული ჯაჭვის ამბავს.

დიხაშხო, წყალტუბო იმერეთის რეგიონში შემავალი ტერიტორიაა თავისი მეგრული ტოპონიმითა და წარმოშობით.

არტანუჯი კი პროფესორ აკაკი შანიძის გამოკვლევით **არტაანიშ ყუჯ**-ს ნიშნავს (არტაანის ყურე).

ენათმეცნიერის უტყუარმა ალღომ უცებ უპოვა სიტყვას გასაღები.

გენეტიკური კოდი კი, რომელიც ყველა ჩვენგანში დევს, თავის-თავად მოქმედებს, მოძრაობს, მიგანიშნებს, ზოგჯერ იფეთქებს კიდეც და შენც უნებურად ეძებ, იკვლევ, პოულობ კიდეც უტყუარ პასუხს მრავალ კითხვაზე, ვინაიდან გული გულს იცნობს. სხვათა შორის, ნუ დაგვავიწყდება, რომ აიეტი კორინთოდანაა, ანუ კორინთელთა წინაბერძნული სამყარო მშობლიურია მისთვის.

საბერძნეთი და იტალია წარმოშობით კოლხურია. კოლხურია პირენეის, ბასკური სამყაროც. მართლაც რომ უდავოა რომ კოლხეთი სამყაროს კარიბჭეა, მსოფლიო ცივილიზაციის იდუმალება თუ ამოხსნის გასაღები.

“ნათესავი წავალს და ნათესავი მოვალს და ცხოვრება ჰგიეს უკუნისამდე” – ამბობს ეკლესიასტე.

გადაშენდნენ, გადაგვარდნენ, აღიგავენ პირისაგან მიწისა ცივილიზაციები, ისტორიის მსახვრალ ხელს ვერ გადაურჩნენ უდიდესი იმპერიები, დროის ქარტეხილებმა გაანადგურა არაერთი მძლავრი სახელმწიფო.

ათასი ჯურის, მოდგმის მტერთან ომგადახდილი, მრავალჯერ გადანახადი კოლხეთი, ასგზის იავარქმნილი და ფენიქსისებრ ფერფლიდან აღმდგარი, ისევ ამაყად დგას თავის ფესვებზე, ისევ ძალუმად ჩქეფს მის ძარღვებში უკვდავი ღვთაებრივი სისხლი, ისევ იფრქვევა მის შთამომავალთაგან გონიერების, ნიჭიერების უსაზღვრო სხივი, ისევ ისევე ბრწყინავს, როგორც ოდესღაც არესის ჭალაში, მუხაზე ჩამოკიდებული ოქროს საწმისი – სიმბოლო ნათელი აზრისა და ბუნებისა.

მითებში, ლეგენდებში გახვეულ კოლხეთს დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მტერი თუ მოყვარე ახალი აღმოჩენებით, ისტორიული ფაქტებით (**“ფესტოსის დისკო”**, დინოზავრების ნაკვალევი მდინარე აბაშის ხეობაში).

სხვანაირად არც შეიძლება. რამეთუ მასში უკვდავი სულია დავანებული. ის ხომ ყველასგან გამორჩეული, დახვეწილი, უძველესი და უმშვენიერესი, უნიკალური სამყაროა, რომელსაც მართლაც **“საუკუნეები მოაქვს მხრებით”.**

როგორც დიდებული ქართველი პოეტი, სულმნათი შოთა ნიშნიანიძე ბრძანებდა: **“ეს მხარე სულ სხვა მხარეა, ღმერთო, დიდებულო, მოხედე”.**

დალი ცეკვავა,
თბილისი

100 ათასი რეზერვისტი თუ 100 ათასი წინასაარჩევნო აქტივი

1989 წლის 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნის აღნიშვნის ტრადიციულმა დღემ **„ნებაყოფლობითი რეზერვის“** უკვე სკანდალურ თემას ახალი იმპულსი შესძინა. 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით პარლამენტის ეზოში ჯარისკაცებთან სიტყვით გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა მისთვის ჩვეულ ეგზალტირებულ სტილში განაცხადა, რომ **„ვინც დღეს საქართველოში ხელს აღმართავს ქართული ჯარის იდეაზე, მათ შორის რეზერვისტთა იდეაზე, ის პირდაპირ ემსახურება საქართველოს მტერს“. პრეზიდენტის თქმით, მარტო ბოლო 9 თვეში ნებაყოფლობით რეზერვში 50 ათასი ადამიანი ჩაეწერა და ეს რიცხვი ზაფხულამდე 100 ათასს მიაღწევს. „მე არ ვლაპარაკობ გაწვეულ რეზერვზე, არამედ ვლაპარაკობ ნებაყოფლობით რეზერვისტებზე. იმ ქართველებზე, ვისაც უნდა თავისი სოფლის, თავისი ქალაქის, უბნის, კორპუსის დაცვა და ამისთვის ითხოვენ ჩვენგან წვრთნას და იარაღს. ეს არ არის პოლიტიკური პარტიის ან რომელიმე ჯგუფის ახირება,“** – დააკონკრეტა სააკაშვილმა. ეს სავარაუდოდ, გაკეთდა იმ ბრალდებების საპასუხოდ, რომელიც **„თავისუფალი დემოკრატების“** ლიდერმა ირაკლი ალასანიამ ცოტა ხნის წინ წაუყენა ხელისუფლებას. შეგახსენებთ: ალასანიამ **„ნაციონალური მოძრაობა“** ზუგდიდსა და კონფლიქტის ზონასთან მოსაზღვრე სოფლებში ნებაყოფლობითი რეზერვის საფარქვეშ უკანონო ფორმირებების შექმნაში დაადანაშაულა და ამის დამადასტურებელი ინფორმაცია კონკრეტული სახელებითა და გვარებით უშიშროების საბჭოს გაუგზავნა.

ალასანია და კოალიცია **„ქართული ოცნება“**, რომელსაც ის წარმოადგენს, ამტკიცებენ, რომ სწორედ ამ ინფორმაციის გახმაურების შემდეგ ხელისუფლებამ სასწრაფოდ დაიწყო ნებაყოფლობითი რეზერვის კონცეფციის შემუშავება. რომლის მიხედვითაც, კონცეფციის თანახმად, **„ნებაყოფლობითი რეზერვი“**, ყოფილი სამხედროებით დაკომპლექტებული **„აქტიური რეზერვისგან“** განსხვავებით, სამხედრო საქმეში გამოუცდელი მოქალაქეებისაგან დაკომპლექტდება და მისი ფუნქცია სამხედრო-სამოქალაქო იქნება. საზოგადოების და ექსპერტების ყურადღება თავიდანვე მიიქცია ნებაყოფლობითი რეზერვის პროექტში ჩადებულმა პუნქტმა, რომლის თანახმადაც, ნებაყოფლობითი რეზერვის ერთ-ერთი ფუნქცია კრიზისულ სიტუაციებში ხელისუფლების დახმარებაა. კრიზისული სიტუაციების ჩამონათვალი კი დაკონკრეტებული არ არის.

აღსანიშნავია, რომ მარტის ბოლოს კონცეფციის შემუშავება თავდაცვის სამინისტროდან ეროვნული უშიშროების საბჭოს კომპეტენციაში გადავიდა. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს ე.წ. ნებაყოფლობით რეზერვში პოლიტიკური კომპონენტის გაძლიერებაზე.

სააკაშვილის განცხადება, რომლის თანახმადაც, თურმე საქართველოს მამაკაცები ლამის ერთმანეთს ასწრებენ ნებაყოფლობით რეზერვში გაწევრიანებას, იარაღს ითხოვენ სამშობლოს დასაცავად და მათი რიცხვი მალე 100 ათასს მიაღწევს, არაერთ კითხვას ბადებს. რატომ გაუჩნდათ ამ მამაკაცებს სურვილი ნებაყოფლობით ჩაეწერონ რეზერვში მაინცდამაინც საპარლამენტო არჩევნების წინ, მაშინ როდესაც აგვისტოს ომიდან გასული 4 წლის განმავლობაში მათ ასეთი სურვილი არ გასჩენიათ. საუბარი პატრიოტულ აღტყინებაზე, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ **„ნებაყოფლობით რეზერვში“** მიმავალი მამაკაცები 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როცა რუსები მათ სოფლებსა და ქალაქებს იღებდნენ, სახლებში იყვნენ შეყუჟულნი და მოწინააღმდეგისთვის პასიური წინააღმდეგობაც კი არ გაუწევიათ. არადა, სოფლად ლამის ყოველ მესამე ოჯახში სანადირო თოფი მაინც აქვთ.

უცნობია, რატომ ადიოს 50 ათასი მამაკაცი ასე უცებ და ერთდროულად რეზერვისტობის დაუოკებელი ჟინით, როდესაც არც ერთი სოციოლოგიური კვლევა არ აჩვენებს საზოგადოებაში ასეთ განწყობებს? ამ კითხვებზე ერთ-ერთი შესაძლო პასუხი ირაკლი ალასანიას მიერ მოპოვებულ ინფორმაციაშია, რომლის თანახმადაც, ნებაყოფლობით რეზერვში გაწევრებულთ სოლიდურ ხელფასს უხდიან. სოციოლოგიური კვლევების თანახმად, მოსახლეობის 70%-ზე მეტი უმუშევრობას უჩივის, უმუშევარი მამაკაცისათვის კი ხელფასი, რომელიც მისგან არ მოითხოვს ყოველდღე სამსახურში მისვლას, საკმაოდ დიდი საცდურია. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში თითქოს 100 ათასი პრობაციონერი მამაკაცია, მათი დაყოლიება **„ნებაყოფლობით“** რეზერვისტობაზე დიდი პრობლემა არ უნდა იყოს, მით უმეტეს, თუ ამაში ხელფასს აიღებენ.

ნებაყოფლობით რეზერვზე პოლიტიკოსებსა და საექსპერტო წრეებში განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს. ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ექსპერტები, **„ნებაყოფლობითი რეზერვის“** არსებული ფორმით შექმნას, ბუნებრივია, იწონებენ და მაგალითად შვეიცარიასა და ნორვეგიას იშველიებენ. თუმცა იმას არ ამბობენ, რომ ამ ქვეყნებში პოლიტიკური სისტემა დიდი ხანია მოწესრიგებულია და ხელისუფლების უზურპაციისა და სამართლიანი არჩევნების ჩატარების პრობლემა არ დგას. სამხედრო ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ნებაყოფლობით რეზერვზე ბიუჯეტიდან გამოყოფილი სოლიდური თანხა ძირითადი შეიარაღებული ძალების სრულყოფისთვის უფროა საჭირო. თუმცა იმის გათვალისწინებით, რამხელა ფსონია დადებული არჩევნებზე, ხელისუფლების ასეთი გულუხვობა ნებაყოფლობითი რეზერვის დაფინანსებაზე გასაგებია. მოსაზრება, რომ ოპონენტების დასაშინებლად ან დემონსტრაციების დასარბევად ხელისუფლებას კარგად გაწვრთნილი პოლიცია და ჯარი ჰყავს და **„ნებაყოფლობითი რეზერვის“** დახმარება სულაც არ სჭირდება, ადვილად ბათილდება თუნდაც 26 მაისის აქციის დარბევის მაგალითით, როცა აქციის დარბევაში პოლიციასთან ერთად და მასზე გაცილებით აქტიურად სწორედ არაფორმალური დაჯგუფებები, ე.წ. ზონდერები მონაწილეობდნენ.

P.S. სამხედროების წინაშე გამოსვლისას სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს დღეები არაერთხელ გაიხსენა და პარლამენტის წინ გამართულ სპონტანურ მიტინგზეც ისაუბრა, რომლის ზედმეტად პომპეზურმა და საზეიმო სცენარმა საზოგადოების დიდი ნაწილი გააღიზიანა. **„ჩვენ ვიცოდით, რომ ბრძანება იყო გაცემული ამ მიტინგის დაბომბვის“,** – განაცხადა სააკაშვილმა. გამოდის, რომ ხელისუფლება, რომელსაც პარლამენტთან მისული ადამიანებისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს მოსალოდნელი სასიკვდილო საფრთხის შესახებ, მზად იყო, ათასობით მშვიდობიანი თანამოქალაქე მოწინააღმდეგის ბომბების სამიზნედ ექცია.

ზ. შანიძე

პოეზიის კუთხე

გმირის დედას

/ფენია შარტავას/

დედაო, გმირის მშობელო,
რატომ ჩაგიცვამს თალხია?
გმირია შენი ვაჟკაცი!
მადლობას გითვლის ხალხია.

არ გაიმეტო გლოვისთვის
ვაჟკაცად დაბადებული,
მომავლისა და სიკეთის,
ქვეყნისთვის თავდადებული.

ნუღარ იტირებ, არ გშვენის
მის დედას თვალზე ცრემლია,
ვერა, ვერ მოკლეს შენი ძე!
გმირი! სამშობლოს მცველია.

ბამახარე

უსიტყვოდ რომ მიგატოვე
ახლა ვნანობ...
შენი პოვნის იმედებიც
გამქრალა,
მიყვარხარო, ვერ გითხარი
თავის დროზე,
ბედიც ჩემზე ალბათ მიტომ
გამწყრალა.
როგორ მინდა გაზაფხულის
ყვავილივით
სადღაც შემხვდე. გამიღიმო
მორცხვად,
და ისევე ამ ბავშური სიყვარულით
გაკოცო და დამიბრუნო კოცნაც.
გამახარე, გამახარე, ჩემო კარგო,
დამიბრუნე ბედნიერი ღამე...
მომეფერე, მომეფერე ისევ ნაზად,
სიყვარულზე მომიყევი რამე.
გვირილებში დაკარგული
იებივით
ვერ გპოულობ, იმედებიც
გამქრალა...
მოდი ჩქარა, მომეფერ შენებურად
სანამ მართლა ბედი ჩემზე
გამწყრალა.

სამეგრელოს

ჭავჭავაძის მასპინძელო,
საქართველოს გვირგვინო,
ფრთები გინდა, სამეგრელოვ,
ანგელოზად იფრინო!

კაცი საფიცარი

/ჟიული შარტავას/

მოკლესო კაცი, დევგმირი!
რეკავს დედო ზარი,
ქვეყანას უღვთოდ მოუკლეს
კაცი, საფიცარი!
ხალხმა იმედი დაკარგა!...
შვილი, სანუკვარი,
ცრემლს ვეღარ იტევს, ღრიალებს
ნაღვლიანი მტკვარი.
ღრუბლები ატირდნენ ცაზე,
ნაზი სიოც მოთქვამს,
მოკლეს მომავლის იმედი
მთელი ერი ბორგავს.
... და ქვითინო ცაში მიქვს
ანგელოზთა კრებულს,
დღეს დასტირის საქართველო
მის შვილს გამორჩეულს.

მოვდივარ სენაკში

მოვდივარ, გულში ჩავეკრა
ჩემი ოცნების ქალაქს!
ის არის ჩემი სიმდიდრე,
სხვა მეტი აბა რა მაქვს.
მეძახის ძველი სითბო,
ჩემი ბავშვობის გზები...
იქ ჩემი სიჭაბუკეა
და სიყვარულის წლები.
დამხვდება იქ დედაჩემის
შევერცხლილი თმები
მიყვარს... მიყვარს ჩემი ეზო,
და ჩემი მეზობლები?!

როზმან ძამადაძე
სენაკი

„რუსეთის ინტერესების გათვალისწინების გარეშე საქართველოს დაშლის პროცესი გაგრძელდება!“

საქინფორმის სტუმარია – პარტია **„ნეიტრალური საქართველოს“** თავმჯდომარე, ბატონი **ვალერი კვარაცხელია.**

– ბატონო ვალერი, როგორ შეაფასებდით საქართველოში დღევანდელ გეოპოლიტიკურ და შიდაპოლიტიკურ ვითარებას და რა პერსპექტივები აქვს ამ კუთხით ქვეყანას?

– ვფიქრობ, დიდი შეცდომაა, როცა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას გლობალური პოლიტიკიდან მოწყვეტილად განვიხილავთ. ვამბობთ, რომ რაკიღა დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, და ვართ თუ არა, ეს კიდევ ცალკე საკითხია... რაკიღა დეკლარირებულად ვართ, ვაცხადებთ, რომ საითაც გვინდა, გადავიხრებით და როგორც გვინდა, მოვიქცევით, ასე არ ხდება. საქართველო ვართ, მაგრამ ეს საქართველო, ამავე დროს, პლანეტის ნაწილიცაა. ვართ თანამეგობრობის არცთუ დიდი მოცულობისა და მასშტაბის, მაგრამ – წევრი. ამიტომ ყოველთვის გათვალისწინებული უნდა გვქონდეს ის კონტექსტები, რაც დიდ პოლიტიკაში ხდება. ეს დიდ ერებსაც მართებთ, მაგრამ, განსაკუთრებით, პატარა ერებს ეხებათ. სამწუხაროდ, ასე არ არის. არადა, სრულებით ახლებურ გეოპოლიტიკურ კონტექსტებს ვკითხულობ. თუნდაც სეულის ყბადაღებული ფაქტი – ობამასა და მედვედევს შორის **„ჩურჩულით ნათქვამი“.** ამ **„ჩურჩულის“** შინაარსში ახალი რეალობა გამოიკვეთა და სწორედ რეალობაა გასათვალისწინებელი. როგორც ჩანს, ამუშავდა ის რეალობა, რაც 2007 წლის მიუნხენის კონფერენციაზე პუტინმა განაცხადა, რომ **„ერთპოლუსიან მსოფლიოს უნდა დავემშვიდობოთ“**. ობამამ, ფაქტობრივად, აღიარა ეს, რაც ნიშნავდა, რომ **„მანევრირებისთვის სივრცე მომეცით, ჩემი არჩევნები მოდის, სანაცვლოდ კი, მე ვიქნები გაცილებით მოქნილი რაკეტსაწინააღმდეგო შეიარაღების საკითხებთან დაკავშირებით“.** ამაში იკითხება ის, რომ რუსეთი ამერიკელებისთვისაც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. ამერიკული ისტებლიშმენტის პროგრესული ფრთა, რომლის წარმომადგენელი ობამაცაა და რომელმაც რუსეთთან გადატვირთვისა და სტრატეგიული თანამშრომლობის პოლიტიკა დაიწყო, რუსეთს ასეთ ძალად განიხილავს.

– თუმცაღა ეს გადატვირთვის პოლიტიკა რაკეტების თემამ, გარკვეულწილად, შეაჩერა...

– რა თქმა უნდა, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ერთპიროვნულად ვერ წყვეტს ყველაფერს. **„პოლიტიკური ქორების“** სახით, მძლავრი პერსონები – სენატორები, როგორიც არის ჩვენი ხელისუფლების სათაყვანებელი მაკეინი, ან, თუნდაც, ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი, სახელმწიფო მდივანი კლინტონი, იმ რეაქციულ ფრთას წარმოადგენენ, რომლებიც ამერიკისთვის ასე სანუკვარ ოცნებას – მსოფლიოზე ერთპიროვნული ჰეგემონიის იდეას – ჯერაც ვერ ელევიან. რეალურად, განსაკუთრებით კი, მას შემდეგ, რაც რუსეთი ფეხზე წამოდგა და ის მოთამაშე გახდა, რაც, პრაქტიკულად, საბჭოთა კავშირი იყო, ამერიკას ამის რესურსი უკვე აღარ ჰყოფნის.

– „ფერადოვანმა რევოლუციებმაც“ ძალიან ცუდი როლი ითამაშა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში...

– ცუდი როლი ითამაშა, რადგან წარმატებას ამ რევოლუციებმა ვერსად მიაღწია, თუ არ ჩავთვლით საქართველოს. საქართველოში ეს რევოლუცია მეტ-ნაკლებად წარმატებული გამოდგა. სააკაშვილის ფენომენია ეს თუ სხვა რამ, ყოველ შემთხვევაში, აშშ საქართველოში ჯერ კიდევ ინარჩუნებს გავლენას.

– შესაძლოა, სააკაშვილისთვის წარმატებულია, ხალხისა და ქვეყნისთვის – არ გამოდგა...

– წარმატებულში მე ამერიკელებისთვის წარმატებულს ვგულისხმობ. მოგვწონს თუ არა, ვეთანხმებით თუ არა, ჩვენ მძლავრად ვართ წარმოდგენილნი იმ ოპერაციებში (ავღანეთში და სხვაგანაც)... შეუსაბამოდ მძლავრად ვართ წარმოდგენილი! არ უნდა ვიყოთ ასე. ბევრი ფაქტორია იმისა, რომ მათ სააკაშვილმა იმავე იუშჩენკოსა და სხვებზე მეტად გაუმართლა.

– ბატონო ვალერი, ასეთი პროექტის დათმობას როგორ შეეგუება აშშ?

– საქართველოზე ვსაუბრობთ და არ ვიცი, აქ როგორ განვითარდება მოვლენები. ფაქტია, რომ ივანიშვილი, ვისი დიდი იმედებიც გაჩნდა საქართველოში, არა იმიტომ, რომ ჩაანაცვლებდა სააკაშვილს, არამედ რეალურად შეცვლიდა რაღაცას... უპირველესად, ეს უნდა ყოფილიყო ნაბიჯები საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებისკენ, ნაბიჯები ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისკენ, ნაბიჯები საქართველოში მართლაც დემოკრატიული პროცესების დაწყებისკენ. დასაწყისში, როცა მან თავის პრიორიტეტებში საქართველოს რუსეთთან ურთიერთობების აღდგენაზე განაცხადა, ეს იყო მკაფიო სიგნალი, რომ მართლაც რაღაც რეალურ ცვლილებებთან გვექნებოდა საქმე.

– მოსახლეობაც დიდი მხარდაჭერით შეხვდა ამას, თუმცა ხელისუფლებისგან მყისიერად ივანიშვილისგან რუსული ფულისა და პრორუსული კურსის თემა გაჩნდა...

– რა თქმა უნდა, ეს იარლიყები ამათ გამზადებული აქვთ. რას ნიშნავს პრორუსული? ესენი რუსულ ფულსა და ინტერესს გულისხმობენ, მაგრამ ხომ შეიძლება ადამიანი არა რუსული ინტერესების, არამედ სწორედ საქართველოს ინტერესების სამსახურში იდგეს – როდესაც ლაპარაკობ, რომ რუსეთთან მტრობას მასთან მეგობრობა სჯობს?! რა თქმა უნდა, ამ მეგობრობისთვის რაღაც ამოსავალი წერტილები გამონახებოდა. ასეთი წერტილები არსებობს და ჩვენ გვეგონა, რომ ივანიშვილი ამ მიმართულებით გააგრძელებდა მოღვაწეობას, არ შეუშინდებოდა იარლიყებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ მან ერთი-ორი თვის შემდეგ ას ოთხმოცი გრადუსით შეცვალა თავისი პირვანდელი პრიორიტეტები და განაცხადა, რომ ნატო არის ჩვენი ბედი და ა.შ. ამ მსოფლმხედველობითა და პრიორიტეტებით, ბიძინა ივანიშვილი რომც მოვიდეს ხელისუფლებაში, არაფერი შეიცვლება. სხვა საკითხია, მოვა ის თუ ვერა?! ვფიქრობ, რომ დღეს მას უმრავლესობით მოსვლის მინიმალური შანსი აქვს.

– მიუხედავად ამისა, მოსახლეობაში ამის დიდი განწყობა და იმედია...

– რა თქმა უნდა, მოსახლეობაში ამის განწყობა ჯერ კიდევ არის, თუმცა ეს განხილვის პროცესი შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ვნახოთ, პროცესები როგორ წარიმართება, მაგრამ სააკაშვილი იქნება ეს, ივანიშვილი, თუ პეტრიაშვილი, ვინც უნდა იყოს, ეს ახალი გეოპოლიტიკური კონტექსტი ამ რეალობის გათვალისწინებას ყველას აიძულებს.

– ანუ ყველა შემთხვევაში, ჩვენ რუსეთთან რაღაც ფორმით ურთიერთობაზე წასვლა მოგვიწევს?

– როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი საშინაო საქმეებთან, ანუ არჩევნების თემასთან, დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლებას მანევრირების სივრცის მიცემაზე ეხვეწება... თუ ამერიკისთვის ამდენს ნიშნავს რუსეთი, როგორ დავიჯერო, საქართველოსთვის არ ექნება ამას მნიშვნელობა? გულუბრყვილოები უნდა ვიყოთ, ვიფიქროთ, რომ რუსეთის ინტერესების გათვალისწინების გარეშე, ჩვენ ჩვენს ინტერესებს დავიკმაყოფილებთ. ასე არ მოხდება. არა იმიტომ, რომ მე განსაკუთრებული ხედვები მაქვს; ვინც ამ საკითხზე დაფიქრდება, ყველა ნახავს, რომ რუსეთის ინტერესების გათვალისწინების გარეშე გაგრძელდება ის პროცესი, რაც დაწყებულია და რასაც საქართველოს დაშლის პროცესი ჰქვია!

დღეს საქართველოს ორი ავტონომიური ერთეული – აფხაზეთი და სამაჩაბლოს რეგიონი – აქვს დაკარგული. ურთულესი ვითარებაა შექმნილი აჭარაში, სადაც დიდძალი კაპიტალით შემოსული უამრავი თურქი იქ საკუთარ გავლენას აძლიერებს. ერთია ტანკითა და თოფით წართმეული, მეორეა – ფულითა და კაპიტალით. ამას თუ საქართველოში არსებულ ცხელ რეგიონებსაც დავუმატებთ, სადაც დაშლის პროცესი თუ დაიწყო და **„ყნოსვის რეცეპტორებს გაუღიზიანებს“,** დიდი და პატარა მეზობელი ყველა თავისის მიტაცებას და მისაკუთრებას დაიწყებს, მით უფრო, თუ ეს პროცესი რუსეთიდან იქნა წახალისებული – ამას ვეღარაფერი შეაჩერებს. ამიტომ მგონია, რომ რუსეთთან საერთო ინტერესები აუცილებლად უნდა გამოინახოს, ისეთი, სადაც რუსულიცა და ქართული ინტერესიც დაკმაყოფილდება.

ძალიან ზოგადი რომ არ გამოვიდეს, განვმარტავ: ნატოში შესვლაზე ჩვენი უარი რუსეთისთვის დიდი ინტერესია, რამდენადაც მას არ სჭირდება ნატოს ალყაში მოქცევა, სოჭის საზღვრებთან ნატოს მძიმე შეიარაღება და ა.შ.

გეკითხებით, თუ ნატოზე უარის თქმით საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების შანსს ვინარჩუნებთ, ვიშორებთ ყველა იმ საფრთხეებს, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ნატოზე უარის თქმა ამად არ გვიღირს?

– ბატონო ვალერი, ხელისუფლების პოზიციით, ნატოში შესვლა კი არ შლის საქართველოს, პირიქით – რუსეთმა დაანაწევრა და დაშალა ის და ნატო გაგვამთლიანებს...

– ეს რიტორიკა და ლოგიკა ხუთი, ათი წლის წინ იმუშავებდა, მაგრამ დღეს აბსოლუტურად არ მუშაობს. ერთია გაცხადებულ-დეკლარირებული განცხადებები, მეორეა – რეალობა. ნატოკენ სწრაფვამ იქამდე მიგვიყვანა, რომ საქართველო დაშლილი და გაპარტახებულია. ნატომ და შტატებმა ვერაფერი იღონეს ამ პროცესის შესაჩერებლად და ეს რეალობაა.

გავაგრძელოთ ამ მიმართულებით სვლა?.. მე ჩემს აზრს მოგახსენებთ, რომ გაგრძელდება საქართველოს დაშლის პროცესი. შეუძლია ეს ჩვენს ხელისუფლებას? ამ ხელისუფლებას ეს არ შეუძლია, რადგან მას თავი ნატოსთან და ამერიკასთან აქვს იდენტიფიცირებული და არა – საქართველოსთან. ხელისუფალთ არ შეუძლიათ, მაგრამ ქართველმა ხალხმა უნდა შეძლოს, რომ არჩევნების გზით, კონსტიტუციის გზით, თუ ეს მოხერხდება, შეცვალოს ხელისუფლება. მაგრამ ვაი, რომ ალტერნატივა არ ჩანს, რადგან დღევანდელ მსოფლიოში ფული წყვეტს ყველაფერს.

ხალხის ინტერესების გამომხატველ ძალას ფული არ გააჩნია. ფული იმ ძალას აქვს, რომლის უკანაც რომელიმე დიდი სახელმწიფოსა და დიდი ალიანსის ინტერესი დგას. ეს ძალები კი, ჩვენდა სამწუხაროდ, იმ ძალების ინტერესებისთვის მუშაობენ და არა – ქართველი ხალხის. არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ მართლა აირ-დაირიოს ყველაფერი.

– რამდენადაც ბიძინა ივანიშვილი აფიქსირებს, რომ ამ მიწაზე გაზრდილია, ქართველია და ამ მიწის შვილია, ალბათ, ის შინაგანად იგრძნობს, ქვეყნისა და ხალხისთვის უკეთესი რა იქნება...

– ღმერთმა ქნას, იგრძნოს, თუ დაგვიანებული არ იქნება. მას ეს უნდა ეგრძნო და, როგორც გითხარით, პუტინი არც მალავს ხოლმე თავის სტრატეგიულ ჩანაფიქრებს, და არა მარტო რუსეთისთვის. როცა კოსოვოს საკითხი იდგა, პირდაპირ განუცხადა ამერიკელებს, რომ თუ ეს აღიარება ქნება, მაშინ ჩვენ აფხაზეთსა და ოსებს ვეღარ ვეტყვით – პრეცედენტი არ არსებობსო. არჩევნებამდეც და შემდეგაც განაცხადა, რომ უნდა შეიქმნას ევრაზიული კავშირი – რეგიონული გაერთიანება. იტკიცეს შუბლზე ხელი, რომ ეს საბჭოთა კავშირის აღდგენაა. რეგიონული გაერთიანებები კი თავისთავად ახალი არ არის. ერთ-ერთ ყველაზე მოწინავედ ევროკავშირია აღიარებული. რეგიონულ გაერთიანებას, თუ ის რაღაცით მიმზიდველი იქნება, წინ ვერაფერი დაუდგება. ჯერ უნდა განვიხილოთ, რას გვპირდება ეს რეგიონული გაერთიანება – ეროვნული უსაფრთხოების, ეკონომიკის, ბაზრის თვალსაზრისით. როცა აიწონ-დაიწონება და მერე იტყვის ადამიანი, რომ – არა, ეს ჩვენთვის მიუღებელია, იმიტომ, რომ რაღაც უკეთესი არსებობს გვერდზე, მაშინ ლოგიკურად შეიძლება ჩათვალო.

– ბატონო ვალერი, ერთ-ერთ გამოსვლაში, როდესაც ამ ევრაზიულ კავშირზე დაუსვეს კითხვა, თედო ჯაფარიძემაც განმარტა: „არ ვიცით, რა არის და ჯერ უნდა გავერკვეთ“... მაშინვე დაესხნენ თავს, რომ საბჭოთა კავშირი უნდათ და ა.შ. საბჭოეთი რომ ვეღარ აღდგება, ეს საღად მოზროვნე ყველა ადამიანს უნდა ესმოდეს...

– სხვათა შორის, პუტინს თავის ცნობილ ფრაზაში ესეც აქვს ნათქვამი: **„ვინც საბჭოთა კავშირს ანგრევდა, მას გული არ ჰქონდა, მაგრამ ვისაც მისი აღდგენა სურს, მას ტვინი არ აქვს“...** ეს ძალიან სწორი მიდგომაა. იმ სისტემას, რომელშიც ჩვენ გავიზარდეთ, ნაკლოვანება ბევრი ჰქონდა, მაგრამ ბევრი კარგი და დადებითიც ჰქონდა. რაღაც საუკეთესო მოდელს წარმოადგენ და იწყება – ეს კომუნისტურია... მერე რა – თუ კომუნისტურია და კარგია, რას ერჩი?.. რაღაც კარგი იყო, რაღაც – ცუდი. კავშირის დაშლამ, თავისთავად, უზარმაზარი მტკივნეული პრობლემები მოიტანა.

– თუმცა საბჭოთა კავშირიდან პირველი რუსეთის ფედერაცია გავიდა და მერე ჩვენ დაგვბრალდა ყველაფერი...

– ასე რომ, წინასწარ იდეფიქსის დონეზე აკვიატებული მოსაზრებები ჩემთვის მიუღებელია.

ესაუბრა
ელენე ჩაჩუა

ჩვენი კეთილდღეობა და ადამიანების სიცოცხლე ფეხებზე ჰკიდიათ

(რობერტ სტურუა – საქართველოში დავბრუნდები მაშინ, როდესაც სხვა მთავრობა იქნება)

ბიძინა ივანიშვილი სპეციალურად სტურუასთვის თეატრს აშენებს?

9 აპრილი

სამწუხაროდ, იმ დროს გასტროლებზე ვიყავით ბულგარეთში. სპექტაკლის შემდეგ სტუმრად წავედით, სადაც ორიოდე ჭიქა ღვინო დავლიე. უცნაური შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ცუდად გავხდი, სასწრაფოსაც გამოუძახეს. დამოჩნდა, რომ ზუსტად იმ დროს, როდესაც თავს შეუძლოდ ვგრძნობდი, თბილისში ის საშინელება ტრიალებდა.

დედაქალაქში დაბრუნებულმა, ტრაგედიიდან რამდენიმე დღის შემდეგ, რუსთაველის პროსპექტზე ჩავლისას მაყრიონი შევნიშნე – ვიღაცას ოჯახში ქორწილი გაეჩაღებინა. გული ჩამწყდა, თუმცა კარგადაც მენიშნა – ცხოვრების კანონზომიერებაა ასეთი, სიყვარული გრძელდება...

გულში ხინჯად ჩამრჩა ის ფაქტიც, რომ 9 აპრილის ღამეს მხოლოდ გოგონები დაიღუპნენ. დარბევისას არც ერთი ორგანიზატორი იქ არ იმყოფებოდა, სამარცხვინოა... თეატრის ყველა კარი გაიღო, რომ მოქალაქეებს თავი შეეფარებინათ, მაგრამ მომწამვლელმა აირმა გაზი იქაც შეაღწია, რამდენიმე მსახიობიც დაშავდა...

დღეს სამწუხარო, იცით, რა არის? ამდენი ბრძოლის შემდეგ მაინც რომ აღმოვჩნდით ისეთ სიტუაციაში, როგორშიც ახლა ვართ – დემოკრატიული ქვეყნის ნაცვლად ავტორიტარულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. ძალიან მტკივა გული. იმ ადამიანების სიკვდილი არ ღირდა იმად, რა შედეგამდეც დღეს საქართველო მივიდა. ახლა იმავე დანაშაულს ეს სახელმწიფო სჩადის. 9 აპრილი, რომელიც შეიძლებოდა, სხვანაირად დარჩენილიყო ისტორიაში, დღეს განსაკუთრებულად სევდიანად ჟღერს...

რუსულ-ქართული პროგნოზი

ახლახან გაკეთდა განაცხადი, რომლის თანახმად, საქართველო გამოდის საჰაერო სივრციდან. ეს კატეგორიული განცხადებაა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც კარის მეზობლად დათვი გყავს. თან ამ დათვისგან მწარედ ვიწვნიეთ... სხვათა შორის, მოსკოვში არიან აგრესორი ძალები, რომლებიც ღიად ამბობენ, რომ მზად არიან მორიგი ომისთვის – თუ ძალიან **„გაგვიხურებთ“** ქართველები, მხოლოდ გორში აღარ გავჩერდებითო. შესაძლოა, საქართველოშიც იყვნენ მსგავსი სურვილის მქონე სუბიექტები, რომელთაც ძალაუფლების შესანარჩუნებლად ხელს აძლევთ სიტუაციის გართულება, მათ ამის გარდა არაფერი აინტერესებთ. ჩვენი კეთილდღეობა და ადამიანების სიცოცხლე ფეხებზე ჰკიდიათ. აქედან სურათი საშინლად ჩანს – რეალობა გაცილებით მკვეთრად აღსაქმელი და სამარცხვინოა. ვერ გეტყვით, რით დასრულდება ეს საშიში თამაში რუსეთთან, მაგრამ ერთიცაა, ვინ დაუჭერს მხარს საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ? ამერიკა უკვე სხვაგვარად უყურებს ჩვენს მთავრობას... იქ ახლა არჩევნები იწყება, ამიტომ შტატების პრეზიდენტს არ სურს პატარა საქართველოს გამო რუსეთთან ურთიერთობების დაძაბვა და თავის ატკივება. ახლო მომავალში არ არის გამორიცხული სიტუაციის დაძაბვა, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ საქართველო კიდევ წამოეგება რუსეთის პროვოკაციას.

მოსკოვის თეატრი

ახლა მოსკოვში თანამედროვე ფრანგულ პიესას ვდგამ. ძალიან საინტერესო სპექტაკლია, მაგრამ რთული. ეს არის აპოკალიფსური სურათი. მაისში უნდა ყოფილიყო პრემიერა, მაგრამ კალიაგინის იუბილეს ემთხვევა და სექტემბერში წარმოვადგენთ. ამათ რომ ჰკითხოთ, რუსები საქართველოს მტრები არიანო, რუსული მხარდაჭერა რომ არ იყოს, განა ქართული კულტურის მრავალი დარგი არ განადგურდებოდა?

სხვა თეატრი

რაც შეეხება თბილისს, სპეციალურად მსახიობ ლელა ალიბეგაშვილისთვის შევარჩიე ნაწარმოები, მასზე მუშაობა დაწყებულია. **„მასტერ კლასი“** – ასე ჰქვია სპექტაკლს, რომელიც მარია კალასის ცხოვრებაზეა. ეს ქალი იყო მოვლენა, მღეროდა ისე, როგორც არავინ... ივლისის ბოლოს დავბრუნდები თბილისში, სექტემბერში კი პრემიერა იქნება, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში თეატრალურ სივრცეში – სხვა, ალტერნატიულ გარემოს შევარჩევთ სპექტაკლის წარმოსადგენად.

რუსთაველის თეატრი

ალბათ, რუსთაველის თეატრი რომ სხვადასხვა ღონისძიების, გასართობი ტელეშოუებისა თუ წვეულების გასამართავად ხელმისაწვდომი სივრცე გახდა, მხოლოდ ერთი კონკრეტული ადამიანის ახირება და ინტერესი არ უნდა იყოს. ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ის, რაც დღეს თეატრში ხდება, მხოლოდ გამგებლის გადაწყვეტილებაა. მათი მიზანია, პირველი თეატრი, მნიშვნელობა არა აქვს, ვინ არის რეჟისორი, იქცეს მდაბიო სანახაობების სივრცედ. იქ, სადაც სცენაზე იდგმებოდა მარჯანიშვილის, ახმეტელის, ალექსიძის, თუმანიშვილის სპექტაკლები, ახლა უმსგავსო რამ ხდება. (ამის დასტურად მხოლოდ მართლაც უნიჭოდ და უხამსად დადგმული **„ქეთო და კოტე“** კმარა). ხომ შეიძლებოდა, ეს უნიჭობა თუნდაც ფილარმონიაში გაეკეთებინათ? (კოლეგებმა მაპატიონ, მაგრამ მიუზიკლის დადგმა იქ უფრო უპრიანი მიქნებოდა) ჩაფიქრებულია, რომ გააბითურონ თეატრი, შეურაცხყონ ქართული ეკლესიები... ებრძვიან ქართველისთვის მნიშვნელოვან წმინდა ადგილებს. ახლახან ერთს წამოსცდა, თურმე ვიღაც მდიდარ ინგლისელ პროდიუსერს სურს რუსთაველის თეატრის შესყიდვა. დახურეს თეატრალური ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია და კონსერვატორია, აერთიანებენ და სადღაც კახეთის გზატკეცილზე რადაც შენობაში ამწესებენ... ბევრ ინფორმაციას ვიღებ, მაგრამ ზოგს ვიჯერებ, ზოგს არა... გებელსი ამბობდა, სიტყვა კულტურის ხსენებისას, იარაღზე ვიდებ ხელსო. ჩვენი მთავრობის საქციელი ამ სიტყვებს მაგონებს.

ჩემს სპექტაკლებს ნელ-ნელა ხსნიან, შეუმჩნევლად, დელიკატურად აკეთებენ ამას – ბილეთებს აძვირებენ... რაც შეეხება მსახიობებს, რომლებიც ამ წნეხში ექცევიან და პროფესიულად იჩაგრებიან, მოთმინება მართებთ. ერთი გამოსავალი აქვთ – უნდა წავიდნენ, მაგრამ სად წავლენ?! ოჯახები ჰყავთ, დარჩებიან ღატაკებად.

შიშის სინდრომი იგრძნობა ადამიანებში. შიში, რომელსაც მთავრობა თესავდა ქართველებში, თავადვე ჩაესახათ, დღეს ისინი ხალხზე მეტად შეშინებული არიან.

ივანიშვილის თეატრი (?!)

– ამბობენ, რომ ივანიშვილი სპეციალურად თქვენთვის თეატრს აშენებს...

– ამის შესახებ არაფერი მსმენია, ჩამოვალ თბილისში და ვნახოთ, რას მეტყვიან. თუ სიმართლე იქნება, პირველად თქვენ მოგიყვებით.

– დავუშვათ, სიმართლეა. დაბრუნდებით საქართველოში?

– დავფიქრდები... ალბათ, დავბრუნდები, მაგრამ არა როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი, არამედ კონსულტანტი. ეჭვი მაქვს, თუ მართლა აპირებს ბატონი ბიძინა თეატრის აშენებას, ესენი აუცილებლად შეუშლიან ხელს... და როდესაც ივანიშვილი მართლაც შეძლებს ამას, მე არ ვიცი, სად და როგორ ვიქნები, ან ვიქნები კი? და მაინც... საქართველოში დავბრუნდები მაშინ, როდესაც სხვა მთავრობა იქნება. შესაძლოა, ეს ჩემი სიკვდილის შემდეგ მოხდეს. გავიხსენოთ **ვიქტორ ჰიუგოს** მიერ ნათქვამი: **„როგორც უპუროდ არ ეცხოვრება, ვერც უმამულოდ იცხოვრებს კაცი“.**

ს. ლილუაშვილი

მეგობრის ხსოვნას



სულ ორიოდე თვის წინ თამაზ იზორიას სამოცი წელი შეუსრულდა. მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, რაღაცნაირი აღტაცებით ემზადებოდა ამ დღისათვის. იუბილეზე ყველა ახლობელს, მეგობარს მოუყარა თავი და სამახსოვრო საღამო გვაჩუქა. თვითონ საოცრად მხნედ და ბედნიერად გამოიყურებოდა. მისი ოპტიმიზმი გადამდები იყო, ასე ვაუკაცურად ებრძოდა უკურნებელ სტადიამდე მისულ სენს, რომ პატარა სასწაულის მოლოდინში ვიყავით.

„ვაგლახ, სასწაული არ მოხდა! ოჯახმა დაკარგა კარგი მეუღლე და მამა, ჩვენ საიმედო მეგობარი, ზუგდიდმა – კოლორიტული მოქალაქე“.

წაქცეული ხე უკეთ იზომებაო, ნათქვამია. თვალს თუ გადავავლებთ თამაზ იზორიას მიერ განვლილ წლებს, დავრწმუნდებით, რომ მან ღირსეულად იცხოვრა და შეუცთომლად იარა ჩვენი ქვეყნის მიხვეულ-მოხვეულ გზებზე. 70-80 –იან წლებში მას ვხედავთ სხვადასხვა მშენებლობებზე. შესანიშნავ ინჟინერ-მშენებელს საკუთარ კარიერაზე არასოდეს უზრუნია, იყო საქმის ერთგული სამუშაოთა მწარმოებელი, აშენებდა მკვიდრად, ხარისხიანად. ნაცნობ-მეგობრებში ზოგჯერ ღიმილით ჰყვებოდნენ მის პედანტულობამდე მისულ პრინციპულობაზე, იგი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა მცირეოდებ გადახრას პროექტიდან და სამშენებლო ნორმებიდან.

90–იანი წლების დასაწყისში, როდესაც რაჭაში დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა, თამაზი ერთ-ერთი პირველი გაემართა დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად და თვეების განმავლობაში ბევრ ოჯახს აღუდგინა საცხოვრისი. შემდგომ იგი იმით გახარებული, რომ დაიწყო ტაძრების და ეკლესია-მონასტრების განახლება-გალამაზება, ენთუზიაზმით ჩაება ამ ეროვნულ საქმეში. არაერთი ძველი ტაძრის აღდგენა-რესტავრაციაში და ახლის მშენებლობაში მიიღო მონაწილეობა. მტკიცე რწმენით იდგა ხარაჩოებზე, მუშაობდა სრულიად უანგაროდ, საქმეს დიდი სიყვარულით აკეთებდა. ჩვენი კუთხის რომელიმე ტაძრის სახურავზე თამამად წამომართული იგი გურამ რჩეულიშვილის ცნობილ გმირს მოგაგონებდათ, ცხოვრების საზრისზე ჩაფიქრებულს.

აწუხებდა ქვეყნის ბედი, ტკიოდა აფხაზეთი და სამაჩაბლო, განიცდიდა დევნილთა მძიმე ცხოვრებას. გაზეთ **„ილორის“** აქტიური მკითხველი სულ იმის ძიებაში იყო, თუ როგორ, რა გზით უნდა დაიბრუნოს ჩვენმა ქვეყანამ ჩვენი არაქართული ხელისუფლების მიერ უგუნურებითა თუ ვერაგობით დაკარგული ტეროტორიები.

ბედისწერით თუ აიხსნება მისი ენერგიის მქონე კაცის ნაადრევი წასვლა წუთისოფლიდან. იცხოვრა პატიოსნად, მართლმადიდებლურად, ზნეობრივი კომპრომისების გარეშე. თან წაიღო ტკივილი დიდი ხნის უნახავ შვილზე და ბევრი განუხორციელებელი ოცნება. სხვათა ჭირის გამზიარებელი ზუგდიდის საზოგადოებამ უამრავი ყვავილით გააცილა. ნათელი იყოს შესანიშნავი მეგობრის თამაზ იზორიას გზა ზეციურ საუფლოში.

უახლოესი მეგობრებისაგან

200 ლარი სიმთვრალისა და ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის

საგზაო წესების დარღვევებისთვის ჯარიმები მკაცრდება. პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის თანახმად, ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის ჯარიმის ოდენობა 50-დან 100 ლარამდე იზრდება, ხოლო თუ მძღოლი წლის განმავლობაში იმავე დარღვევას გაიმეორებს, 200-ლარიან ჯარიმას გადაიხდის. გარდა ამისა, მკაცრდება ჯარიმები სხვა დარღვევებისთვის. მაგალითად, მოძრაობის დაწყების ან მანევრირების წესების დარღვევა 50 ლარით ჯარიმდება. კანონპროექტის ავტორი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროა, ინიციატორი კი მთავრობა. ეს უკანასკნელი ჯარიმების ზრდას პრევენციის აუცილებლობით ხსნის. შსს-ს მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში ავტოავარიების გამო დაახლოებით 2000 კაცი დაზარალდა, მათ შორის 200 გარდაიცვალა.

რობერტ იანტბელიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია **„მძღოლი, გზა, სამართალი“** პრეზიდენტი: **„ვინც ამტკიცებს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევები გახშირდა, აუცილებლად უნდა აქვეყნებდეს პერიოდულად სანდო სტატისტიკურ მონაცემებს. მერწმუნეთ, ასეთ ინფორმაციას ვერც ერთ სახელმწიფო უწყებაში ვერ მოიძიებთ. შესაბამისად, ჯარიმების გამკაცრებისთვის იმ არგუმენტის მოყვანა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევები გახშირდა, ნაკლებად სარწმუნოა. ჯარიმების ზრდას, ახლის დაწესებას მხოლოდ ერთი მიზეზი აქვს, – მძღოლების ხარჯზე ბიუჯეტის შევსება.**

იმისათვის, რომ საზოგადოებისთვის ნათელი და გამჭვირვალე იყოს, რამდენ კაცს აჯარიმებს საპატრულო პოლიცია საგზაო წესების დარღვევისთვის და რა თანხა შედის ბიუჯეტში, ეს მონაცემებიც საჯარო უნდა იყოს. გამოაქვეყნონ კონკრეტული სტატისტიკა, რამდენი კაცი დააჯარიმეს თვის განმავლობაში სიჩქარის გადაჭარბებისთვის, წითელზე გავლისთვის და ა.შ. ახლა გვეუბნებიან, რომ ავტოსაგზაო შემთხვევები გახშირდა. მანამდე კი ამბობდნენ, რომ საპატრულო სამსახურის შექმნასთან ერთად ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარება გაუმჯობესდა. როგორც სჭირდებათ, ის არგუმენტი მოჰყავთ.

არის კიდევ ერთი პრობლემა, – მძღოლების უმეტესობას არ შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა საგზაო პატრულთან. გარდა ამისა, ბოლო დროს საპატრულო პოლიციას მეწარმეების მსგავსად დაურიგეს სალარო-აპარატები. ავტოსაგზაო წესების დარღვევის შემთხვევაში საპატრულო პოლიციის თანამშრომელს ჯარიმის ოდენობა შეჰყავს სალარო-აპარატში, ამოგირტყამთ ქვითარს და გადასახდელად გაგგზავნით. უწინ გეუბნებოდა, რა დაარღვიე და ადმინისტრაციული კოდექსის რომელი მუხლის, რომელი პუნქტით ჯარიმდებოდი. მძღოლს შეეძლო თანხმობის ნიშნად ხელი მოეწერა ოქმზე ან არ მოეწერა. შესაბამისად, მძღოლს უფლება ჰქონდა, საპატრულო პოლიციის გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა. ახლა კი პატრულის თანამშრომელი კანონდამრღვევ მძღოლს ოქმს აღარ უწერს, პირდაპირ ჯარიმის ქვითარს აძლევს და თუ მძღოლი შეეწინააღმდეგა, ემუქრება კიდეც, თუ ჭკუით არ იქნები, 10 ლარის მაგიერ 100-ლარიან ქვითარს ამოგირტყამო. ეს მძღოლების ტერორია. ბევრს უთქვამს, გვირჩევნია 10 ლარი გადავიხადოთ, ვიდრე 100 ლარის გადახდა დაგვაკისრონო. მძღოლი ისედაც ხელ-ფეხშეკრულია და ახლა ახალი ჯარიმები დაუწესეს უმნიშვნელო გადაცდომებისთვის, რაც გამოცდილმა მძღოლმაც კი შეიძლება დაუშვას“.

სევდის ჰანგები

ჩვენმა მეგობარმა და თანამდგომმა, გაზეთ "ილორის" აქტიურმა ავტორმა, პუბლიცისტმა ბატონმა ლეონტი ბიწაძემ მოგვაწოდა ამ სათაურით დამშვენებული წიგნი, რომელიც გამოცემულია 1912 წელს, თბილისში, მუხრანის ქუჩის №12-ში მდებარე სტამბა "შრომის" მიერ. აღნიშნული წიგნი ეძღვნება ქართველი მკითხველისათვის არც თუ ცნობილ პოეტს ქალს დარია გიორგის ასულ ქაჯაიას (ახვლედიანისა) და მასში გამოქვეყნებულია პოეტის რამდენიმე ლექსი. ქალბატონ დარიას ბიოგრაფიას და მის რამდენიმე ლექსს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.

ადამიანს რომ ათი თითის მაგიერ მხოლოდ ორი ჰქონებოდა ხელებზე, ისიც საკმარისი იყო ქართველ ქალ-მწერლების ჩამოსათვლელად. საზოგადოდ, ქართველი მწერალი ერთგვარი გმირია, მას დაბადებიდან შუბლზე აწერია: **"მუდამ მშიერი იყავ, სიღარიბეში დაიბადე და სიღარიბეშივე დალიე სული. შენს სიცოცხლეში ვერ ჰპოვო ადგილი, ფრთები გაშალო და მისცე შენს ნიჭს გზა ფართე. სწავლის საშინელი წყურვილი აკვანშივე გულში ჩაიკალ, ის შენთვის მიუწვდომელია, აიტანე დაცინვა, დამცირება, ბოლოს მოკვდი, მაგრამ არა ისე, როგორც საზოგადოთ ყველანი კვდებიან, არამედ დაიღრჩვი სადმე ბნელ ოთახში, მშიერ-მწყურვალი, მხოლოდ იმის იმედი კი გქონდეს, რომ სიკვდილის შემდეგ ჭირისუფალნი ბლომად გაგიჩნდებიან, გაზეთები განგაშს ასტეხენ, საზოგადო მოღვაწენი ალაპარაკდებიან, შესდგება კომიტეტები, მომზადდება სიტყვები, დამზადდება აუარებელი გვირგვინები და დიდის ამბით სასაფლაოსკენ გაგაქანებენ. იქ გადაიხდიან უკანასკნელ ვალს, სიტყვათა ჭექა-ქუხილი ჰაერს შეანძრევს, დაგმარხვენ, მიწას მოგაყრიან, გვირგვინებს გვერდით შემოგიწყობენ და გულდამშვიდებული მოღვაწენი სახლში დაბრუნდებიან".** ასეთი წარწერა აქვს ქართველ მწერალს შუბლზე და ჯერ მაგალითი არ მომხდარა, რომ ის ტყუილი გამომდგარიყოს. რაღა უნდა იყოს ქართველი მწერალი ქალის მდგომარეობა, რომელსაც ყველა ამ სიკეთესთან თავისი პირველი უფლებრივი პირობები სრულიად ჰბოჭავს? ქართველი მწერალი ქალი ეს რაღაც არა-ჩვეულებრივი ადამიანი უნდა იყოს და კიდეც იმიტომ არის, რომ მხოლოდ ორი თითი საკმაოა მათ ჩამოსათვლელად. აი, ამ ქართველ მწერალ ქალთა მცირე ჯგუფს ეკუთვნის ქ-ნი დარია ახვლედიანისა, გიორგი ქაჯაიას ასული. ის დაიბადა სოფელ ჭაგანში (ქუთაისის მაზრა) 1873 წლის 25 მაისს. დარიას მშობლები საშუალო შეძლების იყვნენ და ის კარგ პირობებში იზრდებოდა. წერა-კითხვა დარიამ შეისწავლა დედისგან, რომელიც ქართული ენის კარგი მცოდნე იყო. შემდეგ ის მიაბარეს საქალებო გიმნაზიაში, მაგრამ ავადმყოფობის გამო პირველ წელსვე მიანება თავი. აქ ეხშობა მას სასწავლებლის კარები. თექვსმეტი წლის ის გაათხოვეს და ამით საბოლოოდ ჩასჭედეს ცხოვრების ხუნდებში. ამის შემდეგ დარია მწარე ღღეებს განიცდის, რამაც დიდი გავლენა იქონია მის სულიერ მფგომარეობაზე, რასაც ის გამოსთქვამს სევდით აღსავსე ლექსებში. მისი პირველი ლექსი 1901 წელს დაისტამბა ჟურნალ **"კვალში"**, და ამის შემდეგ დროგამოშვებით იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებში. მის ლექსებში ჩაქსოვილია ჩაგრულთა კვნესა და საუკეთესო მომავლის იდეალების მტკიცე რწმენა. დღეს დღეობით მისი ცხოვრების პირობები საგრძნობლად შეიცვალა, რაც უეჭველია ხელს შეუწყობს უფრო მკვეთრად ააღეროს თავისი ჩანგი.

ჩვენ აქ აზრათ არა გვაქვს კრიტიკული განხილვა მისი ლექსებისა, დაე, ეს ჩვენმა კრიტიკოსებმა იკისრონ, ვიტყვი მხოლოდ, რომ ცხოვრების იმ დუხჭირ პირობებში, რომლებშიაც ქართველ მწერალს უხდება ცხოვრება და უმეტესად ქართველ მწერალ ქალს, დარია ახვლედიანისა ერთ საგრძნობელ ძალას წარმოადგენს და არა ნაკლებ ადგილს დაიჭერს ჩვენს დარიბ ლიტერატურაში, თუ თვით განვითარებას დაეწაფა. მაგალითისთვის მოვიყვან მისივე ლექსების რამდენიმე კუპლეტს, რაც აშკარად ღადადებს მწერალ-ქალის სულის სინაზეს.

"მდინარის პირას ჩამოვჯდები,
მჩქეფარ ზვირთებს ვუწყებ ცქერას
და მის ოხვრას შევუერთებ
სევდით აღვსილ ჩემ სიმღერას"-ო.

პოეტს არც მოქალაქეობრივი მოტივები ეპარება; ის თუმცა ცრემლ-მორეული სტირის, მაგრამ ეს პირადი სევდა როდია, – მას თვალთ წინ ხალხი უდგას, მისი კვნესა ხალხის კვნესაა!

"უხმო ცრემლები, უსიტყვო ტანჯვა,
ირგვლივ გოლგოთა გულ-შესაზარი"-ო.

ჰგოდებს პოეტი ქალი, მაგრამ ისევ იმედ-მოკრებილი ჩაგრულ მოძმეს თამამად მიმართავს:

"ყოფნის გარდაქმნას შეალიე ძალ-ღონე,
ეძმე ჩაგრულს მეგობარო, ესარჩლე მის ბედს"-ო.

აქ მგონი აშკარათ ჩანს ვის უმღერის პოეტი ქალი. აქ ის სრულიად შორდება ზოგიერთ ჩვენ **"ოქრო-ფეხა"** პოეტებს და ხალხის გულში ჰპოულობს სულის სავანეს. შეიძლება ამ წიგნში მკითხველმა ამოუხსნელი სიმბოლირი – მეცნიერული სისულელე ვერ ჰპოვოს, რაც ჩვენს დროში თვალს სჭრის **"ცალიერ პოეზიის"** მგალობელთ, მაგრამ ხალხი კი, ხშირად იგრძნობს იმ ტკივილს, რასაც პოეტი განიცდის. წაიკითხეთ მისი **"გლეხის გოდება"** და დარწმუნდებით, რომ პოეტ-ქალს გლეხის ცხოვრებისათვის ალდო აუღია და მისი გულის ნადები სრულიად განუცდია.

მაგრამ, – დაე, თვით მკითხველმა დააფასოს!

ი-ლი,
1912 წელი.

გთავაზობთ დარია ახვლედიანის ლექსებს

აღდგომა

ჩუ! დაჰკრეს ზარი,,
ხმა საოცარი
გაისმა შორს, იქ, გოლგოთის მთაზე, –
მდუმარედ მდგარი
შეირყა ჯვარი,
სიცოცხლის გრძნობა გაკრთა მიწაზე.

გულის საკლავი,
სამარე შავი,
უმანკო მსხვერპლის, – სიომ დაჰკოცნა,
შორს, გადამთიდან,
აღმოსავლიდან,
დილის ცისკარმა სალამი სტყორცნა.

შეირხა ლოდი...
სულის აკკორდი
ფიქრთა სავანეს ზედ აესახა,
უკუნეთ-წყვდიადს,
უხეშს და ზვიადს,
სხივის ისარი მყის გაემახა.

"აღსდგაო ღმერთი!"
და ჯოჯოხეთი
ჩაჰქრა, ჩაქოლდა ამ ხმის სმენითა:
სიმართლის მცნება,
სიცოცხლის ვნება,
ცას შესრიალდა აღმაფრენითა.

მტარვალს

მტანჯე მტარვალო, ვიდრე გაქვს ძალა,
მოშხამულ ისრით დაფლითე გული,
ვერ შემაშინებს შენი სიმკაცრე
ვერც თვალთა ხედვა ცეცხლათ ნთებული.

თუნდ სულ მომგლიჯო საყვარელ მხარეს
და უთვისტომოდ დავრჩე ეული,
არავინ მიჩნდეს თანამგრძნობელი,
საბრალო მონათ ვიქნე ქცეული,

ასე წამებით გადამატარო
მთა გოლგოთისა გულშესაზარი
და დამანახო ჩემ სასიკვდილოთ
ზედ აღმართული წამების ჯვარი.

ვერ გასტეხ მაინც ჩემს ამაყ გულსა,
ძირს არ დავუშვებ ბრძოლის ალამსა,
თვით აღსასრულის მწარე წუთებში
თავისუფლებას მივცემ სალამსა!

მეტეხის ხიდთან მტკვარი იმდენად ბინძური იყო, რომ ნებისმიერ ტურისტთან „გვასახელებდა“

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მზიან დილას ჩვენი ქვეყნისა და ქალაქის **„შეფების“** სამაგალითო და უსაყვარლესი ქალაქის ტურისტულ ცენტრში მტკვარმა იმდენი ნაგავი ჩამოატარა, გლდანის ნაგავსაყრელს შეშურდებოდა...

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მაშინვე ისეთი გრძნობა გამიჩნდა, რომ ცივ ზამთარში ჩემ მიერ გადახდილ, დენზე მიბმულ **„ნაგვის“** გადასახადს დასუფთავების სამსახური წყალს ატანს... არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით...

დარწმუნებული ვარ, რომ დენზე მიბმის შემდეგ მილიონები მოგროვდა დასუფთავების გადასახადის სახით. თბილისი სისუფთავის ქალაქიაო ამტკიცებს ჩვენი მერი და მეც ძალიან მიხარია... მაგრამ...

უბრალოდ, მიამიტურად მეგონა რომ მტკვარიც თბილისის ნაწილი იყო და თურმე, **„სადა ბანაობ“...**

ასეთ მტკვარში ვინ იბანავებს არ ვიცი, მაგრამ მეთევზეები რომ ყოჩაღად იყვნენ და ნაგვის მორევებიდან ფართხალ-ფართხალით ამოჰყავდათ **„ქაქიჭამია“** თევზები – ფაქტია... სამწუხაროდ მერიის სასადილოში არ მოხვდება ეგ თევზი, თორემ უეჭველად **„შეერგებოდათ“...**

მოკლედ, როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან: **„მტკვარი ყარს“**!

მრავალგზისი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოვასწარით იმის გადაღება, როგორი გაკვირვებული სახეები ჰქონდათ მეტეხის ხიდზე მოსეირნე ხელი-ხელჩაკიდებულ უცხოელ ტურისტებს, როდესაც ხიდის ქვეშ მღვრიე, ლამის შავ სქელ მასად ქცეულ ტალღებს უყურებდნენ... მხოლოდ აბანოთუბნისკენ წასულების დაფიქსირება შევძელი... იმედია, გაწვრთნილი ექსკურსიამძღოლი ისეთ რამეს აჩვენებდა იქ, რომ ბინძურ მტკვარს დააავიწყებდა..

ეს პოსტი მოკლეა, ანდა რა დავწერო? ფოტოებზე ყველაფერი კარგად ჩანს...

ყველა ვიხდით **„ნაგვის ფულს“**, ყველა ვხედავთ ამ ნაგავს ჩვენს გარშემო და არავინ არ იღებს ხმას...

ვინ არის დამნაშავე? ის, ვინც ფულს იღებს და არაფერს აკეთებს, თუ ის, ვინც ფულს ცხვარივით მორჩილი იხდის და არავისგან არაფერს მოითხოვს სამაგიეროდ?

პირველის **„საჩკაობის“** ლოგიკას ვხვდები... მეორის უმოქმედობისას ვერა...

შეიძლება ვცდები, – კომენტარები გვაჩვენებს.

P.S. კომენტარებს რაც შეეხება. მადლობა ყველას ვინც არ დაიზარა და ჩემ ნაბუზღუნარს ყურადღება მიაქცია.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ – **„ვბუზღუნებ“** იმაზე, რაც არასწორად მიმაჩნია და არა იმიტომ, რომ ვინმეს ჯინი მჭირს.

ვიცი რომ ამ ქვეყანაში საბუზღუნო ისევ ბევრია და შეიძლება რამე თვალთახედვიდან გამომრჩეს. ამიტომ მომწერეთ მეილზე თქვენი თემები და მოხარული ვიქნები თუ თქვენს გასაჭირს ან გულისნადებს დღის სინათლეზე გამოვიტან. იქნებ რამეს ეშველოს კიდეც.

ვიმეორებთ, საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისსა და მის შემოგარენში აუტანელი სიბინძურე შეინიშნება მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ უსაშველოდ გაბერა ნაგვის გადასახადი. რათა ბევრი ფული არ დახარჯონ ნაგვის **"თავიდან მოცილებაზე"**, ისინი ნაგავს მდინარის ნაპირებზე ჰყრიან, რომელსაც ადიდების შემდეგ მტკვარი **"ნაღვლიანად"** ჩამოატარებს ხოლმე დედაქალაქი შუაგულში – იქ, სადაც უცხოელი ტურისტების თავშესაყარია. ეს კი უკვე არა საქართველოს ხელისუფლების, არამედ ქართული საზოგადოების **"სავიზიტო ბარათი"** გახლავთ, რაც გარკვეულ ნეგატიურ წარმოდგენას უქმნის უცხოელ ტურისტს ჩვენზე.

ეს კი სრულიადაც არ აწუხებს საქართველოს აშკარად არაქართულ ხელისუფლებას, რომლის მთავარ მიზანს ქართული საზოგადოების დამცირება და საერთაშორისო საზოგადოების თვალში ბინძურ და ბარბაროს ხალხად წარმოდგენა გახლავთ.

ახლა საქართველოს ხელისუფალი იმაზე სწუხს, რომ რუსეთის მთავრობა ხელს უშლის რუსი ტურისტების საქართველოში შემოსვლას, რადგან ჩვენი წარმატებების გამომზიურების ეშინიაო. იქნებ მართალიც იყოს რუსეთის მთავრობის ზრუნვა საკუთარი მოქალაქეებისადმი, რადგან საქართველოს **„დაუჯერებელ წარმატებებთან“** ზიარების გარდა რუსმა ტურისტმა შეიძლება ისეთ მძიმე ეპიდემიურ დაავადებას წამოჰკრას ხელი, რაც მერე შეიძლება მთელ სახელმწიფოს გაუხდეს სავაგლახოდ.

„ტალახში გორაობა თქვენი ბუნებრივი მდგომარეობაა!“– უთხრა საქართველოს პარლამენტში ყოველწლიური მოხსენების გასაკეთებლად მისულმა გაცოფებულმა სააკაშვილმა პარლამენტარ ჯონდი ბაღათურიას, რომელმაც მთელი საქართველოს დასანახად აუფრიალა ცხვირწინ პრეზიდენტს მისი ოჯახის წევრების აღვირახსნილ კორუფციაში მონაწილეობის დოკუმენტები, რიგი დარგების მონოპოლიზების გზით.

ალბათ იმაზე არ ფიქრობდა მაშინ სააკაშვილი, რომ ამ ფრაზით მან ფაქტიურად საკუთარი და **„ნაციონალების“** რეალური სტატუსი გააჟღერა – ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების **„შემოქმედება“** მხოლოდ ცხოვრების ყვერლა სფეროს დაბინძურება გახლდათ, იქნება ეს საზოგადოებრივი მორალი, ზნეობა, რელიგიური მრწამსი, ეკონომიკა, განათლება, კულტურა თუ ჯანდაცვის სისტემა.

ყველგან სიბინძურე და სიცრუე დომინირებს, ყველგან თვალთმაქცობა ზეობს, ყველგან სიდამპლისა და შმორის სუნი ტრიალებს!

საკ. ინფორმ.

საწვავი 3 ლარამდე გაძვირდება?

ბოლო ერთი თვის განმავლობაში საქართველოში საწვავის ფასი უკვე მეოთხედ გაიზარდა. ყოველ ჯერზე, ერთი-ორკვირიანი ინტერვალებით, საწვავის ფასი 5 თეთრიანი ბიჯებით იზრდებოდა. შედეგად, დღეს საქართველოს საცალო ქსელში საშუალოდ ასეთი ფასებია: სუპერის ტიპის ბენზინი – 2,45 ლარი; პრემიუმი – 2,40 ლარი; რეგულარი – 2,25 ლარი; ევროდიზელი – 2,50 ლარი და დიზელი 2,30 ლარი. დაუდასტურებელი ინფორმაციით, საწვავის ფასი ზაფხულისთვის ერთ ლიტრზე ალბათ 3 ლარამდე გაიზრდება. ეს კი თავისთავად ნიშნავს, რომ საქართველოში გაძვირდება საარსებო მინიმუმის ოდენობა, რაც დღეს კატეგორიულად მიუწვდომელია ისედაც სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის.

სამწუხაროა, რომ ხელისუფლებას საკუთარი ჯიბის სისქე უფრო ანაღვლებს, ვიდრე დამშეული მოსახლეობის ბედი...

ნავთობიმპორტიორები და ასოციაცია, რომელიც ამ კომპანიებს აერთიანებს, თავს იმით იმართლებენ, რომ მსოფლიო სანავთობო ბაზრებზე არასტაბილური ვითარებაა. აქამდე მათი არგუმენტი მსოფლიო ბაზრებზე ნედლი ნავთობის ფასის ზრდა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ფასების სიძვირე იყო. ახლა გაძვირების **„გასაპრავებლად“** ეს არგუმენტი აღარ გამოდგება, რადგან მიმდინარე წლის აპრილში ნედლი ნავთობი შარშანდელ იმავე დროსთან შედარებით ბევრად იაფი ღირს.

სხვათა შორის, ინფორმაციის მოსაპოვებლად შორს არ წავსულვართ და ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე არსებული ინფორმაციით ვიხელმძღვანელეთ.

მაგალითად, გასული წლის 15 აპრილს მსოფლიოს წამყვან ლონდონისა და ნიუიორკის სანავთობო ბირჟებზე ნედლი ნავთობის შემდეგი ფასები აღინიშნა: ბრენტის ტიპის ნავთობი ბარელი 123,45 დოლარი ღირდა, ხოლო ლაითსვიტი – 109,66 დოლარი. დღეისთვის ნედლი ნავთობის მსოფლიო ფასი გაცილებით დაბალია და ბრენტის ფასი 118,68 დოლარს, ხოლო ლაითსვიტისა 102,93 დოლარს შეადგენს. ახლა ვნახოთ, როგორი იყო ნავთობპროდუქტების ფასები საქართველოს საცალო ქსელში გასულ წელს და თან ძვირი ნედლი ნავთობის პირობებში. მაგალითად, 2011 წლის 11 აპრილის მონაცემებით საქართველოს საცალო ბაზარზე სუპერის ბენზინი – 2.35 ლარი, პრემიუმი – 2.30 ლარი, ევრო რეგულარი – 2.15-2.17 ლარი, რეგულარი – 2.10-2.15 ლარი, ევროდიზელი – 2.35-2.40 ლარი, დიზელი კი 2.20 – 2.25 ლარი ღირდა.

რაც შეეხება დიზელისა და ბენზინის საერთაშორისო ფასებს, ე.წ. **„პლატსის“** მიხედვით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ტონა ბენზინი 1090 დოლარის (არსებული მონაცემებით, მისი ფასი 1200 დოლარის ფარგლებშია) ფარგლებში მერყეობდა, დიზელისა კი 1030-1040 ლარის ფარგლებში იყო. არსებული მონაცემებით, დიზელი საერთაშორისო ბაზრებზე ახლა უფრო იაფია, ვიდრე გასული წლის ანალოგიურ პერიოდში და ტონა 1011 დოლარი ღირს. არადა, საქართველოს საცალო ქსელში დიზელი ბენზინზე უფრო ძვირია და მისი ფასი ლიტრზე 2,50 ლარს აღწევს. სხვათა შორის, დიზელის ფასების დინამიკას თუ გადავხედავთ, ერთი საინტერესო ტენდენცია იკვეთება, რომელიც თითქმის ყოველ წელს მეორდება, – იანვრიდან მაისის ჩათვლით დიზელის საწვავის ფასი თვიდან თვემდე განუხრელად იზრდება, რასაც დამოუკიდებელი ექსპერტები სოფლად საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებას და შესაბამისად დიზელის საწვავზე მოთხოვნის ზრდას უკავშირებენ. ასე იყო გასულ წელსაც, როცა იანვარში ლიტრი დიზელის საწვავის ფასი 1,95-2,00 ლარის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო ე.წ. 5-თეთრიანი ბიჯებით ისე გაძვირდა, რომ მაისში უკვე 2,20-2,35 ლარი ღირდა. აშკარაა, რომ ადგილობრივ ბაზარზე საწვავის ფასს დიდწილად სეზონური ფაქტორი განაპირობებს, როცა კომპანიებს მეტი შემოსავლისა და შესაბამისად, მოგების შესაძლებლობა ეძლევათ და ერთნაირი საფასო პოლიტიკის პირობებში ამ შესაძლებლობას საკმაოდ სარფიანად იყენებენ.

მერაბ ჯანიაშვილი, „ახალგაზრდა ბიზნესმენთა და ფინანსისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელი: **„ადგილობრივ ბაზარზე მოქმედ კომპანიებს შორის კარტელურ გარიგებებს აქვს ადგილი. კომპანიებს ძველი ფასით, სულ მცირე, სამთვიანი მარაგი აქვთ და საერთაშორისო ბაზარზე გაძვირება საქართველოზე სამ დღეში არ უნდა აისახებოდეს. ასეთ პოლიტიკას სახელმწიფო ლობირებს და კარტელურ გარიგებებზე სათანადო რეაგირებას არ ახდენს.**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს მუხლები, რომლებიც კარტელური გარიგებებისთვის კომპანიების დასჯას ითვალისწინებს. ამ მუხლების გამოყენების უფლება მხოლოდ ფინანსურ პოლიციას აქვს. 2005 წლიდან დღემდე ამ მუხლით არც ერთი საქმე არ განხილულა. ოთხი-ხუთი კომპანია ფლობს ნავთობპროდუქტების ადგილობრივი ბაზრის თითქმის 90%-ს და ფასებს საკუთარი სურვილით აწესებს. შეიკრიბებიან, იმსჯელებენ და ბენზინის ფასს ყველა ერთად 5 თეთრით ზრდის. ერთი კვირის განმავლობაში საწვავის ფასი შესაძლოა ორჯერ გაიზარდოს და ამისთვის, საკმაო გასაგები მიზეზების გამო, ნავთობკომპანიებს პასუხს არავინ მოსთხოვს. იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო ბაზრებზე ფასები იზრდება, ცვლილება ადგილობრივ ბაზარზე ორთვიან ინტერვალში უნდა მოხდეს, – ამის მარაგები კომპანიებს ნამდვილად აქვთ. ნორმალურ ქვეყნებში ფასს ბაზარი არეგულირებს. ჩვენთან საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიც და კონკურენციაც მკვდარია.

საქართველოში ნავთობპროდუქტების ბაზარზე რამდენიმე კომპანიის განუკითხავი დომინირება ქვეყნის ეკონომიკას აზარალებს. სოფლის მეურნეობა ძირითადად დიზელზე მუშაობს. მისი ძირითადი შემომტანი „სოკარია“. საქართველოში დიზელი რატომღაც ბენზინზე ძვირია, რაც ყოვლად გაუმართლებელია, რადგან მისი წარმოება ბენზინზე იაფი ჯდება; დაბეგვრაც ნაკლებია. ხელისუფლებას ნამდვილად რომ უნდოდეს საქმის გამოსწორება, მერწმუნეთ, მონოპოლია არც ერთ სფეროში არ იარსებებდა“.

რაც შეეხება დიზელის საწვავს, მასზე მოთხოვნა ამ პერიოდში პიკს აღწევს და აზერბაიჯანის საზღვრისპირა სოფლებიდან წითელი ხიდის მიმართულებით მოძრაობა იზრდება. ჩვენი ინფორმაციით, მიმდებარე სოფლების ადგილობრივი მოსახლეობა ამ დროს აზერბაიჯანის საზღვარზე დიზელის შესაძენად მიემართება. მეტწილად ტევადი ავზის მქონე ავტომობილებით გადადიან საზღვარზე, საბაჟო-გამშვებ პუნქტთან მდებარე ავტოგასამართ სადგურზე დიზელის საწვავით ავზს ავსებენ და უკან ბრუნდებიან. როგორც ყვარლის ერთ-ერთმა მკვიდრმა გვითხრა, აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე ავტოგასამართ სადგურზე ლიტრი დიზელის საწვავი, შესაბამისი კურსით ლარში, დაახლოებით 90 თეთრი ღირს. ამიტომ ბევრს საწვავი გასაყიდად გადმოაქვს. კანონით, სამ დღეში ერთხელ საზღვარზე გადასვლა და საწვავის ავზით გადმოტანა ნებადართულია და თუ საწვავს გონივრულ ფასად, ნავთობიმპორტიორებზე იაფად გაყიდი, კარგ მოგებასაც ნახავ. ჩვენი ინფორმაციით, კახეთის რეგიონში დიზელის მოვაჭრე რამდენიმე ასეული კერძო პირია, მაგრამ ნავთობპროდუქტების ადგილობრივ ბაზარზე ისინი, ბუნებრივია, გავლენას ვერ ახდენენ. ფაქტი ერთია, საწვავის საცალო ფასები სავაჭრო ორგანიზებულ ქსელში იმდენად მაღალია, რომ ფასთა სხვაობით წვრილი მოვაჭრეებიც კი კარგად ხეირობენ.

არა და, დასამალი აღარავისთვის არ არის, რომ **„სოკარი“**, ისევე, როგორც სხვა ნავთობკომპანიები, მიხეილ სააკაშვილის ოჯახის წევრების კონტროლქვეშ მოქმედებენ და ფასებსაც ისინი ადგენენ. სხვაგვარად, როგორ შეიძლება, რომ დიზელის საწვავის სარეალიზაციო ფასი აზერბაიჯანში 90 თეთრი იყოს, საქართველოში კი 2,3 ლარი.

მოკლედ, ვერა და ვერ ამოივსეს სტომაქები ამ მართლაც გაუმაძღრებმა და ღორებად ქცეულმა არსებებმა, თორემ, საწვავი რომ საქართველოში საღ აზრთან მიახლოებული ფასებით იყიდებოდეს, მაშინ არც ის პირველადი მოხმარების საგნები იქნებოდა ესოდენ ძვირი, რომლის ღირებულებაც პირდაპირაა მიბმული საწვავის ფასზე.

ე. ტუხიაშვილი

მუხრან მაჭავარიანის „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!“

12 აპრილი მუხრან მაჭავარიანის დაბადების დღე გახლდათ. დიდი ქართველი პოეტი, მუხრან მაჭავარიანი დაიბადა 1929 წლის 12 აპრილს, იმერეთის ულამაზეს სოფელ სოფელ არგვეთში მიმდინარე წლის. 17 მაისს, ორი წელი შესრულდება მისი გარდაცვალებიდან, 2010 წლის 17 მაისს მუხრან მაჭავარიანი გარდაიცვალა...

მუხრან მაჭავარიანის დაბადების დღეს გავიხსენოთ მისი შესანიშნავი ლექსი **„მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!“**. ეს ლექსი ძალიან აქტუალურია დღესაც. როგორც ვწერდი რამდენიმე დღის წინ, ლაზარეს შაბათს – აღდგომის წინა შაბათი, ქართული ენის დღეა, ისევე როგორც ქართული ენის დღეა 14 აპრილი. 1978 წლის 14 აპრილს ქართველმა ხალხმა დაიცვა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი. ქართველმა ახალგაზრდობამ, ქართული საზოგადოების საუკეთესო ნაწილმა, დედა ენის დაცვის მიზნით დიდი გამბედაობა გამოიჩინა და ქუჩაში გამოვიდა.

მუხრან მაჭავარიანი ყოველთვის იდგა მამულიშვილთა ავანგარდში. როცა საშიშროება ემუქრებოდა ქართულ ქართულ ენას, ის ქართული ენის დაცვის მოწოდებით გამოდიოდა... ეს ლექსიც სწორედ ამგვარი მიზეზითაა დაწერილი. დიდი პოეტი სწვევია პიონერთა ბანაკს, სადაც უნახავს ქართველი ბავშვები, რომლებმაც არ იცოდნენ ქართული ენა.

დაუდგრომელი სულის მქონე პოეტს საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უყვარდა ომის ქარტეხილებგამოვლილი საქართველო!

პოეტს ძლიერ ედარდებოდა მრავალჭირნახული სამშობლო და ეს დარდი საფლავში ჩაიყოლია!

დღესაც ქართველის სმენას სჭრის მუხრანის მიერ ლომებრ ამობუხუნებული:

„შენ, ჩემო სისხლო,
სად არ დაღვრილო,
შენ სად არ გხვრეპდა
შავი ყორანი“

პოეტი ამბობს, რომ სხვისი ენის, მათ შორის ინგლისური თუ რუსული ენის სწავლა კარგია, მაგრამ მშობლიური ენის ცოდნა აუცილებელი და საშური საქმეაო.

ჩვენ ვიცით ოჯახები, რომლებიც ყოფითი და სოციალური პრობლემების გამო უცხოეთში გადასახლებულან. უცხოეთში შესძენით შვილები... და, ჩვენდა საუბედუროდ, არც უცდიათ შვილებისათვის ქართული ენა ესწავლებინათ.

შეიძლება, რადგან საქართველოდან წავიდნენ, აღარ თვლიან საქართველოს საკუთარ სამშობლოდ. შეიძლება ახალი სამშობლო იქ იპოვეს, სადაც მოქალაქეობა მიიღეს. შეიძლება, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, შეიძლება სამშობლო შეიცვალო, არ გიყვარდეს და სხვაგან იპოვო... მაგრამ, მშობლიურ ენას ვერ შეცვლი, რომელ ენაზეც ამეტყველდი, ისაა შენი მშობლიური ენა და მორჩა... ბევრმა მათგანმა, ვისაც ვგულისხმობ, არ იცის უცხო ენა ნორმალურად, და სულ მიკვირს, რა ენაზე ელაპარაკებიან შვილებს? ნუთუ დამტვრეული ინგლისურით, ფრანგულით თუ რუსულით ესიტყვებიან, ეთამაშებიან თავის პატარებს? ნუთუ ნორმალური ურთიერთობა არა აქვთ საკუთარ შვილებთან? განა მშობელსა და შვილს შორის ნორმალური ურთიერთობისათვის აუცილებელი არ არის საერთო მშობლიური ენა, გამართული მეტყველება და ა. შ.?

ისინი საკუთარ შვილებს არა მარტო დიდ განძს – ქართულ ენას უკარგავენ, არამედ არასრულფასოვან ადამიანებად ზრდიან, რადგან ვერ ამყარებენ მათთან შესაბამის კომუნიკაციას, დედაშვილობას, მამაშვილობას უკარგავენ, სამშობლოსთან ერთად...

ამაზე საუბრობს თავის ლექსში, ჩვენი დიდი პოეტი. რა პრობლემაც იდგა სსრკ-ში, მსგავსი გვაქვს ჩვენც, ბევრი შვილს ინგლისურს ასწავლის, მაგრამ რამდენად კარგად იცის ქართული ენა მისმა შვილმა, ეს სრულიადაც არ აინტერესებთ.

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგებზე ბაკურიანის პიონერთა ბანაკში მოვხვდი. იქ ვნახე ქართველი პიონერები, რომლებმაც სიტყვაც კი არ იცოდნენ ქართული.

ეს ჩემი ლექსი, ბავშვებო,
არც შემოდგომას ეხება,
არც სურათია ზამთრისა,
არც გაზაფხულის შექება.
ეს ლექსი გახლავთ აუგი –
მე გამოვდივარ ძაგებით
იმ თქვენი თანატოლების,
იმ თქვენი ამხანაგების,
საუბედუროდ, რომელნიც
ისე აღზრდილნი არიან,
ქართულად ხმას ვერ იღებენ,
რუსულად – გაგიხარია!
რუსულის ცოდნა, იცოცხლე,
სახარბიელო რამ არი,
მაგრამ ეს უნდა იცოდე -
მშობლიურია მთავარი.
ენა არ გაწყენს არც ერთი,
უნდა იცოდე რამდენიც;
ოღონდ არ უნდა დაჰკარგო
ქართული სიტყვის ნათელი!
მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს.
ვინც არც იცის და არც უნდა
იცოდეს ჩვენი წარსული;
ვინც ხმას ვერ იღებს ქართულად,
არც სხვისი ესმის ქართული.
განა იმისთვის იბრძოდნენ
წარსულში მამა-პაპანი –
დღეს შვილმა აღარ იცოდეს
სისხლით დაცული ანბანი?!
თუკი წინაპარს შანთებით
ვერ დაავიწყეს ქართული,
თუ დღესაც მღერის ქართველი
ფერეიდანში ფანდურით,
შენ აქ რა ღმერთი გაგიწყრა,
ვინ იყო შენი გამზრდელი,
შენი გულისთვის დამიწდა
როცა ამდენი ქართველი?!
მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს

განუკითხაობა ანაკლიაში – ვის მიწებზე შენდება სააკაშვილის კურორტი

ანაკლიის საკურორტო ზონის მშენებლობას ბევრი ადამიანის საკუთრება და სიმშვიდე შეეწირა. ანაკლიას ევროპის ზონის კურორტამდე ბევრი უკლია, დაპირებული მშენებლობები ჯერ კიდევ დაუსრულებელია, გოგირდის აბანოებსა და სხვა დაპირებულ ფუფუნებაზე საუბარი ზედმეტია. სამაგიეროდ, სპეციალისტების განცხადებით, ხელისუფლებამ სისხარტე ადგილობრივი მოსახლეობისთვის კერძო საკუთრების დატაცებაში გამოავლინა. ანაკლიაში უამრავი ადამიანის მესაკუთრის უფლებები დაირღვა. ერთ-ერთი მათგანის, სოსო აქუბარდიას საქმეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს.

„ამ ადგილს ექნება მაღალი დონის გზა, აეროპორტი, ექნება ყველა გაყვანილობა და ამასთან, ჩვენ მოგვყავს გოგირდის და სხვა სამკურნალო წყლები, რომელიც არის აქედან სამ კილომეტრში ასევე უფასოდ ინვესტორებისთვის და ყველა, ვინც ააშენებს სასტუმროს, მას შემდეგ რაც ყველაფერს ვაძლევთ უფასოდ, 15 წლით, კონსტიტუციური კანონის თანახმად, გავათავისუფლებთ მოგებისა და ქონების გადასახადისაგან. ამაზე უკეთესი პირობები მე მგონი მსოფლიოში არსად არსებობს“, – განაცხადა პრეზიდენტმა და ანაკლიის მშენებლობა დაიწყო.

შარშან, 22 აგვისტოს ანაკლიას საკურორტო ქალაქის სტატუსი უკვე მიენიჭა. ქალაქში ჩასულ დამსვენებლებს განახლებული ინფრასტრუქტურა და ესპანელი არქიტექტორის მიერ დაპროექტებული კილომეტრნახევრიანი ბულვარი უნდა დახვდეს. ასევე ფეხბურთის სტადიონები, კალათბურთის მოედნები და სხვა სპორტული თუ დასვენების ობიექტები. გარდა ამისა, განმუხურთან დამაკავშირებელი 540-მეტრიანი საფეხმავლო ხიდი, რომელსაც ევროპაში ანალოგი არა აქვს.

ინვესტორი, რომელიც 18 თვეში ანაკლიაში სასტუმროს ააშენებდა, მოგებისა და ქონების გადასახადისგან გათავისუფლდებოდა. ამასთან, მეწარმეს უკვე მოწესრიგებული გზა და გოგირდის წყლები უნდა დახვედროდა. სახელმწიფომ წლების განმავლობაში კერძო საკუთრებაში არსებული მიწები ანაკლიელებს ისე წაართვა, რომ არც კი შეატყობინა.

სხვათა შორის მიწის ფართობების დაბრუნების მოთხოვნით ანაკლიელებმა რაიონის გამგებელსაც მიმართეს, თუმცა გამგებელმა მათ გარკვევით უთხრა, რომ აღნიშნულ საკითხზე მას ინფორმაცია არ ჰქონდა.

აქუბარდიას საქმე

2011 წელს ფონდ **„ღია საზოგადოება-საქართველოს“** ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო პროექტი – **„საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში“**. პროექტს ოთხი არასამთავრობო ორგანიზაცია: **„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია“** და ასოციაცია **„მწვანე ალტერნატივა“** ახორციელებს. პროექტის მიზანია საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ რეგიონებში.

2009 წელს საჯარო რეესტრის ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურმა ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე სამინისტროს დაურეგისტრირა ანაკლიაში მდებარე 150 მიწის ნაკვეთი. როგორც ჩანს, რეესტრს არც კი გადაუმოწმებია ინფორმაცია მოთხოვნილ მიწებზე სხვისი საკუთრების უფლების არსებობის შესახებ. საჯარო რეესტრის მიერ სახელმწიფოსათვის დარეგისტრირებულ მიწებს შორის აღმოჩნდა სოსო აქუბარდიას მიწის ნაკვეთიც 47.92 ჰა ფართობით, რომელსაც ის 2007 წლიდან კანონიერად – საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფორმით ფლობდა.

2009 წლის 8 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ანაკლია ახალ საკურორტო ზონად გამოცხადა და მისი განვითარებების პროექტის შედგენა ესპანელ არქიტექტორებს დაავალა. **„ადგილობრივები პრეზიდენტის იდეას სიხარულით შეხვდნენ, თუმცა, ალბათ, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ იდეის განხორციელებას მათი უძრავი ქონება შეეწირებოდა“,** – აღნიშნულია არასამთავრობოების ანგარიშში.

იდეის განხორციელება საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 20 ოქტომბრის 732-ე განკარგულებით დაიწყო, რომლის თანახმად პრეზიდენტმა მოიწონა კომპანია **„ანაკლია-პორტის“** წინადადება ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტებში საერთო სატრანსპორტო კვანძის მშენებლობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სატრანსპორტო კვანძის მშენებლობა მოიცავს: საზღვაო ნავსადგურის, სატვირთო აეროპორტის, მისასვლელი რკინიგზებისა და საავტომობილო გზების, სარკინიგზო და საავტომობილო გადაზიდვების ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკული და საინჟინრო მომსახურების ინფრასტრუქტურისა და ახალი დასახლების მშენებლობას.

საბოლოოდ, **„ანაკლია-პორტთან“** დაიდო პირობიანი ხელშეკრულება, რომლის თანახმად მან აიღო ვალდებულება 2013 წლამდე განახორციელოს 5 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტირება ზემოთჩამოთვლილი ობიექტების მშენებლობით.

თავად **„ანაკლია-პორტის“** მესაკუთრედ და 100% წილის მფლობელად იმ დროისათვის რუსეთში მცხოვრები ქართველი მილიონერი თემურ ქარჩავა ფიქსირდებოდა. **„ქარჩავამ, როგორც ჩანს, მოსკოვში მოხდილი ორწლიანი პატიმრობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნება და ქონების ანაკლიაში ინვესტირება გადაწყვიტა“,** – ნათქვამია ანგარიშში.

დაახლოებით თვენახევარში, 2009 წლის 21 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ახალი განკარგულება №92219, რომლის საფუძველზეც დაკმაყოფილდა კომპანია **„ანაკლია-პორტის“** თხოვნა და მას პირდაპირი მიყიდვის წესით, 6 340 445 ლარად გადაეცა დაახლოებით 2,113 ათასი ჰექტარი საერთო ჯამში 298 ერთეული მიწის ნაკვეთით. ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობად განისაზღვრა შპს **„ანაკლია-პორტის“** მიერ ხელშეკრულების დადებიდან 5 წლის ვადაში 5 მლრდ დოლარის ინვესტიციების განხორციელება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხელშეკრულების გაფორმებას წინ უსწრებდა საქართველოს ეკონომიკისა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოსა 2009 წლის 4 დეკემბრის №2-16y202 მიმართვა საჯარო რეესტრის ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურისადმი, რომლითაც მოთხოვნილი იყო ანაკლიაში მდებარე 150 მიწის ნაკვეთის სამინისტროს საკუთრებაში გადაცემა. 2009 წლის 6 დეკემბერს საჯარო რეესტრის ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურმა დააკმაყოფილა ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნა. როგორც ჩანს, რეესტრს არც კი გადაუმოწმებია ინფორმაცია მოთხოვნილ მიწებზე სხვისი საკუთრების უფლების არსებობის შესახებ.

საჯარო რეესტრის მიერ სახელმწიფოსათვის დარეგისტრირებულ მიწებს შორის აღმოჩნდა სოსო აქუბარდიას მიწის ნაკვეთიც 47.92 ჰა ფართობით, რომელსაც ის 2007 წლიდან კანონიერად – საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფორმით ფლობდა.

სოსო აქუბარდიას მამამ, ომარ აქუბარდიამ საჯარო რეესტრის მიერ 2009 წლის 3 დეკემბერს გაცემულ ამონაწერში ცვლილებები აღმოაჩინა. ამონაწერის გრაფაში სიტყვა **„დაზუსტებული“** შეიცვალა სიტყვა **„დაუზუსტებლით“,** ხოლო ნაკვეთის საკადასტრო ნომერი შეიცვალა და ნაცვლად №43.31.01.011-ისა გახდა №43.28.02.209.

კითხვაზე, თუ რა გახდა ასეთი ცვლილების განხორციელების მიზეზი, საჯარო რეესტრი პასუხობდა, რომ პრობლემა უახლოეს მომავალში გამოსწორდებოდა. მიუხედავად დაპირებისა, საჯარო რეესტრმა 2009 წლის 6 დეკემბერს ეკონომიკის სამინიტროს საკუთრებაში დაურეგისტრირა 150 მიწის ნაკვეთი, მათ შორის სოსო აქუბარდიას კუთვნილიც, რომელსაც კვლავ ახალი საკადასტრო კოდი №43.28.43.012 მიანიჭა.

ომარ აქუბარდია, 2010 წლის 2 მარტს ელექტრონული აზომვითი ნახაზის წარდგენით შეეცადა საჯარო რეესტრში ცვლილებების რეგისტრაციას, მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონით სავალდებულო არ იყო. 2010 წლის 10 მარტს საჯარო რეესტრში ომარ აქუბარდიას უარი უთხრეს ცვლილებების რეგისტრაციაზე სახელმწიფო მიწასთან №43.28.43.012 ზედდების გამო. რეესტრმა აქუბარდიას მოსთხოვა კორექტირებული აზომვითი ნახაზის წარდგენა, რომლის დაზუსტების შემთხვევაში აქუბარდიას მხოლოდ 1,5 ჰა მიწის ნაკვეთი რჩებოდა საკუთრებაში.

2010 წლის 16 აპრილს სოსო აქუბარდიამ სასამართლოს მიმართა და პირვანდელი მდგომარეობით საკუთრების უფლების აღდგენა მოითხოვა. მან აგრეთვე მოითხოვა უძრავი ქონების დაყადაღება, რადგან სადავო მიწის გასხვისების საშიშროება არსებობდა. არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციით, სასამართლოს მიერ დადგენილი რიგი ხარვეზების გამო მიწაზე ყადაღის დადების შესახებ განჩინება მიღებულ იქნა 2010 წლის 14 მაისს, მიმართვიდან თითქმის ერთი თვის შემდეგ. განჩინების აღსრულება დაუყოვნებლივ უნდა მომხდარიყო. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ განჩინება სოსო აქუბარდიას წარმომადგენელს – ომარ აქუბარდიას მისი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ 14 დღის დაგვიანებით, 2010 წლის 28 მაისს ჩააბარა სასამართლოში, სადაც ის თავად მივიდა.

ომარ აქუბარდიამ განჩინება საჯარო რეესტრის ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურში მიიტანა და ქონებაზე ყადაღის დადება მოითხოვა, თუმცა უარი მიიღო. მას განუმარტეს რომ მიწა, რომელზეც ის ყადაღის დადებას ითხოვდა, 2010 წლის 15 მაისს შპს **„ანაკლია-პორტის“** საკუთრებად დარეგისტრირდა. მოქალაქეს ასევე განუცხადეს, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს ყადაღის დადების შესახებ თავისივე მიღებული განჩინება აღსრულების მიზნით საჯარო რეესტრში არ გადაუგზავნია.

პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლომ არ დაკმაყოფილა სოსო აქუბარდიას სარჩელი საკუთრების უფლების აღდგენის თაობაზე. უზენაესმა სასამართლომ კი საერთოდ უარი განაცხადა საქმის წარმოებაში მიღებაზე. სასამართლო სხდომების მიმდინარეობის დროს საჯარო რეესტრის ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სოსო აქუბარდიას მართალია, დარეგისტრირებული ჰქონდა მიწის ნაკვეთი საკუთრებაში, მაგრამ მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის ქაღალდის ვერსია ჰქონდა წარდგენილი. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველომ მიწის რეგისტრაციისას მიწის ნაკვეთის ელექტრონული აზომვითი ნახაზი წარადგინა. მისივე განმარტებით, რამდენადაც საჯარო რეესტრს არ გააჩნია ქაღალდის საკადასტრო აზომვითი ნახაზისა და ელექტრონული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მონაცემთა შედარების მექანიზმი, რეესტრმა ვერ დაინახა, რომ სხვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს ასხვისებდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლები იმყოფებოდნენ სოსო აქუბარდიას ჩამორთმეულ მიწის ნაკვეთზე. არასამთავრობო ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მიწა შპს **„ანაკლია-პორტის“** საკუთრებაა, იქ შესვლა და დათვალიერება დაუბრკოლებლად შეიძლება, რადგან შპს **„ანაკლია-პორტის“** მიერ გეგმით გათვალისწინებული მშენებლობა დაწყებული არ არის და ტერიტორიაზე გადაადგილება არავის ეზღუდება. ამავე მიზეზის გამო, ყოფილი საკუთრების გარკვეულ ნაწილზე აქუბარდიას ახლაც მოჰყავს სიმინდი, რაც დავის დაწყებამდე აქუბარდიების საოჯახო ბიზნესი იყო და სიმინდიც მიწის ნაკვეთის მთელ ტერიტორიაზე მოჰყავდათ. სახელმწიფოს მიერ ჩატარებული მაქინაციების მუხედავად, რაც უნდა გასაკვირი იყოს, სოსო აქუბარდია დღემდე რეგისტრირებულია გადამხდელად. როგორც მეწარმე, ფიზიკური პირი იგი ყოველწლიურად იხდიდა კანონით გათვალისწინებულ სხვადასხვა (მათ შორის მიწის) გადასახადს. უფრო მეტიც, სოსო აქუბარდიას დღემდე მოსდის შეტყობინება იმ მიწის გადასახადის შესახებ, რომელიც მთავრობამ ყაჩაღურად წაართვა და უკვე სხვის მფლობელობაშია. ამჟამად აქუბარდიას საქმემ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გადაინაცვლა.

ვინ აშენებს ანაკლიის პორტს

რაც შეეხება ტერიტორიის ახალ მესაკუთრეებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2010 წლის 10 ივნისს შპს **„ანაკლია-პორტის“** მფლობელმა თეიმურაზ ქარჩავამ კომპანია თავისი მრავალმილიონიანი ქონებით მიჰყიდა ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულ კომპანია“**wdSqzqftfute“**–ს სულ რაღაც 2000 (ორიათას) ლარად. 2011 წლის 27 სექტემბერს კი „**wdSqzqftfute**“ს ერთადერთმა დირექტორმა, ვინმე რია კლეინმა შპს **„ანაკლია პორტის“** დირექტორად და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ თემურ ქარჩავა დანიშნა.

ხელშეკრულების საგნის დირებულება და ამ კომპანიის მმართველად კვლავ თეიმურაზ ქარჩავას დანიშვნის ფაქტი იძლევა საფუძვლიან ეჭვს, რომ ეს არის მოჩვენებითი გარიგება, რაც საშუალებას მისცემს **„ანაკლია-პორტის“** რეალურ მესაკუთრეს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა პირობით დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამინდელი მდგომარეობით შპს **„ანაკლია-პორტის“** უძრავი ქონება დაყადაღებულია საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ.

მ. ხარაზიშვილი

თურქეთში ქართველებს 300 ლირად ყიდიან და მონურ პირობებში ამუშავებენ

ბათუმში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია **„საქართველო კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“** თურქეთში მყოფი ქართველების სამუშაო პირობების შესახებ სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს და აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეებს რიგ ფაბრიკა-ქარხნებში მონურ პირობებში ამუშავებენ.

„სოციალური ქსელის საშუალებით თურქეთში მყოფი ქართველები დამიკავშირდნენ და მთხოვეს, მათი მდგომარეობით დავინტერესებულიყავი. რასაკვირველია, დაინტერესება გამოვთქვი და ვითარების გასარკვევად თურქეთში წასვლა და ექსპერიმეტის ჩატარება გადავწყვიტე. მომცეს ვინმე „თენგოს“ ტელეფონის ნომერი, რომელიც, როგორც ქართველებმა მითხრეს, სტამბულში ჩვენი თანამემამულეების გაყიდვით არის დაკავებული – არაფორმალური საწარმოების ხელმძღვანელებთან თითოეულ მიყვანილ ქართველში მას 250-300 ლირამდე უხდიან. სტამბულში ჩასვლისას იქ „თენგოს“ წარმომადგენელი დამხვდა, რომელმაც ერთ-ერთ საწარმოში მიმიყვანა და 250 ლირად გამყიდეს. ეს ჩემთვის შოკი იყო“, – განუცხადა ჟურნალისტებს ცენტრის ხელმძღვანელმა, მერაბ ღოღობერიძემ, რომელმაც, როგორც თავად ამბობს, საწარმოს ტერიტორიიდან დიდი ძალისხმევის შედეგად გამოაღწია.

მისივე განმარტებით, ტრეფიკინგის მსხვერპლი ქართველების ყოფა მეტად გაუსაძლისია – მათ საკვებ პროდუქტებს მხოლოდ დღეში ერთხელ აძლევენ და იატაკზე სძინავთ.

„ძალიან გამიკვირდა, როცა აღმოვაჩინე, რომ ახალგაზრდა ბიჭები შუაღამემდე მუშაობდნენ. შემდეგ მითხრეს, რომ დამსაქმებლები მათ თეთრ „ტაბლეტს“ აძლევენ, რომელსაც ჩაიში ხსნიან და დალევის შემდეგ მოზღვავებულ ენერგიას გრძნობენ. რამდენიმე დღეში მეც ვთქვი, რომ ძალიან ვიღლებოდი და წელის ტკივილი მქონდა. სხვების მსგავსად მეც ეს „ტაბლეტი“ მომცეს“, – აღნიშნა ღოღობერიძემ.

მისივე თქმით, ზოგს წამოსვლის სურვილი აქვს, მაგრამ იმის გამო, რომ დამსაქმებლები პასპორტებს ართმევენ და სამუშაო საათების შემდეგ ხშირად საწარმოში კეტავენ, ტრეფიკინგისა და შეიძლება ითქვას, რომ მამლუქობიდან თავის დახსნას ვეღარ ახერხებენ.

„სანამ დამსაქმებლები იმ თანხას არ ამოიღებენ, რასაც თითოეული მუშის მიყვანისთვის იხდიან, იქამდე საწარმოს დატოვების უფლებას არავის აძლევენ. ზოგიერთს ქართული მენტალიტეტის გამო რცხვენია წამოსვლა და ახლობლებისთვის იმის გამხელა, თუ რა პირობებში უწევთ ცხოვრება“, – განაცხადა **„საქართველო კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრის“** ხელმძღვანელმა.

მერაბ ღოღობერიძემ არსებული ვითარების შესახებ ბათუმში თურქეთის საკონსულო საქმის კურსში უკვე ჩააყენა. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების რეაგირებასაც ელოდება.

„ჩვენთან, დიდაჭარაში“

ნამდვილი აღმოჩენა გახლავთ პოეზიის ქართველი მოყვარულებისათვის აჭარაში მცხოვრები პოეტი როინ აბუსელიძე. გაზეთ „ილორის“ წინა ნომერში ჩვენ უკვე მივაწოდეთ მკითხველს ამ ნიჭიერი შემოქმედის გულშიჩამწვდომი ლექსი „ჩემი ნენე“, ეს ნაწარმოები იმ ადამიანის გულისთქმაა, რომელიც ვერასდროდეს ვერ შეელევა თავის ისტორიულ რელიგიურ მრწამს, მას ბედის უკუღმართობამ და მის მშობლიურ კუთხეზე თავსდატეხილმა ისტორიულმა უბედურებამ რომ შეაცვლევინა.

ყოველივე ამის გააზრების შემდეგ უნებლიედ გახსენდება დიდი ქართველი პოეტი, აჭარის ერთგული შვილი ფრიდონ ხალვაში, რომლის ლექსის თითოეული ბწკარი შეახსენებდა აჭარელ კაცს, რომ მისი ძირი ქართველობა და ქრისტიანობა იყო. დღეს, როცა აშკარად არაქართული ძალის რენეგატი „ნაციონალებისა“ და მათი თავკაცის, ასევე არაქართველი მიხეილ სააკაშვილის ბოროტი განაზრახის შედეგად აჭარა ლამის წალეკოს თურქულმა ექსპანსიამ, როგორც არასოდეს, ისეა საჭირო თითოეული აჭარელისათვის მისი დღევანდელი ყოფისა და ისტორიული მისიის შეხსენება, რათა აქ არასოდეს ჩაინავლოს ქართული სული.

დიდად გასახარელია, რომ შესანიშნავი ქართველი პოეტის როინ აბუსელიძის შემოქმედება სწორედ ამ სულისკვეთებითაა გაჟღენთილი!

ნენე ისე ფაშფაშებს, ოდა ორთქლში გახვია,
თეთრი ადგას ალიონს და იღვიძებს მამალი,
დილას, რაღაც, სხვაგვარი გათენება ატყვია,
მჭადზე ჯვარი წითლდება, ძირძველი და ალალი.

მოტეხილი დიდნენეც წელში ისე გასწორდა,
იფიქრებდა ინსანი, რომ ცა ქუდად ეხურა,
პაპა როცა ტაბლაზე ციცრის კვერცხებს აწყობდა,
მაშინ ბაბას მეჩეთში წასვლა ეუხერხულა...

თენდებოდა საოცრად – გაღმა ყანა ყვაოდა,
ნალიაზე ეკიდა ფიჩხი-ფუტის ხელჩანთა,
ხოლო ღელე გამოღმა მდინარესთან დაობდა
და კლდეების კატარში ვარდისფერი მზე ჩანდა.

პაპამ ოდის სასარკმლეს ფარდა ჩამოაფარა,
მერე კარი ჩაკლიტა და ბუხართან მივიდა,
ნენემ კვერცხი წითელი ტალიკებზე გაშალა,
ჯვარი გამოისახა, დაჯდა და აქვითინდა.

აუხსნელი რჩებოდა ირგვლივ ჩემთვის ყოველი,
ახლაც თვალწინ მიდგება, ნენე როგორ ტიროდა,
ასე, ჩვენი ოდიდან, თენდებოდა სოფელი
და ყოველ წელს აღდგომა ასე შემოდიოდა.

როინ აბუსელიძე

რუსეთი თავის მოქალაქეებს საქართველოში ჩასვლას არ ურჩევს

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ურჩია თავის მოქალაქეებს, თავი შეიკავონ საქართველოში გამგზავრებისგან მათთვის იქ უსაფრთხოების არარსებობის გამო.

რუსეთის საგარეო უწყებამ განაცხადა 12 აპრილს გავრცელებულ განცხადებაში, რომ თებერვლის შემდეგ რუსეთის სამი მოქალაქის წინააღმდეგ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოში ჩასვლისას, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დარღვევის გამო. კანონის თანახმად, სეპარატისტულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შესვლა იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც არ კონტროლდება თბილისის მიერ, უკანონოდ ითვლება. კანონი ამ წესიდან მთელ რიგ გამონაკლისებს აწესებს. კანონის დარღვევა ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 2-დან 4 წლამდე. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ორ შემთხვევაში რუსეთის მოქალაქეები ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს, ხოლო ერთ-ერთი ბოლო შემთხვევის დროს დაკავებული რუსეთის მოქალაქე კვლავ ზუგდიდის იზოლატორში რჩება.

მარტის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც საქართველომ რუსეთის მოქალაქეებისთვის ცალმხრივად მოხსნა სავიზო რეჟიმი, რუსეთმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის გადახედვისკენ მოუწოდა. მაშინ რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების პირობად სწორედ ამ კანონის გადახედვა დააყენა, მაგრამ საქართველომ უპასუხა, რომ ის კანონს არ შეცვლის და თუ რუსეთს საპასუხო ნაბიჯის გადადგმა სურს, მან ეს წინაპირობების გარეშე უნდა გააკეთოს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ასევე, განაცხადა 12 აპრილს, რომ საქართველოს სპეცსამსახურები განაგრძობენ სისტემატურ დაჭერებსა და რეპრესიებს საქართველოში ჩასული რუსების წინააღმდეგ.

სამინისტროს თქმით, 9 აპრილს პრეზიდენტ სააკაშვილის სტუმრობა ყაზბეგი-ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე და საქართველოში ჩასულ რუსეთის მოქალაქეებთან შეხვედრა მისი პროპაგანდის ნაწილია.

„რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კვლავ აპჯრობს თქვენს ყურადღებას საქართველოში ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოების არარსებობაზე და გირჩევთ, თავი შეიკავოთ ამ ქვეყანაში გამგზავრებისგან“, – განაცხადა მან.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა 10 აპრილს, რომ მას შემდეგ, რაც საქართველომ ცალმხრივად გააუქმა სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისთვის, რუსეთიდან განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 30 000 შეადგინა, რაც, მისი თქმით, 70-პროცენტიანი ზრდაა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ეს შეიძლება საშური საქმეც იყოს, მაგრამ რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლთა არაადამიანურ დამოკიდებულებას რუსი ეროვნების ვიზიტიორთა მიმართ, არაფერია იმაზე სამარცხვინო ქართველი კაცისათვის, ადამიანს სტუმრად რომ მოიწვევ, შემდეგ კი შარს მოსდებ და დაიპატიმრებ. როგორ დავიჯერო, რომ ვაჟა-ფშაველას **“სტუმარ-მასპინძელი”** არა აქვთ წაკითხული ამ უჯიშოებს. მაგრამ, ამათი მოდგმა რომ სტუმრის როლშიც არამზადაა და მასპინძლის როლშიც, ეს ცხოვრებამ არაერთგზის დაადასტურა და დღესაც რომ ჩვენი უაზრო მასპინძლობის შედეგს ვიმკით, ესეც ფაქტია!

ადამიანი, რომელსაც ყველა უნდა იცნობდეს

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოსთან

რატომ უწოდებენ პელეს ფეხბურთის მეფეს? იმიტომ, რომ უმაღლეს დონეზე ათწლეულზე მეტი ითამაშა და მსოფლიოს უმაღლესი ჯილდოც სამჯერ მოიგო. კალათბურთის მეფე მაიკლ ჯორდანია, ოლიმპიადიდან დაწყებული, NBA-თი დამთავრებული უამრავ შეჯიბრებაში გაუმარჯვია. მან კარიერა 40 წლისამ დაასრულა. ქართველებსაც გვყავს ასეთი დონის სპორტსმენი – სამხტომის მეფე ვიქტორ სანეევი. მან 1968 წელს მეხიკოდან დაიწყო და 1976 წელს მესამედ მოიგო ოლიმპიური თამაშები. მეოთხე ცდაზე, მოსკოვის ოლიმპიადაზე ტრავმამ და მსაჯობამ ოქრო დააკარგვინა, მეორე ადგილს დასჯერდა.

ვფიქრობ, საქართველოში ახლა ქუჩაში ათი კაცი რომ გავაჩეროთ, ერთი თუ იტყვის, ვინ არის ვიქტორ სანეევი. იგი მეტ ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს. თუმცა სპორტულმა საზოგადოებამ იგი XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარა. გასულ კვირას კი ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა დააფასეს სათანადოდ: მათი გადაწყვეტილებით ზაფხულში თამაშების მსვლელობისას დედაქალაქის 361 მეტროსადგურს ცნობილი ოლიმპიელების სახელები დაერქმევა. ომახიანად გამოაცხადებენ: **„სერგეი ბუბკა, კარები იკეტება, შემდეგი გაჩერება ვიქტორ სანეევი“...**

1956 წელს სოხუმის სკოლის დირექტორმა ცნობილ მწვრთნელ აკოფ კერსელიანს ტანმაღალი ჭაბუკი წარუდგინა და უთხრა, ძალიან კარგი ბიჭიაო. მას მერე კერსელიანმა დიდი შრომა გასწია, თუმცა იყო დრო, როცა ვიქტორ სანეევის გადარწმუნებამ მოუწია. ახალგაზრდა კალათბურთით იყო გატაცებული და ამ სპორტში დარჩენასაც აპირებდა... ბოლოს და ბოლოს, მწვრთნელმა სანეევი დაიყოლია და მსოფლიოს სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი აჩუქა.

ვიქტორმა მეხიკოს ოლიმპიადამდე ტერფი მძიმედ დაიზიანა, თუმცა 1968 წლისთვის მომჯობინდა და საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა ვიტორდ კრეერმა იგი მექსიკაში გასამგზავრებელთა სიაში შეიყვანა. სამწვრთნელო შტაბი თავკაცის გადაწყვეტილებას ეჭვის თვალით უყურებდა, კრეერი კი პასუხობდა, სანეევს ღვთისგან ბოძებული მხტომელის ნიჭი აქვს, ოლიმპიადის მოგების მთავარი პრეტენდენტიაო.

მართლაც, მეხიკოში ერთმანეთზე უკეთესად იხტუნეს ბრაზილიელმა პრუდესიომ და იტალიელმა ჯენტილემ. სანეევს ჩემპიონობის მოსაპოვებლად ბოლო ცდაზე 17.27 სანტიმეტრი უნდა დაეძლია.

„გარშემო ხმაური იყო, შინაგანად – სიმშვიდე... გავიქეცი და როცა ქვიშიდან წამოვდექი, ოვაციის მიხედვით გავიაზრე, რომ პირველი ვიყავი. მაგრამ რა მანძილზე გადავხტი? – 17.39 მეტრზე. ეს მსოფლიოს ახალი რეკორდი იყო“, – იხსენებს ლეგენდარული სპორტსმენი.

1971 წელს მან საბჭოეთის პირველობა ვერ მოიგო, ტრავმამ თავი შეახსენა, თუმცა საკუთარი დამზადებული ბალზამით სათანადოდ იმკურნალა და 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე პირველივე ცდაზე გაარკვია მომავალი ჩემპიონის ვინაობა. მაგრამ მხოლოდ მოგება საკმარისი არ იყო. სანეევს მეუღლისთვის, ტატიანა ხვარწკიასთვის სიტყვა ჰქონდა მიცემული, რომ საქორწინო საჩუქრად მსოფლიო რეკორდს უძღვნიდა (ისინი ოლიმპიადამდე 3 დღით ადრე შეუღლდნენ). სპორტსმენმა სიტყვა შეასრულა – 17.44 მეტრზე გადახტა.

1976 წელს მონრეალის ოლიმპიადაზე ვიქტორ სანეევს ახალგაზრდა კონკურენტები გამოუჩნდნენ. ბევრისთვის მოულოდნელად ამერიკელი ბეტსი დაწინაურდა – 17.18 მეტრი. ქართველ სპორტსმენს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად ბოლო ცდა რჩებოდა. ძალა მოიკრიბა და ამერიკელზე 11 სანტიმეტრით შორს გაფრინდა.

1980 წელს მოსკოვში ტრავმირებული ფეხის მიუხედავად, ვიქტორ სანეევს სჯეროდა, რომ ოქროს მოგება კვლავაც შეეძლო. ყველაფერი გააკეთა, მაგრამ მსაჯების არაობიექტურობამ იგი მეორე საფეხურზე დასწია, ჩემპიონი კი ესტონელი იააკ უუდმაე გახდა. კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე მდგომმა ბრაზილიელმა ოლივეირამ სამართლიანად, თითით ანიშნა უუდმაეს – პირველობა მეორეს ეკუთვნოდაო.

კარიერის დასრულების შემდეგ ვიქტორ სანეევი თბილისის **„დინამოს“** სპორტკლუბში მუშაობდა, 90-იანი წლების დასაწყისში კი ავსტრალიაში მიიწვიეს და დღესაც იქ ცხოვრობს.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

საქართველოს ჩემპიონატი — მეორე ეტაპი

VII ტურის წინათქმა: შინ დაბრუნების დღე

ზამთრის შესვენებისას ვვარაუდობდით, რომ სეზონის მეორე ნახევარი უკომპრომისო ბრძოლებში ჩაივლიდა და ევროთასებზე გამსვლელი ადგილებისთვის დიდი კონკურენცია გაიმართებოდა.

სამაგიეროდ, იმას ნაკლებად წარმოვიდგენდით, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა ასე ძალიან დაიძაბებოდა. თუმცა მოვლენები სწორედ ამგვარად განვითარდა და დღეისთვის **„ზესტაფონსა“** და **„მეტალურგს“** შორის ქულათა სხვაობა მხოლოდ სამს შეადგენს. ასე რომ, სატურნირო ცხრილის თითოეულ მონაკვეთზე ბევრი რამაა გასარკვევი, რაც უმაღლეს ლიგაში საინტერესო ფინიშის გარანტიას გვაძლევს.

კალენდრის სიმჭიდროვიდან გამომდინარე, არ იყო იმის საშუალება, რომ უმაღლესლიგელებს წინასაღდგომო დღეს დაესვენათ და ამიტომაც 14 აპრილს სრული ტური ჩატარდა. ამ დღესვე მეორე ეტაპის პირველი წრე დასრულდა.

რა თქმა უნდა, წინა ტურების მსგავსად, ეამ მატჩებმაც ბევრ შეკითხვას გასცეს პასუხი.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ამ ტურში მოვალეობის მოსახდელად არავინ ითამაშა – პლეი ოფშიც და პლეი აუტშიც თითოეული შეხვედრის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

უკვე რამდენიმე თვეა, გორის ცენტრალურ სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს და ამის გამო **„დილა“** საშინაო მატჩებს დედაქალაქში ატარებდა. **„ბურჯანაძეზე“** ტრიბუნები ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია, სამაგიეროდ, მოედნის საფარი იდეალურ მდგომარეობაშია და გადაწყდა, რომ ამიერიდან **„დილა“** მშობლიურ ქალაქში ითამაშებს.

ბუნებრივია, ეს ამბავი მნიშვნელოვანია გუნდისთვისაც და მისი გულშემატკივრებისთვისაც. მართალია, ამჟამად **„დილაში“** ძალიან ცოტა ადგილობრივი ფეხბურთელი თამაშობს, სამაგიეროდ, გორელი ქომაგები უფრო კომფორტულად და დიდი რაოდენობით შეძლებენ საყვარელი კლუბის თამაშებზე დასწრებას, გულშემატკივართა სიმრავლე კი ნებისმიერ გუნდზე პოზიტიურად მოქმედებს.

სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, ტურის ცენტრალური მატჩი სწორედ გორში უნდა ჩატარდეს. **„ტორპედო“** ენერგიულად იბრძვის ევროპის ლიგაზე გამსვლელი მესამე ადგილისთვის და ჩემპიონატის საპრიზო სამეულში მოხვედრის გარკვეული შანსი უკვე **„დილასაც“** უჩნდება.

ჩემპიონატის განახლებამდე ვივარაუდეთ, რომ გორელები მხოლოდ სათასო ამბიციებს არ დასჯერდებოდნენ და მედლებისთვისაც იბრძოლებდნენ; თუმცა, **„დილამ“** უმაღლესი ლიგის მეორე ეტაპი უფრულად დაიწყო და თითქოს ქვემოქართლელებს ჩემპიონატში მოტივაცია დაკარგული ჰქონდათ, მაგრამ **„დილამ“** ბოლო ტურები შთამბეჭდავად ჩაატარა და თუ წარმატებული სერია განარძო, **„ტორპედოსა“** და **„დინამოს“** სერიოზულ კონკურენციას გაუწევს.

ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ თემურ შალამბერიძის გუნდს ხელსაყრელი კალენდარი აქვს – მატჩების უმეტესობას შინ ჩაატარებს.

„ტორპედოს“ კი ბოლო დროს უკეთესობა აშკარად ეტყობა და აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტურის მატჩს გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავს.

2012 წელს მარტვილში პირველ ოფიციალურ შეხვედრას ჩაატარებს **„მერანი“.** მალხაზ ჟვანიას გუნდმა, რომელმაც სეზონის პირველ ნახევარში სწორედ საკუთარ ქალაქში მოპოვებული ხმაურიანი გამარჯვებებით გაითქვა სახელი, წლეულს ყველა მატჩი სტუმრად ჩაატარა.

რა თქმა უნდა, **„მერანის“** კრიზისი მხოლოდ ამის ბრალი არ არის, მაგრამ მშობლიური კედლებიდან მოშორებით თამაში ნებისმიერი გუნდის ასპარეზობას დაასვამდა დაღს. ახლა კი მარტვილელებს უკვე საშინაო თამაშების სერია ეწყებათ და ვნახოთ, შეუწყობს თუ არა ხელს ეს ფაქტორი მათ უკეთ ათამაშებას.

რაც შეეხება **„მერანის“** მეტოქე **„ზესტაფონს“**, მისთვის ჩემპიონატში დარჩენილი ყველა მატჩი ფინალის ტოლფასია. ასე რომ, გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდს მარტვილში მხოლოდ გამარჯვებისთვის მართებს ბრძოლა.

აშკარაა, რომ საქართველოს მოქმედ ჩემპიონებს საუკეთესო დროება არ უდგათ, მომავალი შეხვედრა კი დაგვანახებს, შეძლო თუ ვერა **„ზესტაფონის“** სამწვრთნელო შტაბმა შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა.

„მერანთან“ გამარჯვება აუცილებლად იმას არ ნიშნავს, რომ უფრო ძლიერ გუნდებთანაც წარმატებით ითამაშებ, მაგრამ პრაქტიკული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ფეროელებისთვის სამი ქულა მისწრება იქნება.

მეტალურგი ზესტაფონიდან ზესტაფონამდე

ჩემპიონობისთვის ბრძოლა უკვე ძალიან რეალურია, მაგრამ **„მეტალურგის“** წევრები საკუთარ მიზნებზე კვლავ თავშეკავებულად საუბრობენ და ამბობენ, რომ მათი უმთავრესი ამოცანა ევროპის ლიგის საგზურია. თუმცა როცა ევროსაგზური უკვე განაღდებული გაქვს და ლიდერს მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩები, წარმოუდგენელია, ჩემპიონობაზე არ ფიქრობდე.

ჩემპიონატის სისტემა ცალკე თემაა და ბუნებრივია, ამან რუსთაველთა აღზევებაში დიდი როლი ითამაშა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ **„მეტალურგი“** სეზონის მეორე ნახევარში გაცილებით ხარისხიან ფეხბურთს თამაშობს და მცოდნე მწვრთნელის ხელიც ეტყობა. **„მეტალურგმა“ „ზესტაფონს“** სათასო მატჩშიც დაუმტკიცა, რომ ორივე ფრონტზე მისი რეალური კონკურენტია.

რუსთაველთა და ზესტაფონელთა შორის ამ სეზონში კიდევ ორი შეხვედრაა დარჩენილი – ერთი სათასო, ერთიც კი საუმაღლესლიგო. ორივე ეს მატჩი რუსთავში გაიმართება, რაც, ბუნებრივია, **„მეტალურგის“** წისქვილზე ასხამს წყალს.

თუმცა იმისთვის, რომ ჩემპიონატში ურთიერთშეხვედრამ აზრი არ დაკარგოს, **„მეტალურგს“** ქულების რეგულარულად მოგროვება სჭირდება. ქვემოქართლელები „კოლხეთთან“ ფავორიტები კი არიან, მაგრამ ფოთელებმა ამ სეზონში არაერთხელ დაამტკიცეს, რომ მათთვის ავტორიტეტები არ არსებობენ.

18 აპრილს განმეორებითი სათასო მატჩებია და თუკი **„დილას“** ფინალის საგზური, ფაქტობრივად, დაბევებული აქვს, **„მეტალურგსა“** და **„ზესტაფონს“** ერთმანეთთან დიდი ბრძოლა ელით. ვნახოთ, ვინ როგორ ხასიათზე შეხვდება საპასუხო სათასო შეხვედრას.

„დინამოს“ ზუგდიდურ კლუბებთან დაპირისპირებას დიდი ისტორია აქვს. ბოლო წლებში **„მგლები“** და **„ბაია“** საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს ხშირად წარმატებით ეთამაშებოდნენ. **„ბაიამ“** ამ სეზონში დედაქალაქელები უკვე გაამწარა – ზუგდიდში 2:1 სძლია. თუმცა ისიც სათქმელია, რომ **„დინამომ“** მეორე წრეში დამაჯერებელი რევანში აიღო და ზუგდიდელები 5:1 გაანადგურა (ამ გუნდების უკანასკნელ შეხვედრაში მომხდარ სამარცხვინო ფაქტზე ჩვენს მკითხველებს მოგვიანებით დაწვრილებით მოვუთხრობთ).

„დინამოს“ პრობლემებზე საუბრით დღეს თავს აღარ შეგაწყენთ და მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ყოფილი მწვრთნელის გიორგი დევდარიანის გუნდს ფრეთა ექვსმატჩიანი სერია აქვს, **„დინამოს“** ქომაგები კი ნავსის გატეხვას მოუთმენლად ელიან და თუ ეს დროულად არ მოხდა, **„დინამო“** ევროსარბიელს მიღმა დარჩება.

მეორე ეტაპის მეორე წრეში დედაქალაქელებს ურთულესი კალენდარი აქვთ – **„ტორპედოს“** შინ მიიღებენ, ყველა სხვა მეტოქეს კი სტუმრად დაუპირისპირდებიან.

პლეი აუტი მეორე პლანზე სულაც არ დგას. სეზონის ბოლომდე იქ კიდევ არაერთი შთამბეჭდავი მატჩის მომსწრენი გავხდებით და უმაღლეს ლიგაში დამჩენი ოთხი გუნდიც სეზონის ბოლო ნაწილშიღა გაირკვევა.

ოზურგეთის **„მერცხალის“** გარდა, საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის შანსი არავის დაუკარგავს და რა თქმა უნდა, ბევრს გადაწყვეტს 14 აპრილს გასამართი შეხვედრებიც. **„ჩიხურა“, „ვიტ ჯორჯია“** და „გურია“ სხვებთან შედარებით კომფორტულ მდგომარეობაში არიან, მაგრამ ქულათა მარაგის შევსება მათაც ესაჭიროებათ, **„სიონს“, „სპარტაკს“, „გაგრასა“** და **„ბათუმს“** კი მოდუნების უფლება საერთოდ აღარ აქვთ და ვინც ამათგან ამჯერად ხელმოცარული დარჩება, საუმაღლესლიგო შანსები კიდევ უფრო შეუმცირდება.

იუმორი

პირველკლასელი მიხო გაბრაზებული ბრუნდება სახლში, ჩანთას აგდებს და ამბობს:

– მე ხვალ სკოლაში არ წავალ!

– რათა, შვილო? – ეკითხება დედა.

– რათა და, მასწავლებელმა გვითხრა, დღეს "აი ია" ისწავლეთ და ხვალე კიდე თითი უნდა მოგცეთ ბოლომდეო...

* * *

პატრული ეკითხება მთვრალ მძღოლს: – როგორ დაჯექი ასეთი მთვრალი საჭესთან?

– ძმაკაცები დამეხმარნენ.

* * *

– ძამა, შენ გურული ხარ?

– კი, მარა ვმკურნალობ!

* * *

ორი მეგობარი გვიანობამდე დარჩა რესტორანში. ადგომისას ერთი ეკითხება მეორეს:

– რას ეტყვი შენს ცოლს, სახლში რომ მიხვალ?

– მე ვეტყვი "საღამო მშვიდობისა", დანარჩენს კი თვითონ იტყვის...

* * *

ავტობუსში გამოჭიმულ მეგრელს გვერდზე მჯდომი ქალი ეუბნება:

– ბოდიში, მაგრამ თქვენ ჩემს მარაოზე ზიხართ!

– ტიტუ!.. მეც არა ვთქვი, ქვემოდან რა მიბერავს-მეთქი...

* * *

– ეს ავტობუსი ონში არ წამიყვანს? – ეკითხება მძღოლს რაჭველი.

– არა, მე ცაგერისკენ მივდივარ!

– ვერც მე წამიყვანს? – ეკითხება ახლა გვერდზე მდგარი მეორე რაჭველი.

ჩირიკბა-ლავროვის მოლაპარაკებები

აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელ სერგეი ლავროვის მიწვევით მოსკოვში იმყოფებოდა.

„აპსნი პრესის“ ინფორმაციით, აპრილის შუა რიცხვებში რუსულ-აფხაზური მოლაპარაკებები გაიმართა, რომლის ფარგლებში მხარეები ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების სამომავლო განვითარებას განიხილეს.

მოლაპარაკებების პროცესში აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებთან დაკავშირებითაც იმსჯელს. კერძოდ, საუბარი შეეხო ჟენევაში შემდგარ დისკუსიებსაც.

მოსკოვში ჩირიკბას ვიზიტი 18 აპრილს დასრულდა და იგი ექსპერტების მიერ პროდუქტიულად შეფასდა.

ოლიმპიურ თამაშებზე McDONALD'S-ის რეკლამას აკრძალავენ?

დიდი ბრიტანეთის სამედიცინო სამეფო კოლეჯების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი ტერენს სტივენსონი ოლიმპიურ თამაშებზე McDonald's-ისა და Coca-Cola-ს რეკლამის აკრძალვის წინადადებით გამოდის. როგორც გაზეთი Guardian-ი წერს, ეს კომპანიები ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქციას აწარმოებენ.

აკადემია დიდი ბრიტანეთის, დაახლოებით, 200 000 სამედიცინო სპეციალისტს აერთიანებს. ის ჯანსაღი კვებისა და მოზარდებში ჭარბწონიანობასთან ბრძოლის პროპაგანდას ემსახურება.

McDonald's--ი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი უმსხვილესი სპონსორია. 2012 წლის ლონდონის ზაფხულის ოლიპიადაზე კომპანიამ ოლიმპიური სოფლის მაცხოვრებლებისთვის განკუთვნილი საკვები პროდუქტების შეფუთვაზე საკუთარი ლოგოტიპის განთავსების ექსკლუზიური უფლება მოიპოვა. გარდა ამისა, ოლიმპიური სოფლის ტერიტორიაზე ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით ქსელის ყველაზე დიდი რესტორანი აშენდება.

არაჯანსაღი საკვების წარმოების გამო ბრენდის ტრადიციული კრიტიკის თავიდან ასაცილებლად McDonald's--მა კამპანია წამოიწყო, რომელიც ბავშვების სპორტით დაინტერესებას ისახავს მიზნად.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უმსხვილეს სპონსორთა შორისაა ასევე Coca-Cola, რომელიც ოლიმპიური სოფლის მოსახლეობას, ტრადიციულად, საკუთარი სასმელით ამარაგებს.

აკადემიის შეთავაზების პასუხად McDonald's--ისა და Coca-Cola-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ ორი კომპანიის სპონსორობის გარეშე ოლიმპიური კომიტეტი შეჯიბრზე სპორტსმენთა დასწრებას ვერ უზრუნველყოფს.

წეროვანში ლოლიტას მშობლებს აშინებენ

მას შემდეგ, რაც შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის მიერ წეროვანში მცხოვრები პატარა ლოლიტას ჯანმრთელობის ამბავი გახმაურდა, მისი მშობლები ჯერ ადგილობრივ გამგეობაში დაიბარეს, შემდეგ მამა საბავშვო ბაღიდან გაათავისუფლეს. ამის შესახებ შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს ბავშვის დედამ აცნობა.

„რამდენჯერმე მამასახლისი მოვიდა ოჯახში, მეკითხება, ვინ მოვიდნენ, რა მოიტანეს, რა საჩუქრები მოაქვთ, რომელიმე პოლიტიკური პარტია ხომ არაა" – ამბობს მანანა. **„რამდენჯერაც მოვიდა, იმდენჯერ საკადრისი პასუხი გავეცი. მერე გამგეობაში დამიბარეს, ახლა იქ დამიწყეს დაკითხვა. აინტერესებს, ვინ მოდიან ჩემთან დასახმარებლად."**

ლოლიტას მამა ზვიადი საბავშვო ბაღის დარაჯობიდან გაათავისუფლეს. სულ რაღაც 40-50 ლარს აძლევდნენ თვეში. ბავშვის მდგომარეობით ძალიან ბევრი ადამიანი დაინტერესდა. ოჯახმა ბევრი მათგანის ვინაობაც არ იცის.

„ეს ჩვენი მამასახლისები მუდმივად ყარაულობენ სახლს. როგორც კი ვინმე უცხოს დაინახავენ, მაშინვე ყურადღებით არიან. რამდენჯერმე მანქანით რომ მოუახლოვდებიან ჩემს კოტეჯს მამასახლისები, დააბღუილებენ გაბრაზების ნიშნად. ბრაზდებიან, კოტეჯებში რომ უცხო ხალხი ასე თავისუფლად მაკითხავს. მე კიდევ არავისი მეშინია" – ამბობს ლოლიტას დედა.

ISSN 1987-8966 ილორი

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge